# ლელო

№042 (12 418) **21** თებერვალი ხუთშაბათი 2008

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეოთხედფინალზე ბილეთები არ არის!

სალიგო მერვედფინალის მეორე დღემაც ვერ მოგვცა ის შედეგები, რაც შემდგომ სტადიაზე გამსვლელთა ვინაობას ასე თუ ისე ნათელს მოჰფენდა. პრინციპში, ამას არც ველოდით. რა თქმა უნდა, არიან ფავორიტები, მაგრამ არიან ის გუნდებიც, რომელთაც შეუძლიათ სიურპრიზი შემოგვთავაზონ...

მთავარი იყო "ემირითსის" მატჩი, რომელშიც "არსენალმა" "მილანს" უმასპინძლა. კარლო ანჩელოტიმ მეკარის პრობლემა თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გადაჭრა. საბოლოოდ, კარში კალაჩი დადგა და ძნელი ბურთებიც აილო. ძირითადად, უშეცდომოდ ითამაშა კახა კალაძემაც. თუმც იყო მომენტები, როცა "როსონერის" მხოლოდ ფორტუნა თუ შველოდა. მაგალითად, ბოლო წუთზე ადებაიორს არავინ უშლიდა ხელს, მაგრამ ორიოდ მეტრიდან ბურთი ხარიხას მოარტყა. 0:0 და ყველაფერი "ჯუზეპე მეაცაზე" გადაწყდება...

"მანჩესტერმა" "ლიონთან" უკანასკნელ წუთებზე იხსნა თამაში, რომელიც მეტწილად თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მასპინძლები მეორე ნახევრის დასაწყისში დაწინაურდნენ. ბენზემამ საჯარიმოს ხაზიდან ცაციათი დასცხო. შეხვედრის მიწურულს კი შეცვლაზე შესულმა ტევესმა ლიონელ მცველთა შეცდომით ისარგებლა და ახლო მანძილიდან გააყაიმა.

თვალსასეირო გამოდა "სელტიკ პარკის" მატჩი, რომელიც "ბარსელონამ" სამჯერ შემოატრიალა. შოტლანდიის ჩემპიონი ორჯერ იგებდა ვენეგორისა და რობსონის თავურების შემდეგ, მაგრამ მესიმ და ანრიმ ორივეჯერ აღადგინეს წონასწორობა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელის გოლი იყო ეფექტური. ტიერი საჯარიმოში შეიჭრა, ოდნავ მარჯვნივ გაიწია და მახვილი კუთხიდან ბურთი შორეულ "ცხრიანში" ჩასვა. მესიმ კი დუბლი შეასრულა, როცა მაკმანუსის შეცდომით ისარგებლა და ბორუციც უსაქმოდ დატოვა.

ხუთი გოლი გავიდა სტამბოლის მატჩშიც, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ კიდევ ერთმა ესპანელმა სტუმარმა თამაში სათავისოდ ვერ შემოაბრუნა. "ფენერბაჰჩე" სჯობდა "სევილიას", მაგრამ 3:2 არ არის ის ანგარიში, რაც დიდი ზიკოს გუნდს "სანჩეს პისხუანზე" მცირეოდენ შვებას მაინც მისცემდა. ამ დღის საპასუხო მატჩები 4 მარტს გაიმართება და საიდუმლოც მაშინ გამჟღავნდება. ჯერჯერობით კი, მეოთხედფინალზე ბილეთები არ არის...

ტექნიკური შედეგები **16**



გუშინ, ლონდონში. არსენალი-მილანი 0:0. კალაძე ადებაიორის წინააღმდეგ



## გიორგი ნიჟარაძე:

**ჩვენი პრიორიტეტები: ბავშვთა რაგბი, ეროვნული ჩემპიონატი, რეგიონები, ინფრასტრუქტურა, სანაკრებო პოლიტიკა**

**11**

# ფაჩულიას ორმაგი დუბლი

გიორგი ცინცაძემ როკს ბოლო წამებზე შესრულებული სამი საჯარიმოთი მოაგებინა, მანუჩარ მარკოიშვილმა ოსტენდესთან საფინალო სირენამდე 1:36 წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო და უკრაინელებს სტუმრად გამარჯვება დაუზევა.

ქართული ლეგიონი **12-13**


ზაზა ფაჩულია


გიორგი ცინცაძე


მანუჩარ მარკოიშვილი

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

# ტური არასრული იქნება

საქართველოში მოსული დიდი თოვლი ეროვნული ჩემპიონატის კალენდარში ალბათ, იძულებით ცვლილებებს შეიტანს. განსაკუთრებით მძიმე კლიმატური პირობები დასავლეთ საქართველოშია. კალენდრის მიხედვით, მეორე წრის პირველი ტური ასე უნდა ჩატარებულიყო:

| |
|---|
| **23 თებერვალი, შაბათი** |
| დინამო-ოლიმპი |
| სპარტაკი-სიონი |
| ბათუმი-დილა |
| მგლები-მესხეთი |
| **24 თებერვალი, კვირა** |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი |
| ამერი-ლოკომოტივი |
| მერანი-ბორჯომი |

ამ შვიდი მატჩიდან გადადების რეალური საფრთხე ორს ემუქრება - "ბათუმი"-"დილასა" და "მგლები"-"მესხეთს". ბათუმური და ზუგდიდური კლუბების წარმომადგენლებმა უკვე მიმართეს პროფლიგას შეხვედრების გადადების თხოვნით. პფლ-ის გენერალური მდივნის, **პაატა ბურჯალიანის** თქმით, თუ ამინდი სადღეისოდ არ გამოსწორდა, კლუბების თხოვნას დააკმაყოფილებენ. ჯერჯერობით, გაურკვეველია, როდისთვის დაინიშნება ეს თამაშები. ყველაფერთან ერთად, გამორიცხული არაა, აღმოსავლეთ საქართველოში დანიშნულ ზოგიერთი მატჩიც გადაიდოს - შაბათამდე ამინდის მკვეთრი გაუმჯობესება მოსალოდნელი არაა.

პფლ-ის ცნობით, მედიაკომპანია "კოლხიდა" "დინამო"-"ოლიმპის" შეხვედრის პირდაპირ ტრანსლაციას გეგმავს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით. წესით, ტელემაყურებელს "ოლიმპი"-"ზესტაფონის" სათასო შეხვედრაც უნდა ეხილა, მაგრამ რეპორტაჟი არ შედგა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ფიფია-ჭელიძე დღეს გადაწყდება

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ "ბათუმს" **გოგი ფიფიასა** და **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძის** იჯარით აყვანა სურს. შეგახსენებთ, დუეტს "ზესტაფონთან" კონტრაქტი ზაფხულში ეწურება. ფიფიასა და ჭელიძეს ფეროელებთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება არ სურთ და ამის გამო გუნდის განაცხადში ვერ ხვდებიან. სეზონის ბოლომდე "ბათუმში" თამაში მათაც სურთ.

ყველაფერი დღეისთვის უნდა გაირკვეს. წუხელ საქართველოში "ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** უნდა ჩამოსულიყო. სწორედ იგი გადაწყვეტს ამ ორი ფეხბურთელის საკითხს. "ბათუმის" მესვეურები კოკაიასთან სატელეფონო კონსულტაციებს გამართავენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ორბელაძის შანსი

როგორც იცით, რუსთავის "ოლიმპის" მცველი **სერგი ორბელაძე** თურქეთშია და უკრაინულ "ზაკარპატიეში" გადის სინჯებს. მან ამ კლუბის შემადგენლობაში ორი ტესტ-მატჩის ჩატარება მოასწრო - ხორვატულ ზაგრების "დინამოსთან" და თურქულ "ქართალასფორთან". "დინამოს" "ზაკარპატიემ" 3:1 მოუგო, ამ მატჩში ორბელაძემ პირველი ტაიმი ჩაატარა, თურქებთან კი მან სრულად ითამაშა. ეს შეხვედრა "ზაკარპატიეს" გამარჯვებით, 4:0 დასრულდა.

ქართველი მცველის საკითხი "ვილნიუსთან" შეხვედრის შემდეგ უნდა გადაწყდეს. უკრაინული პრესის ცნობით, ორბელაძეს "ზაკარპატიეში" ჩარიცხვის დიდი შანსი აქვს.

## სირაძე კონტრაქტს ნალჩიკში გააფორმებს

ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფმა მოსკოვის "ლოკომოტივმა" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. რკინიგზელები ამჯერად ვილნიუსის "ჟალგირისს" დაუპირისპირდნენ და 2:0 მოიგეს. მოსკოველთა კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სასტარტო შემადგენლობაში არცერთი ქართველი არ ყოფილა. **მალხაზ ასათიანი** კვლავაც მკურნალობს და ამ შეხვედრაში მისი უთამაშებლობა ამით აიხსნება. რაც შეეხება **დავით მუჯირს**, ის მე-60 წუთზე **ბილიალეტდინოვის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში. მუჯირმა მოედანზე ნახევარი საათი დაჰყო, მაგრამ გატანილ ბურთებში მონაწილეობა არ მიუღია.

გუშინ "რუბინის" ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა, რომ კლუბმა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ **დავით კვირკველიასთან** 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ნალჩიკის "სპარტაკმა" "ლა მანგას" ტურნირზე მე-3 ადგილისთვის მატჩი ნორვეგიულ "სტაბეკთან" მე-9 წუთზე გაშვებული გოლის წყალობით 0:1 წააგო. **ამისულაშვილი** და ახალწვეული **დავით სირაძე** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ და შეხვედრაც ჩაამთავრეს. **გოგიტა გოგუა** 50-ე წუთზე **სიტნიკის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში.

როგორც შევიტყვეთ, დათო "სპარტაკთან" კონტრაქტის გაფორმებას ესპანური შეკრების შემდეგ გეგმავს. 24 თებერვალს "სპარტაკი" ესპანურ შეკრებას ამთავრებს და ფეხბურთელები ორი დღით დაისვენებენ, 27 თებერვალს კი ანთალიაში დასკვნითი ეტაპი დაიწყება.

## დვალის წვლილი

კიშინიოვის "დაჩიამ" საკონტროლო შეხვედრაში ავსტრიულ "კერნტენს" 4:2 სძლია. **ჯაბა დვალმა** მოლდოველთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა. მას მეტოქის კარი არ დაულაშქრავს, მაგრამ "დაჩიამ" ერთი გოლი დვალის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანით გაიტანა.

**მამუკა ლომიძის** "ზიმბრუმ" კი მორიგ საკონტროლო შეხვედრაში, დონეცკის "შახტიორ 3"-თან 2:3 წააგო. ქართველი მცველი ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე ვილკოვმა შეცვალა. ტირასპოლის "შერიფი" კი სლოვაკურ "არტმედიასთან" 1:2 დამარცხდა. დნესტრისპირელთა ძირითად შემადგენლობაში ჩვეულებისამებრ იყო ვაჟა თარხნიშვილი. ამ გუნდის კიდევ ორ ქართველს, ძმებ პავლე და ვალტერ ხორგუაშვილებს კი არ უთამაშიათ.

# ვისია თინეიჯერული ჯერი ეროვნულში?

## თარგამაძის თარგი პირველი გუნდია

19-წლამდელთა ბუნდესლიგაში ორი ჩვენებურია - **ლევან ყენია** და **დავით თარგამაძე**. ისინი ჯერ ერთმანეთს არ შეხვედრიან, მათი გუნდები,"შალკე " და "ფრაიბურგი" სხვადასხვა ჯგუფში არიან და თუ პლეიოფში გავლენ, იქ თუ მოუწევთ ერთმანეთთან პაექრობა.

თარგამაძე გერმანიის აიუგენდლიგაში ყენიამდე რამდენიმე თვით ადრე წავიდა და "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდში შეუცვლელად თამაშობს.

*"ხან მარჯვენა ნახევარმცველად ვთამაშობ, ხან - მარჯვენა გარემარბად. გოლი ჯერ არ გამიტანია, თუმცა შეიძლება ითქვას, ყველაფერი კარგად მიმდის. ამას წინათ მცირე ტრავმა მქონდა და სამი დღე ამის გამო დავისვენე"*- გვითხრა თარგამაძემ.

"ფრაიბურგი" იუგენდლიგის ჯგუფში მეოთხე ადგილზეა, პლეიოფში კი ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის. დათო მანამდე 35-ე სკოლაში და "დინამოს" აკადემიაში თამაშობდა, **ჰაინც ტოპმიოლერის** მიერ გაწვრთნილ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში კი ერთ-ერთი ლიდერი იყო.

თარგამაძე "ფრაიბურგში" ძმები არველაძეების მიერ დაფუძნებული "საქართველოში ფეხბურთის განვითარების ფონდის" დახმარებით მოხვდა. ის "ფრაიბურგში" გასინჯვაზე ჯერ კიდევ წინა სეზონში მივიდა და გუნდის მაშინდელი თავკაცის, **ფოლკერ ფინკეს** მოწონებაც დაიმსახურა.

*"ხანდახან "ფრაიბურგის" პირველ გუნდთანაც ვვარჯიშობ. პირველ გუნდში ფეხბურთელები არჩევით მიყავთ. ჩვენი მწვრთნელი გვეუბნება, ესა და ეს ფეხბურთელები პირველ გუნდში ხართ დაბარებულებიო. რაც შეეხება "ფრაიბურგის" პირველი გუნდის თავკაც რობინ დუტს, ის ხშირად ესწრება 19-წლამდელების თამაშს იუგენდლიგაში".*

დათომ ისიც გვითხრა, იუგენდლიგა ქართული ასაკობრივი ლიგებისგან, რა თქმა უნდა დიდად განსხვავდება, მთავარი განსხვავება კი სავარჯიშო პირობებიაო.

*''ესეც რომ არა, ჩვენ თამაშებზე 500-1000 მაყურებელი სულ მოდის; მატჩებზე დასწრება ფასიანია".*

დათო "ფრაიბურგის " ბაზაზე ცხოვრობს, თუმცა იქ თავს მარტოდ ნამდვილად ვერ იგრძნობს.

*"ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდში ათამდე ლეგიონერი ვიქნებით და ყველანი გუნდის ბაზაზე ვცხოვრობთ."*

თარგამაძეს არასრულწლოვნობის გამო "ფრაიბურგთან" პროფესიული კონტრაქტი არ გაუფორმებია, თუმცა მიზანი სწორედ ეს არის.

*"უკვე ჩამომიგდეს ლაპარაკი პროფესიულ კონტრაქტზე, მომავალი სეზონიდან ეს უკვე ნებადართული იქნება. მოკლედ, ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული."*

სწრაფი, შეუპოვარი, თამაშის საკუთარ თავზე ამღები, მოუღლელი და ტექნიკური - ამით დაგვამახსოვრა თავი დათომ 19-წლამდელთა ნაკრებში. მას თითქოს ნაკლი არც აქვს, ფეხბურთის სწორად თამაშს კი დოიჩლანდში კარგად ასწავლიან.

ლევან ყენიასა და **ლევან მჭედლიძის** შემდეგ ეროვნული გუნდის ტრამპლინზე თარგამაძე დგას - ვფიქრობთ, აქ გადაჭარბებული არაფერია.

**დავით თავართქილაძე**



დავით თარგამაძე

ფუტზალი

## საქართველო 29-ში იწყებს

29 თებერვალს საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმება. ჩვენს ჯგუფში ესპანეთისა და ხორვატიის ნაკრებები მოხვდნენ. 29-ში ესპანეთს ვეთამაშებით, 1 მარტს კი ხორვატიას. შეხვედრები ესპანეთის ქალაქ კასერესში გაიმართება.

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადების დღეს ულოცავს ლიგის პრეზიდენტს დიმიტრი რამიშვილს. უსურვებს ჯანმრთელობასა და წარმატებებს.**

ალიარება

# ქეცბაია ღირსების ორდენის კავალერია

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშე **თემურ ქეცბაია** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ეს საქართველოს პრეზიდენტის, **მიხეილ სააკაშვილის** ინიციატივაა.

მოგეხსენებათ, თემური კვიპროსში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ამიტომაც ორდენი მის ძმას, **დავით ქეცბაიას** გადაეცა. მან ჯილდო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **პაატა ჩხეიძისგან** მიიღო.

შეგახსენებთ, თემურ ქეცბაიას თავისი ხანგრძლივი წარმატებული კარიერის განმავლობაში თბილისის "დინამოში", კვიპროსის "ანორთოსისში", ბერძნულ აეკ-ში ინგლისურ "ნიუკასლსა" და "ვულვერჰემპტონში", ასევე შოტლანდიურ "დანდიში" უთამაშია. ფეხბურთელის კარიერა შარშან დაასრულა, "ანორთოსისში", დღეს კი ამ გუნდის მთავარი მწვრთნელია.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თემურმა 50 მატჩი ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა.

*"სასიხარულოა, როცა შენს წვლილს დააფასებენ. მადლიერი ვარ, რომ ჩემი შრომა ასე შეაფასეს და დააფასეს. ეს ჯილდო მომავალი გამარჯვებებისთვის დიდი სტიმული იქნება"*, - თემურ ქეცბაიას ეს სიტყვები მისმა ძმამ გაახმოვანა.



თემურ ქეცბაია

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

# ფაქტებთან ომი

## საქართველოს პირველობა პოსტსაბჭოეთში მეათეა



რამდენად სწორი გზით მიდის ქართული ფეხბურთი?

ჩვენ გვიყვარს ქართული ფეხბურთი. ზოგს მისი გვჯერა, ზოგსაც - არა. ეს შინაგანი რწმენის, გემოვნების, გნებავთ ცოდნისა და ინტუიციის საქმეა. აქ შეიძლება დავა, მაგრამ არ შეიძლება ფაქტებთან დავა, რაც ჩვენთან წესად იქცა.

ყოველთვის გვიმტკიცებდნენ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი გააჩნდა. ერთი შეხედვით, არც ისე უსაფუძვლოდ ამბობდნენ.

თვითმხილველები ჰყვებოდნენ, რომ დიდი **ნოდარ ახალკაცის** მიმართ უეფას ექსპრეზიდენტი **ლენარტ იუჰანსონი** ყოველთვის გამორჩეულ პატივისცემას გამოხატავდა და დიდ ფიგურად ალიარებდა.

ფედერაციის ექსპრეზიდენტ **მერაბ ჟორდანიას** მომხრეები ხშირად იმეორებდნენ, რომ მას დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი და მშვენიერი კავშირები ჰქონდა - ბოლოს და ბოლოს, აღმოსავლეთ ევროპაში **მიშელ პლატინის** დასაყრდენი და მეგობარი გახლდათ.

უმცროსი **ნოდარ ახალკაცის** პრეზიდენტობის დროსაც ასე გაგრძელდა, გვიმტკიცებენ, ქართული ფეხბურთის ავტორიტეტი განმტკიცდაო. ესეც არაერთხელ გვსმენია და საფუძველსმოკლებული არც ესაა: მიშელ პლატინის უეფას თავკაცად არჩევისას, ჩვენი ფედერაციის თავკაცმა დიდი დიპლომატიური უნარი გამოიჩინა და აღმოსავლეთ, ევროპის 26 ფედერაციის მიმხრობაში დიდი როლი შეასრულა.

გაგიმარჯოთ ღმერთმა, ამას რა სჯობია, რაც მეტი შინაური გვეყოლება ფეხბურთის მმართველ ორგანოში, ჩვენი ფეხბურთი მეტ სიკეთეს მიიღებს, მაგალითად, გრანტებს.

და მაინც, ერთეული ადამიანების პიროვნულ ავტორიტეტს, ქართული ფეხბურთის ავტორიტეტი გვირჩევნია, რაც დღეისათვის მას არ გააჩნია.

ამ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის მიუხედავად, ქართულ ფეხბურთს არათუ არ ეშველა, უკან-უკან მიდის და საშველი არ დაადგა.

ახლა მოდაშია პიარ-აქციები. მაგალითად, ესა და ეს პიროვნება ფეხბურთის განვითარებაზე რომ ზრუნავს, ამის მაგალითია მომრავლებული მინი-მოედნები, სტადიონების მშენებლობა, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა და ა.შ.

ამასობაში ხალხი დაიბნა, ეს მინი-მოედნები ხან თბილისის მერიის აშენებულია, ხან ფედერაციის პროექტის ნაწილია და თუ საჭირო გახდა, "ნაციონალების" პროგრამის ნაწილიც.

ამასობაში, ვერავინ ამბობს, ვისი ბრალია, დღისით, მზისით, ავლაბრის სტადიონის მშენებლობის პოლიგონად გადაქცევა. რატომ გახდა ბათუმის სტადიონი ბულვარის ნაწილი და რატომ დარჩა ეს ზღვისპირა ქალაქი უსტადიონოდ, რატომ იყიდება "ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიის ნაწილი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მოედანი, "სუკონკის სტადიონი", რატომ დარჩა ფოთი, ქუთაისი და ლანჩხუთი უმაღლესი ლიგის მიღმა, მტკვრის მარჯვენა სანაპირო კი ორიოდე საფეხბურთო სკოლის, ქართული ფეხბურთი კი - მინი-მოედნების ამარა.

შოტლანდიასთან გამარჯვება ყველამ მიიწერა. ქალაქის ცენტრში გამართულ ზეიმზე ყველა გამოჩნდა, მაგრამ ლატვია-ლიტვასთან წაგებულ მატჩებზე საუბარი არავის მოუნდა.

ყველას უზომოდ გაგვიხარდა, როცა შოტლანდიასთან ერთი მოგებით საქართველო ფიფას რეიტინგში ერთბაშად 31 ადგილით რომ დაწინაურდა, მაგრამ ახლა ვინმემ საკუთარ თავზე აიღოს პასუხიმგებლობა და გვითხრას - რატომ არის საქართველოში ფეხბურთი ხალხისთვის აბსოლუტურად უინტერესო?

მცირე ხნის წინათ, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო დეპარტამენტმა მსოფლიო საფეხბურთო ლიგების რეიტინგი გამოაქვეყნა. შედეგებში ეროვნულ პირველობებსა და და საერთაშორისო სარბიელზე კლუბების გამოსვლებია გათვალისწინებული.

**ცხრილი ასე გამოიყურება:**

| |
|---|
| 13. რუსეთი |
| 14. უკრაინა |
| 33. ესტონეთი |
| 45. ლიტვა |
| 46. უზბეკეთი |
| 48. მოლდოვა |
| 58. სომხეთი |
| 63. ლატვია |
| 70. ბელარუსი |
| **74. საქართველო** |
| 82. თურქმენეთი |
| 98. ყაზახეთი |
| 100. აზერბაიჯანი |
| 108. ყირგიზეთი |
| 134. ტაჯიკეთი |

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, საბჭოეთის ფეხბურთში შედეგებით მესამე ადგილზე მყოფი საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეთვრამეტე წელს თხუთმეტ ქვეყანას შორის მეათე აღმოჩნდა.

გასაგებია, რომ რეიტინგი ძალთა რეალურ თანაფარდობას ბევრად ვერ ასახავს. აზერბაიჯანის ჩემპიონატი პოსტსაბჭოეთში ნამდვილად არაა ყველაზე სუსტი და არც ყაზახების, პირიქით, მათ ბოლო წლებში ანგარიშგასაწევი პირველობები ჩამოაყალიბეს.

და მაინც, გარკვეული ლოგიკა არსებობს. ჰაერიდან არაფერი მოდის. საქართველოს ჩემპიონატი უაღრესად დაბალ დონეზეა და საერთაშორისო შემფასებლების დასკვნები რად გვინდა, გადავხედოთ ტრიბუნებს და ყველაზე ზუსტ და ობიექტურ პასუხს მივიღებთ.

ჩვენში ერთგვარ მოდად იქცა ფაქტებთან ომი. ჩვენი ფეხბურთის ავტორიტეტი უაღრესად შელახულია.

ამის დასტურად **გოგიტა გოგუას** და **ლევან ცქიტიშვილის** ბრიტანეთში ჩაშლილი ტრანსფერებია. ქართულ ფეხბურთს სტატისტიკაც არ წყალობს და რეიტინგის გამო, ჩვენს ფეხბურთელებს დაბრკოლებებს უქმნიან.

ლიტვასთან "ფანტასტიკური" გუნდით მხოლოდ ტოპმიოლერმა და მისმა დამცველებმა ისიამოვნეს. დანარჩენმა მსოფლიომ სტატისტიკური მონაცემებიდან შეიტყო, რომ ორი პოსტსაბჭოური ქვეყნიდან ერთი მეორეს აშკარად სჯობია და ჯგუფში ორივე მატჩი მოუგო.

ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **გუნტის ინდრიქსონის** საერთაშორისო ავტორიტეტზე ჩვენ არაფერი გვსმენია, მაგრამ ვიცით, რომ მის ხელში კალათბურთელების ქვეყანა საფეხბურთოდ გადაიქცა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაალწია.

ასევე არ ვიცით, ვინაა ლიტვის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელმაც ჭკუითა და გამჭრიახობით ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგის და ნაკრების ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი.

ძალიან გაგვეხარდა, როდესაც ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამა დაიწერა და სახელმწიფომ პროქტის განხორციელებისთვის დიდი თანხა გამონახა. თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ იმას ვხედავთ, რომ პროგრამით ბიზნესი არ დაინტერესდა. სახელმწიფო წარუმატებლად ცდილობს ბიზნესმენების ფეხბურთში ჩართვას. ძალით სიყვარული არ გამოვა, მას სწრაფი განქორწინება მოჰყვება.

იქნებ, ფედერაცია ქართული ბიზნესის ფეხბურთისადმი გულგრილობის რეალური მიზეზით დაინტერესდეს? რა პრობლემა გახდა ბიზნესის, სახელწიფოს და სხვადასხვა საფეხბურთო მიმდინარეობების წარმომადგენლების შეკრება და პრობლემებზე გულღია, თუნდაც არაფორმალური საუბარი - როგორ გადავარჩინოთ ჩვენთვის სათაყვანო და დანარჩენი მსოფლიოსთვის თავისი ამბიციებით უკვე ღიმილისმომგვრელი ქართული ფეხბურთი?

უკვე ფაქტია, რომ ჩვენი საფეხბურთო ქვეყანა სარაგბო გახდა. გულზე ხელი დავიდოთ - რაგბის წესებში ბევრი ვერ ერკვევა, მაგრამ ამ სახეობაში დაბუდებულ გულიანობას, წესიერებას, ქართულ სულისკვეთებასა და თავდადებას ხედავს.

ამ ხალხს მინი-მოედნებითა და პიარით ვერავინ მოატყუებს. მჯერა, გულის ძირში ისევ ნატრობენ ბილეთების რიგში დგომას, მაგრამ მათ ნამდვილი ფეხბურთი და საქმე სჭირდებათ და არა პიარი.

**მერაბ მამულაშვილი**

## ალადაშვილი ხარკოვის ბომბარდირია

**კახა ალადაშვილი** უჟგოროდის "ზაკარპატიეში" რომ ათამაშდა და თავდაჯერებულობა იგრძნო, ახალ კლუბსაც იოლად გაუშინაურდა.

კახამ "ხარკოვში" მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და მოსამზადებელ ეტაპზე გუნდის ბომბარდირობაც მოიპოვა - აქამდე გამართულ შვიდ მატჩში უკვე მეოთხე ბურთი გაიტანა. ამჯერად ქართველმა მცველმა თავი ყაზახურ კლუბთან გამოიჩინა. "ხარკოვი" ამხანაგურად "ალმა-ატის" გაეჯიბრა და 2:0 მოიგო. კახამ მეტოქის ბადე 21-ე წუთზე შეარხია და ანგარიში გახსნა.

ალადაშვილის აქტიურობა ამით არ შემოიფარგლებოდა. კახამ საგოლე გადაცემაც შეასრულა და აბდულაიეს გაატანინა.

სხვათაშორის, საინტერესო უნდა იყო ის ფაქტი, რომ ხარკოველთა ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, ალადაშვილი თავდამსხმელის პოზიციაზე მოქმედებდა. არადა, მანამდე უკრაინაში სამი კლუბი გამოიცვალა კიევის "დინამო", "დნეპრი", "ზაკარპატიე" და სამივეში მარჯვენა მცველად აყენებდნენ.

"ალმა-ატისთან" კახა ალადაშვილმა შეუცვლელად ითამაშა. **ოთარ მარცვალაძეს** არ უთამაშია.

მალე ხარკოველთა მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ბესონოვი** ქართველებს განაჩენს გამოუტანს. ჩვენი ინფორმაციით, კახა ალადაშვილის დატოვება გადაწყვეტილია, ოთარ მარცვალაძის საქმეში ნახვა კი ბესონოვმა ჯერ ვერ მოახერხა.

**მერაბ მამულაშვილი**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# დავით გვარამაძემ ფეხბურთელის ფორმა გაიხადა და სტიქარი ჩაიცვა

## ჩვენთან მეკარეებს სიტყვით კლავენ, შეიძლებოდა ლომაიას ასეთი გაწირვა?



დავით გვარამაძე

გიორგი ლომაიას შემდეგ, მეკარეებს შორის, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი შეხვედრა (28) დათო გვარამაძემ ჩაატარა. დათოს უდიდეს იმედებს უკავშირებდნენ, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი სპეციალისტებმა გამოარჩიეს და თბილისის "დინამოდან" ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს.

ვისაც ის დრო ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ ვლადიმერ გუცაევის ნაკრებში გვარამაძე "დაფრინავდა". მისი დიდი დამსახურებაა, გუცაევის დროინდელმა ახალგაზრდულმა ჯგუფში ბუფონის, კოკოს, ლუკარელის, ლოკატელის, ამბროზინისა და ფიორეს იტალია რომ ჩამოიტოვა.

ეროვნულ ნაკრებშიც დამსახურებულად მოხვდა. ნიჭმა "გაქაჩა" და არა მენეჯერმა. მერე უცხოეთში წავიდა და პარადოქსულია, რომ წინსვლის ნაცვლად, ბოლო ათწლეულის გამორჩეული მეკარის უკუსვლა სწორედ ამის შემდეგ დაიწყო, ნაკრებშიც თავდაჯერებულობა დაკარგა და ბოლოს კარიერა თბილისის "ლოკომოტივში" დაასრულა.

დიახ, დათო გვარამაძემ კარიერა დაარულა. აი, ასე, მეკარისთვის კარგ ასაკში, 32 წლისამ ბუცები ჩამოკიდა და ფეხბურთიდან წავიდა.

მას აშკარად ეტყობა სინანული, ტკივილი და საუბრის დროს სევდიანი ტონი არ შეუცვლია. მან ხომ ცხოვრების დიდ ნაწილზე თქვა უარი.

**- ფეხბურთიდან წასულხარ. ეს იოლი გადასაწყვეტი საქმე არ იქნებოდა. რამ მიგიყვანა ამ აზრამდე?**

- რა ვიცი, უფრო პირობების არქონამ. ალბათ, უკვე გადავიზარდე...

**- ფეხბურთისთვის გადაიზარდე?**

- საქართველოს ჩემპიონატისთვის.

**- უცხოეთში წასვლა ვერ შესძელი?**

- ველოდებოდი წინადადებას და არაფერი გამოვიდა, საქართველოში თამაშიც აღარ მსურდა. არ დაგიმალავთ, ეს ჩემს თავმოყვარეობასაც ეხებოდა.

**- რატომ?**

- ვფიქრობდი, რომ მეტი შემეძლო. აქ თამაში მიმძიმდა. დამთავრდა პირველი წრე და "ლოკომოტივიდან" წამოვედი.

**- ისევ ფეხბურთში დარჩი თუ საინტერესო სამსახური მოძებნე?**

- ჯერ არაფერს ვაკეთებ, სახლში ვზივარ. ისე, დიდი სურვილი მაქვს, ფეხბურთში ვიმუშავო.

**- გავიხსენოთ შენი კარიერის მნიშვნელოვანი მომენტები, კარგიც, ცუდიც.**

- ყველაზე მნიშვნელოვანს გავიხსენებ. იყო ძალიან ბევრი, სასიამოვნოდ გასახსენებელი შეხვედრა. ცუდი ამბავი კი ტრავმები იყო, რამაც კარიერაში დიდი დაბრკოლება შემიქმნა.

**- კარიერაში ყველაზე სასიამოვნოდ რომელი შეხვედრა გახსენდება?**

- რუსთავში იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან გამარჯვება.

**- კარგად მახსოვს მოლდოვის ახალგაზრდებთან გასვლითი შეხვედრა, რომელიც ქართველ მაყურებელს არ უნახავს. იმ დღეს გაცილებით რთული ბურთების მოგერიება მოგიხდა, ვიდრე რუსთავში იტალიასთან.**

- ვლადიმერ გუცაევმა მოახერხა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნამდვილ გუნდად ჩამოყალიბება. ის იყო უძლიერესი გუნდი. იტალიასთან პირველ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ყველა შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ.

იტალიის ნაკრებთან საქართველოს ნაკრებმა რეალური პოტენციალი გამოავლინა. ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ მიხეილ ფოცხვერიასა და გიორგი კიკნაძეს მაინც გამოვარჩევდი. იმ დღეს ვიგრძენით, რომ თამაში ნებისმიერ ნაკრებთან შეიძლებოდა.

**- მერე ისევ იტალიასთან ნაკრებთან შეხვედრა იყო, მსაჯმა რომ გაგრძნობინათ - ყველა ნაკრებთან ბრძოლა არ შეიძლებაო. ორი პენალტი რომ მოიგონა...**

- მსაჯები თუ ჩაერევიან, ასეა. საბოლოოდ ტაბლოზე შედეგი რჩება და არავის ახსენდება, ვინ რა ხერხებით მოიგო. ისტორიას შედეგი რჩება.

**- ახალგაზრდული ნაკრების შემდეგ "სკონტოში" მიგიწვიეს, შემდეგ "კრილია სოვეტოვში" ითამაშე, მაგრამ რატომღაც, ვერ აეწყვე. ხელი რამ შეგიშალა?**

- თავიდან "სკონტოში" ვიყავი, მერე "კრილიას" მწვრთნელს მოვეწონე და ჩემი ყიდვა სურდა, მაგრამ ფინანსებზე ვერ შეთანხმდნენ და დამტოვეს თამაშგარეში.

**- შენი გამოცდილება სხვებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს: საქართველოს ნაკრებში საკმაოდ ახალგაზრდა მიგიწვიეს. იმ დროისთვის, სპორტული თვალსაზრისით, მზად კი იყავი, მაგრამ ასე მგონია, კარში გუნდთან ადაპტაციამდე ჩაგაყენეს და ამიტომაც გაგიჩნდა შენთვის უჩვეულო თავდაუჯერებლობა.**

- მე ეროვნულ ნაკრებამდე ყველა ეტაპი გავიარე. თუმცა პირველ ნაკრებში სხვა ფსიქოლოგია და გამოცდილება იყო საჭირო. მეკარე ისეთი პოზიციაა, უნდა ენდო და ერთხელ რომც შეცდეს, არ უნდა შეცვალო. ჩვენი უბედურება ისაა, რომ მეკარეებს ხშირად ვცვლიდით და თითოეულ წინას თავდაჯერებულობა ეკარგებოდა. მეკარე უნდობლობით ვერ გაიზრდება. ძალიან კარგად მახსოვს, თავიდან რა შეცდომებს უშვებდა ბუფონი, მაგრამ ნდობას გრძნობდა და გაცილებით თავდაჯერებული გახდა.

დიახ, უნდა გააკრიტიკო ნებისმიერი ფეხბურთელი და მეკარე, თუკი ეს საჭიროა, მაგრამ ხშირად ტაქტი აკლდათ. ხშირად მწვრთნელები ჩვენ გვაბრალებდნენ წაგებას და ეს ცუდად მოქმედებდა.

**- სწორედ შენი გამოცდილების გათვალისწინებით მსურს გკითხო - რამდენად გამართლებულად მიგაჩნია ტოპმიოლერის ექსპერიმენტი, როდესაც თბილისის "დინამოს" მეოთხე მეკარეს ეროვნული ნაკრების კარს ანდობს? ეს ამ ბავშვისთვის მეტისმეტი ტვირთი არ იქნება?**

- მეკარისადმი მართლა ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ნაკრებამდე ყველა ეტაპის გავლაა საჭირო, მეტი გამოცდილება მეტ თავდაჯერებულობასაც ნიშნავს. სათამაშო პრაქტიკის მისაღებად, თელავის "კახეთსა" და ხაშურის "ივერიაში" მივდიოდი.

**- მახსოვს, ამბობდი, სუსტ გუნდში შეგნებულად ვთამაშობო.**

- დიახ, ასე იყო, რადგან მეტად დავიტვირთვებოდი. სულ თამაშში ვიყავი ჩართული და ვიზრდებოდი. ყველა დამწყებ მეკარეს მოვუწოდებდი, რომ ჯერ საქართველოში დაამტკიცონ საკუთარი შესაძლებლობები და შემდეგ დაიწყონ უცხოეთზე ფიქრი.

**- ყველაზე საინტერესო მიწვევა რომელი იყო, რაც კარიერაში მიგიღია?**

- პრემიერლიგის "ბოლტონში" ვისინჯებოდი, მაგრამ ვერ დავრჩი. მაშინ გიორგი ქინქლაძე ინგლისში თამაშობდა და გუნდიდან ნაცნობმა დაურეკა, დაბალი ქართველი მეკარე მოიყვანეს, თუ იცნობო. სიმაღლეს არ ვუჩივი, მაგრამ "ბოლტონის" მეკარეებში ყველაზე დაბალი ვიყავი. ინგლისში სათამაშოდ სულ სხვა დონეზე უნდა იყო მომზადებული.

**- რა დაგრჩა ფეხბურთიდან?**

- ბევრი რამ, უპირველესად ძმაკაცები შევიძინე, ფეხბურთმა დამოუკიდებლად ცხოვრება მასწავლა. ყველაფერს ვერც გავიხსენებ.

**- და დაგიტოვა გულისტკივილი?**

- რომ არა ტრავმები, მეტი შემეძლო.

**- გუცაევის ახალგაზრდულ ნაკრებში შეკრებილ თაობას რა დაგაკლდათ, ბუფონისა და კოკოს თაობამ რომ გაჯობათ? გასაგებია, რომ გაჭირვებული ქვეყანა თავისთავად დაბრკოლებაა. თავად თქვენ საქმეს რაიმე დააკელით?**

- გეოგრაფიული მდებარეობით გვაჯობეს, ესაა მთავარი. ცხოვრების დონეც და პირობებიც იტალიასა და საქართველოში აბსოლუტურად განსხვავებულია. მინიმუმ, ხუთი წელი ჩვენთან პერსპექტივას ვერ ვხედავ. ქართული ფეხბურთი ძალიან ცუდ დღეშია.

**- შენი აზრით, ვინაა დღეისთვის პირველი ქართველი მეკარე?**

- რა თქმა უნდა, გიორგი ლომაია. არ შეიძლება ადამიანს ასე გადავუსვათ ხაზი. ვის არ დაუშვია შეცდომა, მაგრამ საერთოდ დაივიწყო? სიტყვა უნდა მოზომო, ადამიანს იმედი რომ არ ჩაუკლა. ჩვენს მეკარეებს ფსიქოლოგიურად კლავენ. მისი შემცვლელი ასეთ დამოკიდებულებას რომ ხედავს, კიდევ უფრო დაიძაბება. ეს ძალიან ცუდი მიდგომაა.

**- შენი აზრით, ვინაა ყველაზე ნიჭიერი მეკარე.**

- მაკარიძე, კვასხვაძე, თევდორაძე, ალავიძეც ძალიან კარგი მეკარეა.

**- სხვათა შორის, ბევრისთვის უცნობია, რომ პირველი ქართველი ფეხბურთელი ხარ, რომელმაც საკუთარი ინტერნეტ-მისამართი დაარეგისტრირე.**

- ის გვერდი ახლაც მაქვს, მაგრამ ძველებურ ყურადღებას ველარ ვაქცევ. მაშინ ისეთი "ნოუთბუქი" ვიყიდე, მაგრად მეამაყებოდა. მიყვარდა ინტერნეტი, მაშინ ახალი ხილი იყო.

**- შენ პირად მწვრთნელ იური სტადუხინზე ცალკე რომ არ გკითხო, არ გამოვა.**

- "ძიაძა" იურა შვილივით მევლებოდა და მეხმარებოდა. მისგან იმდენი სიკეთე მახსოვს...

**- როგორც გავიგეთ, სტიქარის ჩაცმის უფლება მოგცეს. დიდი მადლია.**

- ეს დიდი ხნის ამბავია, სტიქარი მამა ალექსიმ 2003 წელს ჩამაცვა. მის თანაგრძნობას ყოველთვის ვგრძნობ. როდესაც ვთამაშობდი, მაშინ დროის შეთავსება რთული იყო. ახლა კი მეტი დრო მაქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# ბენიტესმა სული მოითქვა

## ინტერი ამ სეზონში მეორედ დამარცხდა, რეალმა ზედიზედ მეორედ წააგო, ჩელსისა და შალკეს წარმატების კარგი შანსი აქვთ...



ლივერპული-ინტერი. ლივერპულელები ჯერარდის მეორე გოლს ზეიმობენ

### რომა-რეალი 2:1

**რომა:** დონი, პანუჩი (67. ტონეტო), მექსე, ჟუანი (77. ფერარი), კასეტი, დე როსი, პისარო (62. აკვილანი), ჟიული, პეროტა, მანსინი, ტოტი.

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰაინცე, ტორესი, დიარა (79. დრენტე), გუტი, გახო, რობენი (79. ჟულიო ბაპტიშტა), რაული, ვან ნისტელროი.

**გოლები:** 0:1 რაული (8), 1:1 პისარო (24), 2:1 მანსინი (58)

**მაყურებელი:** 72 000

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

"რომა" მადრიდში მინიმალური უპირატესობით გაემგზავრება. "სტადიო ოლიმპიკოზე" გამარჯვების გოლი **ამანტინო მანსინიმ** შეაგდო. ანგარიში **რაულ გონსალეს ბლანკომ** გახსნა. **დავიდ პისარომ** პირველსავე ნახევარში აღადგინა წონასწორობა. "ჯალოროსიმ" "რეალს" შინ პირველად მოუგო (მადრიდელებმა გასულ უქმეებზე, "ბეტისთანაც" წააგეს). რომაელებს საამისოდ ოთხი ცდა დასჭირდათ. მასპინძლებს გაუმართლათ კიდეც: თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე **როისტონ დრენტემ** ბურთი ხარიხას გაარტყა.

იტალიელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. მათ პირველსავე იერიშს კუთხური მოჰყვა. მატჩის დაწყებიდან რვა წუთი იყო გასული, "რეალი" რომ დაწინაურდა. მეკარე **ალეშანდრე დონის** დადანაშაულება უსამართლობა იქნებოდა. **გუტიმ** შორიდან ძლიერად დასცხო. ბურთი საჯარიმოში მყოფ რაულს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და კარში შევარდა. გოლი ამიტომაც ჩაიწერა მადრიდელი კაპიტნის ანგარიშზე. რომაელთა პასუხმა არ დააყოვნა. სტუმართა კარს **მარკო კასეტიმ** შეუტია. მან შორ კუთხეში დაუმიზნა. **იკერ კასილიასი** მთელი ტანით გაიწელა, რათა ბურთი აეღო. რამდენიმე წუთში **რუუდ ვან ნისტელროიმ** მეორედ აილო მეტოქის კარი. მსაჯმა გოლი სამართლიანად გააუქმა. ჰოლანდიელი თავდამსხმელი აშკარა თამაშგარეში იმყოფებოდა.

მე-12 წუთზე **სიმონე პეროტამ** ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენა. მას ხელს არავინ უშლიდან. კარიდანაც სულ რამდენიმე მეტრი აშორებდა, მაგრამ ბურთს ფეხი ვერ მოარტყა. მინდვრის მეორე ნახევარზე **გაბრიელ ჰაინცე** დროულად ჩაუხტა ფეხებში მანსინის, რომელიც **ფრანჩესკო ტოტისთვის** პასის გაკეთებას აპირებდა. ბრაზილიელს რომ პასი გამოსვლოდა, რომაელი კაპიტანი კასილიასთან პირისპირ აღმოჩნდებოდა. "რეალმა" ვან ნისტელროის თავურით უპასუხა. **არიენ რობენის** პასის შემდეგ რუუდმა შორი კუთხისკენ გაგზავნა ბურთი, მაგრამ ოდნავ ააცილა. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და ანგარიში გათანაბრდა. მანსინიმ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. ჰაინცემ ბურთი გამოიტანა. ის პისაროს მიუგორდა. კასილიასი მასთან ვერაფერს გახდა. ერთ წუთში ვან ნისტელროიმ შესანიშნავი მომენტი ვერ გამოიყენა. რაულმა მას საჯარიმოში გადააწოდა ბურთი. ჰოლანდიელმა ერთი შეხებით სცადა გოლის გატანა, მაგრამ უშედეგოდ. ტაიმის მიწურულს **დონიმ** გუტის საჯარიმო მოიგერია.

მეორე ტაიმი ისევ "რეალის" იერიშებით დაიწყო. დონიმ ვან ნისტელროის შეუშალა ხელი. 58-ე წუთზე "რომამ" მეორე გოლი შეაგდო. ტოტიმ ფლანგზე გაიბრწყინა. მან მანსინის საჯარიმოში საუცხოო პასი გაუკეთა. ბრაზილიელი კასილიასს გასცდა და მახვილი კუთხიდან შეაგდო. რომაელებმა უკან დაიხიეს და თამაში კონტრშეტევებზე ააგეს. ერთ ეპიზოდში ოთხმა რომაელმა ორ მადრიდელ მცველს შეუტია. ტოტიმ ბურთი მანსინის გაუგორა. ის კი საუკეთესო პოზიციაში არ იმყოფებოდა, რის გამოც შეტევის დაყოვნება მოუხდა. დარჩენილ დროში დრენტემ ხარიხა შეაზანზარა, ხოლო **ჟულიო ბაპტიშტამ**, რომელსაც რაულმა მეტოქის საჯარიმოში მკერდით დაუგდო ბურთი, კარს გვარიანად ააცილა.

### ოლიმპიაკოსი-ჩელსი 0:0

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, მიხ. ჟევლაკოვი, ჟულიო სეზარი, ანცასი, პანტოსი, ლედესმა, ტოროსიდისი, სტოლტიდისი, გალეტი (83. ლეონარდო), ჯორჯევიჩი (76. ბელუში), კოვაჩევიჩი (87. ნუნიესი).

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, რიკარდო კარვალიო, ალექსი, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ბალაკი (86. ლემპარდი), მალუდა (75. კალუ), ჯ. კოული (75. ანელკა), დროგბა.

**მაყურებელი:** 33 500

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

"ჩელსიმ" ათენში სასურველ შედეგს მიაღწია. ფრე მეტოქის მოედანზე ხელსაყრელი ანგარიშია. "არისტოკრატებს" მეოთხედფინალში გასვლის ჩინებული შანსი აქვთ. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ისინი "ოლიმპიაკოსს" გააგდებენ, მაგრამ შეუძლიათ უფრო მეტის მიღწევა? სამშაბათ საღამოს ლონდონელებმა მეტოქის კართან ერთი ღირებული მომენტიც კი ვერ შექმნეს. მათ უსახურად ითამაშეს. ასეთი ასპარეზობით ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლებელია.

**ავრამ გრანტმა** გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. მან ჯონ ტერი და ფრენკ ლემპარდი სკამზე დასვა. "ოლიმპიაკოსი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. ათენელები მერვედფინალში სიკვდილის ჯგუფიდან გავიდნენ. ბერძნებმა "ლაციოსა" და "ვერდერს" აჯობეს. ისინი ბოლო 11 წელიწადში 10-ჯერ გახდნენ საბერძნეთის ჩემპიონები, მაგრამ გრანტმა მაინც შესუსტებული შემადგენლობა ათამაშა.

სტუმრებმა მეტოქის კარისკენ პირველად 31-ე წამზე დაარტყეს. **მიკაელ ესიენმა** გვარიანად ააცილა. მეშვიდე წუთზე მასპინძლებს გოლის გატანა შეეძლოთ. **სტოლტიდისმა კოვაჩევიჩი** შენიშნა. **რიკარდო კარვალიომ** მისი პასი დროულად ჩაჭრა. მე-15 წუთზე **ფლორან მალუდამ** შორიდან დაარტყა. **ნიკოპოლიდისმა** ბურთი მშვიდად დაიჭირა. 28-ე წუთზე სტოლტიდისმა კარის გასწვრივ ჩააწოდა. **ტოროსიდისმა** ბურთს ვერ მიუსწრო. "ოლიმპიაკოსი" ქაოტურად უტევდა. "ჩელსი" მის იერიშებს იოლად უმკლავდებოდა და დინჯად ათამაშებდა ბურთს.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ორი სახიფათო მომენტი შექმნეს. პრედრაგ ჯორჯევიჩმა შორიდან დაარტყა. **პეტრ ჩეხმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია. 65-ე წუთზე სტოლტიდისისა და ჯორჯევიჩის კომბინაციას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა. არგენტინელმა ნახევარმცველმა **ლუსიანო გალეტიმ** ათი იარდიდან არაზუსტად დასცხო. თამაშის მიწურულს გრანტმა ანელკა, ლემპარდი და კალუ გამოიყვანა. მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. "ჩელსი" ფრეზე თანახმა იყო, ამიტომ თამაში მშვიდად ჩაამთავრა. ორ კვირაში "არისტოკრატებს" ერთი გოლის გასატანად მაინც მოუწევთ თავის შეწუხება.

### ლივერპული-ინტერი 2:0

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, ჰიიპია, ფაბიო აურელიო, მასკერანო, ჯერარდი, ლუკასი (64. კრაუჩი), კუიტი, ფერნანდო ტორესი, ბაბელი (72. პენანტი).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა (76. ბურდისო), მატერაცი, კივუ, ძანეტი, სტანკოვიჩი, კამბიასო, მაქსველი, კრუსი (55. ვიეირა), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 1:0 კუიტი (85), 2:0 ჯერარდი (90)

**გაძევება:** მატერაცი (30. ინტერი)

**მაყურებელი:** 45 000

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

ასეთი რამ მხოლოდ "ლივერპულს" შეუძლია: უქმეებზე ქვედადივიზიონის "ბარნსლისთან" წააგოს, ხოლო სამშაბათს დამაჯერებელი ანგარიშით სძლიოს მრისხანე "ინტერს". სამი თვეა, მერსისაიდელები სავალალო ფორმაში იმყოფებიან. პირველ მერვედფინალში გამარჯვება **რაფა ბენიტესს** სულის მოთქმის საშუალებას მისცემს.

მილანურმა გრანდმა მიმდინარე სეზონში მხოლოდ მეორე მარცხი იწვნია - პირველად ლიგის ჯგუფურ ტურნირში, სტუმრად, "ფენერბაჰჩესთან" წააგო. აქვე გეტყვით, რომ "ინტერს" სტუმრად ჩატარებულ ბოლო 45 მატჩიდან მხოლოდ 3 ჰქონდა წაგებული. მაგრამ სტატისტიკა ვერაფერი ნუგეშია. **რობერტო მანჩინის** გუნდს "ლივერპულთან" ორბურთიანი დეფიციტის აღმოფხვრა ძალიან გაუჭირდება. გოლები **დირკ კუიტმა** და **სტივ ჯერარდმა** გაიტანეს.

სტუმრებმა მთელი ერთი საათი ათი კაცით ითამაშეს. ბელგიელმა არბიტრმა **ფრანკ დე ბლეეკერემ მარკო მატერაცი** გააძევა. მატერაციმ ორი ყვითელი ბარათი მიიღო, ორივე **ფერნანდო ტორესთან** უხეშობისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მატერაცის პირველი გაფრთხილება უსამართლო იყო. ესპანელი თავდამსხმელი თვითონ წამოედო იტალიელი მცველის ფეხს.

"ინტერისთვის" ჩემპიონთა ლიგას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გუნდი იტალიის პირველობას 11-ქულიანი სხვაობით ლიდერობს. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ "ნერაძური" მორიგ (ზედიზედ მესამე) სკუდეტოს დაეუფლება. პრეზიდენტი **მასიმო მორატი** ახალ გამარჯვებას უფრო მეტად დააფასებდა, მაგრამ მანჩინის შეგირდები ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად მზად არ არიან. სტუმრებმა "ენფილდზე" უძლიერესი გუნდი გამოიყვანეს. "ლივერპულსაც" ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავდა. "ბარნსლისთან" მატჩის შემდეგ მოედანს დაუბრუნდნენ **ჯერარდი, ტორესი, რეინა** და **მასკერანო**.

მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს. მეორე წუთზე "ინტერის" კარში პენალტის დანიშვნა შეიძლებოდა - **ჯეიმი კარაგერის** (ის ევროტურნირებზე "ლივერპულის" მაისურით 99-ე მატჩს ატარებდა) დარტყმის შემდეგ **მაიკონს** ბურთი გაშვერილ ხელში მოხვდა. **რაიან ბაბელსა** და **სემი ჰიიპიას** კარგი მომენტები ჰქონდათ. ტორესმა მეტოქის მცველებს სისხლი გაუშრო. მასკერანო მოედნის ცენტრში საუცხოოდ თამაშობდა. ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლები რეალურ მომენტებს ვერ ქმნიდნენ. მეორე ნახევარში მანჩინიმ **ხულიო კრუსის** ნაცვლად **პატრიკ ვიეირა** გამოიყვანა. ყველაფერი ნათელი იყო: მილანელები გამარჯვებაზე აღარ ფიქრობდნენ. მათ მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენა სურდათ.

ვიეირას გამოჩენას "ლივერპულის" უპირატესობა ოდნავადაც არ შეუსუსტებია. მასპინძლებს ორ წუთში ორი გოლი უნდა გაეტანათ. **ჟულიო სეზარმა** ტორესს აუღო, ჰიიპიამ კი თავით ოდნავ ააცილა. მე-60 წუთზე ვიეირამ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. ეს ვერც მთავარმა მსაჯმა დაინახა და ვერც მისმა ასისტენტმა. "ლივერპულს" მხოლოდ კუთხური დაუნიშნეს. ბენიტესმა **კრაუჩი** გამოიყვანა, ცოტა ხანში - **პენანტიც**. "ინტერს" **ივან კორდობა** დაუშავდა. მის ნაცვლად თამაშში **ნიკოლას ბურდისო** ჩაერთო.

თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე პენანტმა "ინტერის" საჯარიმოში ჩააწოდა. კუიტმა ძლიერად დაარტყა. ბურთი მაიკონს მოხვდა და მაღალ კუთხეში შევარდა. ხუთ წუთში ჯერარდმა მეორე გოლი შეაგდო: მან ბურთი საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან მიიღო და შორ კუთხეს დაუმიზნა. 2:0 "ინტერთან" - ბენიტესი უკეთეს შედეგს ვერ ინატრებდა.

### შალკე-პორტუ 1:0

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ფ. ერნსტი, რაკიტიჩი (76. გროსმიულერი), კობიაშვილი, ასამოა (81. ჰალილ ალთინთოფი), კურანი (89. ვისენტე სანჩესი).

**პორტუ:** ჰელტონი, ჟოაო პინტუ, პედრო ემანუელი, ბრუნო ალვეში, ფუჩილე (86. მარიანო გონსალესი), ლუჩო გონსალესი, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელესი, ლისანდრო ლოპესი, რიკარდო კუარეშმა, ფარიასი (56. სექტიუი).

**გოლი:** 1:0 კურანი (4)

**მაყურებელი:** 53 951

**არბიტრი:** ლორან დუჰამელი (საფრანგეთი)

"შალკემ" გაიხარა და ქომაგებიც გაახარა! **ლევან კობიაშვილის** გუნდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, "პორტუსთან" უდიდესი მოტივაციით ითამაშა და სრულიად დამსახურებული გამარჯვება იზეიმა. ერთი ეგაა, რომ ანგარიში ვერ არის ისეთი, როგორსაც შალკელები ნატრობდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ გელზენკირხენელებმა პროგრამა მინიმუმი შეასრულეს - მწვრთნელი **მირკო სლომკა** თამაშის წინ ამბობდა, გვინდა, რომ მოვიგოთ, თანაც ისე, რომ გოლი არ გავუშვათო. ასეც მოხდა, მაგრამ 1:0 არ არის ის ანგარიში, რომელიც "შალკეს" მშვიდად ყოფნის საშუალებას მისცემს.

მატჩის წინ გელზენკირხენელი ქომაგები **კევინ კურანის** შესახებ ბჭობდნენ, "შტუტგარტთან" გენიალურად ითამაშა, "ვოლფსბურგთან" კი ფეხბურთელს არ ჰგავდა, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის კევინი, გმირი თუ იდიოტიო. კურანიმ ამ კითხვას პასუხი მატჩის დაწყებიდან ზუსტად 3 წუთსა და 15 წამში გასცა: **ჯერმეინ ჯონსმა რაფინია** მოძებნა, ამ უკანასკნელმა დაარტყა, "პორტუს" მეკარე **ჰელტონმა** ბურთი უაზროდ მოიგერია, დამატებაზე კი სწორედ კევინი იდგა, რომელმაც ანგარიში გახსნა. იყო თუ არა ეს ის გოლი, რომელიც "შალკეს" არსებობის განმავლობაში პირველად, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანს, ეს 5 მარტს, საპასუხო მატჩში დადგინდება. ფაქტია ისიც, რომ მატჩის წინ კევინი იმუქრებოდა, ერთ გოლს აუცილებლად გავიტან, თუ არა და, საგოლე გადაცემას მაინც გავაკეთებო.

ამრიგად, კურანიმ "შალკე" მინიმუმ 5 მარტამდე გააბედნიერა, მაქსიმუმ კი კიდევ 7 მილიონით გაამდიდრებს - იმ შემთხვევაში, თუ "ხუმარები" მეოთხედფინალში გავლენ, იმ 28 მილიონ ევროსთან ერთად, რომელიც მერვედფინალში გასვლისთვის დაიმსახურეს, კიდევ 7 მილიონს მიიღებენ. ჯგუფური ეტაპის შემდეგ "შალკეს" პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** თქვა, ეს ისეთი თანხაა, რომლისთვისაც ბიჭები უკანალზე უნდა გაიხიონო. და მართლაც: შალკელები "პორტუსთან" თავდაუზოგავად იბრძოდნენ.

ერთი სიტყვით, პორტუგალიის ჩემპიონმა კობიაშვილის გუნდს ვერაფერი დაუპირისპირა. რომ არაფერი გამოსდიოდათ, პორტუგალიელები მეორე ტაიმში ბინძურ თამაშზე გადავიდნენ. მაგალითად, 50-ე წუთზე **ფუჩილე** მინდორზე გაიშხლართა და მსაჯს უჩვენებდა, **ასამოამ** დამარტყაო. გამეორებაზე კი ნათლად ჩანდა, რომ ჯერალდი მას არ შეხებია. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, პორტუგალიელებს მსახიობობის ნიჭიც არ ჰქონიათ, შეხედონ იტალიელებს და ისწავლონ, როგორ უნდა სიმულანტობაო. "შალკე" კი, დაცვაშიც კარგად იდგა. გამონაკლისი მხოლოდ მე-80 წუთი გახლდათ, როცა **ლისანდრო ლოპესმა მანუელ ნოიერის** კარს 3 მეტრიდან ააცილა. აი, აქ კი გაუმართლა "შალკეს".



რომა-რეალი. დონიმ რაულს დაასწრო



დავიდ ალბელდამ თავისი გაიტანა

ვალენსია

# ალბელდა სასამართლოდან სარჩელს გამოიტანს

## ღამურების ხელმძღვანელობა თანახმაა, ფეხბურთელის მოთხოვნები სასამართლო დავის გარეშე დააკმაყოფილოს

პარასკევს ვალენსიის სასამართლოს **დავიდ ალბელდას** საჩივრის განხილვა აქვს დანიშნული. მოგეხსენებათ, ესპანელი ნახევარმცველი "ვალენსიის" მთავარმა მწვრთნელმა **რონალდ კუმანმა** გუნდიდან მოკვეთა. ფეხბურთელს იმედი ჰქონდა, რომ ხელმძღვანელობა იანვრის სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე თავისუფალი აგენტის სტატუსს მიანიჭებდა, თუმცა ასე არ მოხდა. მოგვიანებით კი "ვალენსიის" დირექტორატმა სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. მათ ალბელდასთან შეუთანხმებლად ხელშეკრულება შეაჩერეს. დავიდმა სასამართლოში სარჩელის შეტანა სწორედ ამის გამო გადაწყვიტა.

გუშინ დამატებითი დეტალებიც გახმაურდა. ირკვევა, რომ "ღამურების" შეფები მას ავალდებულებდნენ "მესტალიიდან" აზარგების შემთხვევაში "ბარსელონასთან", "რეალთან", "სევილიასთან, "ატლეტიკოსა" და "ვილიარეალთან" არ დაეჭირა საქმე. როგორც ხვდებით, ამ ხალხს არ სურდა, რომ კუმანის მიერ სრულიად უსამართლოდ ათვალწუნებული ფეხბურთელი "ვალენსიის" კონკურენტებს ჩავარდნოდათ ხელში. ბუნებრივია, დავიდს ეს არ აწყობდა. კაბალური პირობა კიდევ ერთი მსუყე არგუმენტი გახლდათ იმისთვის, რომ საქმე სასამართლომდე მისულიყო...

მოსამართლის მოსალოდნელი გადაწყვეტილებით შეშფოთებული ვალენსიელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქმე უხმაუროდ და კლუბისთის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ ჩაიფარცხოს. ისინი მზად არიან, დავიდს საინტერესო პირობები შეუქმნან იმისათვის, რომ სარჩელი გამოიტანოს. გუშინ ვიცე-პრეზიდენტი **რაფაელ სალომი** და აღმასრულებელი მდივანი **სალვადორ ლუჩი** ალბელდას შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ ნახევარმცველი მათთან საუბრისგან ბოლო მომენტამდე იკავებდა თავს, მაგრამ შეხვედრას მისთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანის ხათრით დათანხმდა. საქმე "ვალენსიის" გულშემატკივართა ასოციაციის თავმჯდომარეს, **ხაუმე პარტს** ეხება. აღმოჩნდა, რომ სენიორ პარტი და დავიდი დიდი ხნის მეგობრები არიან. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დაპირისპირებული მხარეები მაგიდას მიუსხდნენ. "ვალენსიის" ვიცე-პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ კონკურენტ გუნდებში გადასვლის საწინააღმდეგო მოთხოვნას საერთოდ აღარ ახსენებენ. კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის ფაქტსაც სამუდამოდ დაივიწყებენ, ოღონდ დავიდმა სასამართლოდან სარჩელი გამოიტანოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დავის მთავარ მიზეზს საკომპენსაციო თანხა წარმოადგენს. კონტრაქტის თანახმად მისი დამრღვევი მხარე ვალდებულია 70 მილიონი ევრო გადაიხადოს. ბუნებრივია, "ვალენსია" ამხელა ფულის ალბელდას ანგარიშზე ჩარიცხვას ვერ შეძლებს. ამიტომ, ფეხბურთელს თხოვნით მიმართეს, ნაკლებ თანხას დაყაბულებულიყო. დავიდი დათანხმდა. თუ, რატომ, ამას მისი განცხადების წაკითხვით შეიტყობთ: *"ხაუმე პრატი ჩემი მეგობარია და მისი გულწრფელი თხოვნის გამო მოლაპარაკებები დავიწყე. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად მომექცნენ, მე "ვალენსიის" უდიდეს გულშემატკივრად ვრჩები. ვაცნობიერებ, 70 მილიონი ევროს გადახდა, გუნდს კოლაფსის საფრთხის წინაშე დააყენებს. ცხადია, არ მსურს, რომ ჩემი საყვარელი კლუბი დაინგრეს. ამიტომ, ვიცე-პრეზიდენტს კაცური სიტყვა მივეცი, რომ გაცილებით ნაკლებ თანხას დავჯერდები. კონკრეტულ ციფრს ვერ დაგისახელებთ. შეურაცხყოფა რომ არ მოეყენებინათ და დელიკატურად ეთქვათ, აღარ გვჭირდებიო, გეფიცებით, ერთ ცენტსაც არ მოვითხოვდი. მაგრამ მათ ტალახი მესროლეს და არ შემიძლია, საკუთარი უფლებები არ დავიცვა. მოკლედ, 70 მილიონი დავიწყებულია, თუმცა ჩემ მიერ მოთხოვნილი საკომპენსაციო თანხა მაინც ძალიან სოლიდურია."*

სენიორ სალომმა შვებით ამოისუნთქა. მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ პარასკევამდე კიდევ ერთხელ შეხვდებიან და საბოლოო დეტალებს შეათანხმებენ. სამართლებლივი გარანტიების მისაღებად მომდევნო შეხვედრაზე ალბელდას ადვოკატიც გაყვება. არც არის გასაკვირი, მან ხომ კანონები კარგად არ იცის და შეიძლება, მოატყუონ.

ინტერვიუ ფატიჰ თერიმთან

# ევროპის ჩემპიონატის მოგება ყველა ნაკრებს შეუძლია

## თერიმი: თურქული ფეხბურთის წინსვლაში უდიდესი წვლილი სახელმწიფოს მიუძღვის

დიდი ხნის განმავლობაში თურქულ ფეხბურთს "მძინარე გიგანტს" უწოდებდნენ, გამომდინარე იმ რესურსებიდან თუ პოტენციალიდან, რაც ამ ქვეყანას ნიჭიერი ფეხბურთელების სახით გააჩნდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საქმეში აქსელერატორის როლი შეასრულა, ფატიჰ თერიმი, ნაკრების ყოფილი მცველი გახლდათ. 1996 წელს, მის ხელში, თურქეთის ეროვნულმა გუნდმა ევრო 96-ის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. ეს იყო პირველი შემთხვევა 1954 წლის (მსოფლიო ჩემპიონატი) შემდეგ, როცა ამ ქვეყნის ნაკრებმა დიდ საფეხბურთო ფორუმში მიიღო მონაწილეობა. სწორედ თერიმმა ჩაუყარა საფუძველი იმას, რაც 2002 წლის მუნდიალზე მოხდა, სადაც ჩვენი მეზობელი ქვეყნის ნაკრებმა ისტორიულ წარმატებას, ბრინჯაოს მედლებს გამოჰკრა ხელი...

ვიდრე 2005 წელს თურქეთის ნაკრებში დაბრუნდებოდა, თერიმი "გალათასარაიში", "ფიორენტინასა" და "მილანში" მუშაობდა. 2006 წელს მან ეროვნული გუნდი დატოვა, თუმცა ათიოდ დღეში ის მესამედაც ჩაიბარა. თერიმისა და მისი შეგირდების მომდევნო გამოწვევა ევრო 2008-ის ფინალური ეტაპია. წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე მას ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი ესაუბრა...

**- შეგიძლიათ, რამდენიმე ფრაზით ახსნათ, რას ნიშნავს ფეხბურთი თურქი ხალხისთვის?**

- თურქეთი ყველა პარამეტრით საფეხბურთო ქვეყანაა. უნდა ნახოთ, როგორი სიყვარული და ვნება აქვთ სპორტის ამ სახეობისადმი ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას. მაგრამ ასეა ბევრ სხვა ქვეყანაშიც, რადგან ჩვეულებრივი გულშემატკივრისთვის ეს არის შესანიშნავი სანახაობა. კლუბები ფინანსურად იზრდებიან, რაც საერთო საფეხბურთო ეკონომიკას კიდევ უფრო მაღალ დონეზე სწევს.

**- თქვენთვის, პერსონალურად, თქვენი ქვეყნის მთავარი საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელობა პატივსაცემი სამუშაოა?**

- ერთმნიშვნელოვნად. იცით, რაშია საქმე? როცა ეროვნული გუნდის მწვრთნელი ხდები, თავისთავად იღებ პასუხისმგებლობას. ჩემს შემთხვევაში თურქული ფეხბურთის განვითარების რაღაც კურსზე და გარკვეული ამოცანების შესრულებაზე. შესაბამისად, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სამუშაო.

**- 2002 წელს თურქეთის ნაკრებმა მუნდიალზე მესამე ადგილი დაიკავა, "ფენერბაჰჩემ" პირველად გაალწია ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში, თქვენ ნაკრებმა კი ევრო 2008-ის ფინალური ეტაპის ბილეთი მოიპოვა. რა შეიცვალა ასეთი თურქულ ფეხბურთში, რამაც ამხელა წარმატებები მოიტანა?**

- ეს დაიწყო 1996 წლიდან, როცა ჩვენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე აღმოვჩნდით. წარმატებათა მთავარი მამოძრავებელ ძალად იქცა "თურქული ფეხბურთის სკოლა", რაშიც უდიდესი როლი სახელმწიფომ შეასრულა. ხოლო რაც შეეხება "ფენერბაჰჩეს" გასვლას ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში, ესეც უმნიშვნელოვანესი მომენტია თურქული ფეხბურთისთვის, თუნდაც სხვა ჩვენი კლუბებისთვის.

**- ფეხბურთელობის ჟამს, თქვენ დიდხანს იყავით იმ მოთამაშეთაგანი, რომელსაც ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი მატჩი ჰქონდა ჩატარებული. ახლა, თქვენ თურქულ ფეხბურთში ყველაზე მოთხოვნადი და აღიარებული მწვრთნელი ხართ. ფეხბურთელობა სჯობს თუ მწვრთნელობა?**

- მე მგონი, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია, ფეხბურთი გიყვარდეს. და მე ძალიან მიყვარს ეს თამაში. მოკლედ, პროფესიონალისთვის მთავარია, საქმეში აქტიურად იყოს ჩართული.

**- თურქი ფეხბურთელები ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან, თუ გავითვალისწინებთ წმინდა საფეხბურთო თვისებებს, ტექნიკასა თუ ფიზიკურ გამძლეობას. რას მიაწერდით ამას?**

- როცა ჩვენ ევრო 96-ზე გავედით, ამით თურქი ფეხბურთელების მენტალიტეტი შევცვალეთ. მაშინ მე ამას რევოლუცია ვუწოდე და როგორც ხედავთ, მართალიც ვიყავი. გაიხსენეთ, იმ პერიოდში საზღვარგარეთ არც ერთი თურქი ფეხბურთელი არ თამაშობდა. მენტალიტეტის შეცვლამ გამარჯვებები გვასწავლა. ამიტომ, ჩვენს მოთამაშეებზე მოთხოვნა უმალ გაიზარდა. ისინი კარგ ევროპულ კლუბებში გადავიდნენ და სწორედ ამან მოიტანა 2002 წლის მუნდიალის ბრინჯაოს მედლები.

**- ბევრი თურქი მოთამაშე, მაგალითად ტყუპი ძმები ალთინთოფები, ფეხბურთელებად უცხოეთში ჩამოყალიბდნენ. არის განსხვავება მათსა და იმ მოთამაშეებს შორის, რომლებიც სამშობლოში იზრდებიან?**

- მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რადგან ესაა განსხვავება, პირველ რიგში, ორ სხვადასხვა სამყაროს შორის. ფეხბურთელის კლასის ამაღლებაზე ყველგან შეიძლება იმუშაო, აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში, რადგან მეთოდები ძირითადად ერთნაირია. მაგრამ რაც შეეხება მენტალიტეტს, ეს უკვე პერსონალური მომენტია. სწორედ მენტალიტეტი ახდენს დიდწილ გავლენას ფეხბურთელის თამაშის ხარისხზე. აქ საქმე უკვე სოციალურ ასპექტებშია.

**- მოდით, ევრო 2008-ზე ვისაუბროთ. რას ფიქრობთ თქვენს სამ მეტოქეზე - შვეიცარიის, ჩეხეთისა და პორტუგალიის ნაკრებებზე?**

- თუ ფიფას რეიტინგს შევხედავთ, დავინახავთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი მეტოქეები სტაბილურობით გამოირჩევიან. რა თქმა უნდა, ისინი იცვლებიან, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელოდ. პორტუგალიის ნაკრები ევრო 2004-ის ვიცე-ჩემპიონია. რეიტინგში მათ ბოლოს მერვე ადგილი ეკავათ. უფრო ზემოთაა ჩეხეთი, რომელიც ევრო 96-ის ფინალისტია. მართალია, შვეიცარია 44-ე ადგილზეა, მაგრამ ეს გუნდი ხომ ერთ-ერთი მასპინძელია, ამიტომ, თავიდანვე სოლიდური უპირატესობა აქვს. ჩვენი მიზანი კი ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, თურქულ ფეხბურთზე კვლავ საუბრობდნენ, როგორც მზარდ ფენომენზე.

**- თქვენი აზრით, ვინ იქნება ევროპის ჩემპიონატის ფავორიტი?**

- ჩემი აზრით, გამარჯვების შანსი 16-ვე ნაკრებს აქვს, ბუნებრივია, მეტნაკლები ალბათობით. ძნელია, რომელიმე ნაკრები გამოარჩიაო. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული მცირე დეტალებზე, რადგან ფინალური ეტაპის მონაწილეთა შორის განსხვავება არც თუ დიდია.

**- რას შეიძლება მიაღწიოს თურქეთის ნაკრებმა? უფრო კონკრეტულად, რა არის თქვენი მიზანი?**

- მიზანი ისაა, რომ რაც შეიძლება შორს წავიდეთ. ნამდვილად კარგი გუნდი გვყავს, თუნდაც ცალკეული ფეხბურთელი ავიღოთ. ნიჭისა და ნაყოფიერი შრომის სინთეზით წარმატების მიღწევა ნამდვილად შეგვიძლია. ვეცდებით, რაც შეიძლება ლამაზი ფინიში გვქონდეს.


ფატიჰ თერიმის ოპტიმისტური ნოტები

**- ვინ არიან დღეს თურქეთის ნაკრების წამყვანი მოთამაშეები, ანუ, ფეხბურთელები, რომლებზეც ყველაზე მეტ ფსონს დებთ?**

- არ მინდა დაკონკრეტება. ასეთი ფეხბურთელები ჩვენც გვყავს და ჩვენს მეტოქეებსაც. რა თქმა უნდა, ამ ტიპის მოთამაშეები უდიდეს როლს თამაშობენ, მაგრამ მთავარი მაინც მათი ერთობლიობა, გუნდურობაა. ერთი სიტყვით, მნიშვნელოვანია, როგორ ვითამაშებთ, და არა ის, თუ ვინ ითამაშებს.

**- და ბოლო კითხვა: შეუძლია თურქეთის ნაკრებს მსოფლიო თასის მოგება? სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე გეკითხებით...**

- აქამდე, მსოფლიო ჩემპიონატი მხოლოდ ევროპულ და სამხრეთამერიკულ გუნდებს აქვთ მოგებული. 2010 წელს აფრიკა მუნდიალს პირველად უმასპინძლებს. ჩემი აზრით, საუკეთესო შანსი სწორედ ერთ-ერთ იქაურ ნაკრებს აქვს. აფრიკული გუნდების პოტენციალი ყოველწლიურად იზრდება. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ გამარჯვება რომელიმე ევროპულმა ნაკრებმა მოიპოვოს და ნუ გამორიცხავთ, რომ ეს თურქეთიც იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა




ესპანელებს იოზეფ ბლატერის მუქარის არ ეშინიათ

ფიფა

# ესპანეთის მთავრობა ცეცხლს ეთამაშება

**ალფრედო დი სტეფანოს** იუბილეზე მადრიდში ჩასულმა **იოზეფ ბლატერმა** "დიარიო ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში ისეთი რამ თქვა, რომ მთელი ესპანეთი შეძრწუნებულია. შეგახსენებთ, ფიფას პრეზიდენტი ესპანეთის მთავრობასა და ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტს შორის არსებულ დაპირისპირებას გამოეხმაურა. გაირკვა, რომ სპორტის სახელმწიფო მდივანი **ხაიმე ლისავეტსკი ანხელ მარია ვილიარს** უბრძანებს, არჩევნები პეკინის ოლიმპიადის დასრულებამდე არ გადადოს. ბლატერს სახელმწიფო ჩინოსნის ტონი სასტიკად არ მოეწონა და განაცხადა, თუ მთავრობა ფედერაციის საქმეში მომავალშიც ჩაერევა, ესპანეთს ყველა დონის საერთაშორისო ტურნირიდან მოვკვეთო. დიახ, "რეალს", "ბარსელონასა" და "სევილიას" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის გაგრძელების უფლებას ჩამოვართმევთ, სელექსიონს კი ევროპის პირველობაზე თამაშს ავუკრძალავთო. ბლატერმა ისიც დაიკვეხნა, ამ გადაწყვეტილების მისაღებად მაქსიმუმ ექვსი საათი დამჭირდებაო.

ფიფას უმაღლესი ხელისუფალის სკანდალური განცხადების შემდეგ ესპანელი კორესპონდენტები ხაიმე ლისავეტსკის კაბინეტს მიაწყდნენ. სახელმწიფო მდივანი იძულებული გახდა, საგანგებო პრესკონფერენცია გაემართა. პირველ რიგში, მას ჰკითხეს, ბლატერის სიტყვების მოსმენის შემდეგ როგორ განწყობაზე დადგა: *"რას ამბობთ, ყოვლისშემძლე ფიფას პრეზიდენტის ფონზე, მე საბრალო სახელმწიფო მდივანი ვარ. არ მესმის, ბლატერი როგორ აძლევს თავს იმის უფლებას, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდეს და ასეთი ტონით გვესაუბროს. მგონი, ესპანეთში ესპანელები ვმართავთ ქვეყანას. ეგლა გვაკლია, ფიფას ვუქნიოთ კუდი. ჩვენ კანონისა და კონსტიტუციის სრული დაცვით ვმოქმედებთ. ასე რომ, სენიორ ბლატერს ურჩევნია, ნერვები დაიმშვიდოს."*

ასეთი პასუხით გაოგნებულმა ჟურნალისტებმა ლისავეტსკის შეახსენეს, რომ ფიფა გამონაკლისებს არასოდეს უშვებს და ფედერაციების საქმეში მთავრობების ჩარევისას ყოველთვის უმკაცრესი ვერდიქტი გამოაქვს, რასაც სრული იზოლაცია ჰქვია. ბატონმა ხაიმემ საზოგადოების შეშფოთებას მოკლე წინადადებით უპასუხა: *"ესპანეთის ნაკრები აუცილებლად ითამაშებს ევროპის პირველობაზე, რადგან მან ამის უფლება საკვალიფიკაციო რაუნდში გამარჯვებით მოიპოვა."*

ძნელი სათქმელია, რისი იმედი აქვს ლისავეტსკის. თუ ფიფამ საბერძნეთი მოკვეთა საერთაშორისო ტურნირებიდან, ესპანეთს რატომ დაუწყებს მოფერებას? სხვათა შორის, ელადელები საერთაშორისო ფეხბურთში მხოლოდ მას შემდეგ დააბრუნეს, რაც ქვეყნის პარლამენტმა ფიფასთან შეუსაბამო კანონი გააუქმა. როგორც ჩანს, ბლატერი პირენეელებისგანაც იმავეს ელის. ლისავეტსკი კი უკან დახევას არ აპირებს. ნუთუ ევრო 2008 "სელექსიონის" გარეშე ჩაივლის? ხომ შეიძლება, "რეალსა" და "ბარსელონასაც" აუკრძალონ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა? ეს ყველაფერი პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფეხბურთსა და მის მილიარდობით ქომაგს დააზარალებს.

ინტერვიუ როი მაკაისთან

# არ მინდოდა, ხელფასი სკამზე ჯდომაში ამეღო

## მაკაი არაფერზე ნანობს: ყოველთვის ვიცი, რაც მინდა და როგორ უნდა მივაღწიო მიზანს, მაგრამ ხშირად მაინც ინსტინქტითა და სურვილის მიხედვით ვმოქმედებ

როი მაკაიმ "ბაიერნში" ოთხი სეზონი გაატარა და 110-ზე მეტი გოლი გაიტანა. გასულ ზაფხულს მან სამშობლოს მიაშურა და "ფეიენოორდთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. 32 წლის ფორვარდს გარემოს შეცვლა არ დასტყობია. მან უმალ მოჰკიდა ხელი თავის საქმეს იმ კლუბში, რომელმაც წელს თავისი საუკუნოვანი იუბილე აღნიშნა და სურს, ამ თარიღს დაამთხვიოს ჰოლანდიურ და ევროელიტაში დაბრუნება. თავის მხრივ, "ბაიერნიდან" წასვლის შემდეგ, მაკაიმ უნდა დაამტკიცოს, რომ ისევ ის თავდამსხმელია, რომელმაც 2003 წელს, "დეპორტივოში" ყოფნისას, 29 გოლი გაიტანა და "ოქროს ბუციც" მოიგო. ამასწინათ, როი ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტმა მოინახულა და ინტერვიუ ჩამოართვა...

**- როი, სამშობლოში 32 წლისა და 10-წლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდით. გეგმავდით ამგვარი ნაბიჯის გადადგმას რალაც პერიოდში მაინც? ან შედიოდა თუ არა ეს ახლა, ამ მომენტში, თქვენს სპორტულ ინტერესებში?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვგეგმავდი. "ბაიერნთან" კიდევ ერთი წელი მქონდა კონტრაქტით დარჩენილი და შემეძლო, ისევ იქ ვყოფილიყავი. მაგრამ ფეხბურთში ხანდახან ისეთი რალაცები ხდება, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინო, ანგარიში გაუწიო და გადაწყვეტილებაც მიიღო, რაოდენ რთული გადასადგმელიც არ უნდა იყოს ეს ნაბიჯი. "ბაიერნმა" ბრწყინვალე ფორვარდები იყიდა და მე ბავშვი არ ვარ, რომ ვერ მივმხვდარიყავი, რაც ხდებოდა. ვიცოდი, რომ მათ ყოველთვის ექნებოდათ ადგილი სასტარტო შემადგენლობაში, რაც ჩემთვის, ავტომატურად, სკამზე ჯდომას ნიშნავდა. მე კი არ ვარ ის ადამიანი, ვინც ხელფასს იღებს, მაგრამ არ თამაშობს, გუნდისთვის სარგებელი არ მოაქვს. ამიტომაც გადავწყვიტე წასვლა და სწორადაც მოვიქეცი. თან ყოველთვის ვამბობდი, რომ თუ "ბაიერნიდან" წავიდოდი, ესპანეთში ან ჰოლანდიაში გავაგრძელებდი კარიერას... სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რამდენიმე წინადადება მივიღე. ამათგან, "ფეიენოორდის" შეთავაზება ყველაზე ხელსაყრელი იყო. შემეძლო, ცოტაც მომეცადა და ესპანეთიდან აუცილებლად დამიკავშირდებოდნენ, მაგრამ დროის დაკარგვაც აღარ მინდოდა. ამ შემთხვევაში, ყველაფერი სპორტულმა ინტერესმა გადაწყვიტა. მართალია, პირენეებზე კარგად მიცნობენ, მაგრამ იქ მაინც ასეთი წესია, რომ ახალმოსულს გარკვეული პერიოდის განმავლობაში აკვირდებიან...

**- და მაინც, ხომ არ ნანობთ "ბაიერნიდან" წასვლას? ეს გუნდი ახლა აშკარად გამოკვეთილ შემტევს ფეხბურთს თამაშობს, რაც თქვენი სტიქიაა...**

- არა, არ ვნანობ. არ ვნანობ იმიტომ, რომ ეს ჩემი არჩევანი იყო და აქ ბედნიერი ვარ. როცა რიბერის ყიდულობ, იცი, რაც უნდა მოითხოვო მისგან და რას მიიღებ. "ბაიერნმა" სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ ხომ გახსოვთ, როგორ აკრიტიკებდნენ ჰიტცფელდის გუნდს ზამთრის პაუზის წინ? თან "ვერდერიც" კარგად ათამაშდა. რიბერიზე, ტონისა და სხვა ახალწვეულებზე დიდ იმედებს ამყარებენ და ვნახოთ, როგორ წავა "ბაიერნის" საქმეები და როგორ დაასრულებს სეზონს.

**- გამოდის, რომ "ბაიერნი" მეგობრულ ვითარებაში დატოვეთ და კლუბის ხელმძღვანელობასა თუ ქომაგებთან რაიმე უთანხმოება არ გქონიათ?**

- აბსოლუტურად არანაირი! მადლობელიც ვიყავი "ბაიერნისა", რომელმაც მეჰმეთ შოლის გაცილებაზე დამპატიჟა. ემოციური მომენტი იყო. გულშემატკივრებმა საჩუქრებიც კი მიძღვნეს. გარკვეულწილად, ეს ჩემი გაცილებაც გამოვიდა.

**- მოდით, გადავხედოთ "ბაიერნში" გატარებულ ოთხ სეზონს. პირველი ორი ბრწყინვალე იყო, ბოლო ორს კი იმედგაცრუება მოჰყვა, პირველ რიგში, უგოლო სერიების გამო...**

- 129 მატჩი ჩავატარე და 110 გოლზე მეტი გავიტანე. მგონი, საკმარისია ითქვას, რომ ჩემზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ლეგენდარულ გერდ მიულერს ჰქონდა. მართალია, ეს მხოლოდ სტატისტიკაა, მაგრამ როცა საუბარია ისეთი დონის ფიგურაზე, როგორიც მიულერია, ეს ხომ რალაცას ნიშნავს? გეთანხმებით, ბოლო ორი წელი, განსაკუთრებით უკანასკნელი სეზონი, წარუმატებელი იყო, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ნაკლებს ვშრომობდი. და ვერც იმას დამწამებს ვინმე, რომ 2006 წელს მოგებულ ტიტულში ჩემი წვლილი არ იყო. ახლაც, ვარჯიშის პროცესი იქნება თუ უშუალოდ თამაში, მთელი ძალით ვიხარჯები. ისე, მაინც არ დავყოფდი "ბაიერნში" გატარებულ წლებს ცუდ და კარგ სეზონებად. საბოლოო ჯამში, რომ ჩემი მიუნხენური თავგადასავლით ძალიან კმაყოფილი ვარ. დიდებული წლები იყო...

**- თქვენ გქონდათ და გაქვთ რეპუტაცია ფეხბურთელისა, რომელზეც კრიტიკა არ მოქმედებს. მართლა ასეა?**

- გაზეთებს ყოველთვის ვკითხულობდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მედიის მხრიდან კრიტიკას ყურადღებას არ ვაქცევდი. მოდით, ასე ვთქვათ: თუ ვინმეს არ უყვარხარ იმის გამო, რასაც სპორტულ მხარესთან არანაირი კავშირი არ აქვს, ან კიდევ, თუ ის მეგობრობს ფეხბურთელთან, რომელიც შენი ადგილისთვის იბრძვის, ეს ვერ იქნება ობიექტური კრიტიკა. აქედან გამომდინარე, მე მხოლოდ ის მაინტერესებდა, თუ რას ფიქრობდნენ ჩემზე თანაგუნდელები, მწვრთნელები და კლუბის ხელმძღვანელობა. მორჩა, ეს არის და ეს.

**- ხომ არ გრძნობდით დამატებით წნეხს იმის გამო, რომ თქვენი 20-მილიონევროიანი ტრანსფერი "ბაიერნის" ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული იყო?**

- არა, არანაირი წნეხი არ ყოფილა. ასევე იყო მაშინაც, როცა "ტენერიფედან" "დეპორტივოში" გადავედი. ლაკორუნიელთა ისტორიაშიც ასეთი სტატუსი მქონდა. არ აქვს მნიშვნელობა იმას, ფლობ სიტუაციას თუ ვერა, გამოსავალი მაინც ერთია - დღესვე, ამ მომენტში, მოედანზე ყველაფერი უნდა დადო, რაც შეგიძლია და არ დაიმძიმო თავი იმაზე ფიქრით, თუ რა იქნება მომავალში. ავიღოთ იგივე რიბერი. დღეს მან მოირგო "ბაიერნში" ეს მანტია, თუმცა ფრანკს ნამდვილად არ მოეთხოვება იმაზე მეტი, ვიდრე მე მთხოვდნენ.

**- "ფეიენოორდმა" 100-წლიანი იუბილეს აღნიშვნაში ბევრი ფული დახარჯა: გადაიბირა როი მაკაი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი. მიგაჩნიათ, რომ კლუბის ხელმძღვანელობა სწორედ თქვენზე აკეთებს მთავარ გათვლას და ამ მხრივ, ეს სეზონი უაღრესად მნიშვნელოვანია?**

- კლუბის მესვეურთ სურდათ, საუკუნოვანი იუბილე კარგი გუნდის პირობებში აღენიშნათ. დიახ, ამაში მათ ბევრი ფული დახარჯეს, გამომდინარე იქიდანაც, რომ შარშანდელი სეზონი წარუმატებელი იყო. დღეს მე ვფიქრობ, რომ კარგი გუნდი გვყავს, გვყავს იმედისმომცემი ახალგაზრდებიც... თუმც ლიდერებს 6 ქულით ჩამოვრჩებით, აშკარაა, რომ "ფეიენოორდი" წელს გაცილებით უკეთ თამაშობს. ეს ჩემზეც შეიძლება ითქვას. უკვე 12 გოლი გავიტანე და კიდევ მეტს უნდა მივაღწიო. აქ ვარ იმიტომ, რომ ჩემი ფეხბურთი ვითამაშო და დავამტკიცო, რისი უნარიც გამაჩნია.

**- 32 წლის ხართ, მაგრამ გოლები მაინც გაგაქვთ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასაკი თქვენი თამაშის სტილზე არ მოქმედებს...**

- არ მგონია, რომ ჩემი თამაშის სტილი რაიმენაირად დაკავშირებულია ასაკთან. გამიმართლა, რომ სერიოზული ტრავმა არასოდეს მიმიღია, ჯანმრთელობაზეც საკმარისად ვზრუნავდი. მაგრამ არ ვარ იმდენად ძლიერი, რომ ვინმეზე ნაკლები დასვენება მჭირდებოდეს. შემიძლია, ავხსნა, თუ რატომ ვთამაშობ ასე კარგად 32 წლის ასაკში, მაგრამ მე არაფერი ვიცი იმ ხერხებსა თუ საშუალებებზე, რომლითაც ვთამაშობ.

**- ცოტა ხნის წინათ, კლაას იან ჰუნტელაარმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: ჩამოყალიბებული ფეხბურთელისთვის, არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს, გაიტანოს 25-30 გოლი ჰოლანდიის ჩემპიონატში. გაქვთ თქვენ რაიმე განსაკუთრებული მიზანი ამ სეზონში?**

- არა, ასეთ მიზნებს არასოდეს ვისახავ. თქვენ ვერ იმსჯელებთ კარგ თუ ცუდ სეზონზე იმის მიხედვით, თუ რამდენი მიზანი გქონდათ ან რამდენი გოლი გაიტანეთ. ჩემი აზრით, სეზონი სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით უნდა შეჯამდეს. მთავარი კი საერთო გუნდური შედეგია. ამიტომ, როცა ახალ კლუბში გადავდივარ ხოლმე, ყოველთვის ვითვალისწინებ იმას, თუ ვის გვერდით მომიწევს თამაში, როგორი ურთიერთობა შეიძლება გვქონდეს ერთმანეთში. ასე რომ, მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ცალკეული ფეხბურთელი, არამედ ის, თუ რას აღწევს გუნდი სეზონის ბოლოს.

**- და ეს არის ის, თუ როგორ ახერხებთ ყოველთვის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებას თქვენს კარიერასთან დაკავშირებით?**

- დიახ, ასეა. მაგრამ ბევრი რამ გრძნობებზეცაა დამოკიდებული. ყოველთვის ვიცი, რაც მინდა და როგორ უნდა მივაღწიო მიზანს, მაგრამ ხშირად მაინც ინსტინქტითა და სურვილის მიხედვით ვმოქმედებ.

**- თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შესანიშნავი კარიერა გქონდათ. რომელი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი?**

- ძნელია, რომელიმე ერთი გამოარჩიო... ისე, სანანებელი მართლაც არაფერი მაქვს. ალბათ, ყველაზე ნათელი მომენტი იყო 2000 წელი, როცა "დეპორტივომ" პირველად მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული. და ამ ტიტულის მნიშვნელობით თუ ვიმსჯელებთ, ის გაცილებით მეტი იყო, ვიდრე "ბაიერნთან" ერთად მოგებული პირველი ჩემპიონობა. იმიტომ, რომ "ბაიერნისთვის" ბუნდესლიგის მოგება ჩვეულებრივი ამბავია, "დეპორისთვის" კი "რეალისა" და "ბარსელონის" ძლევა მართლაც განსაკუთრებული, ისტორიული მოვლენა გახლდათ. მერე კი იყო 2003 წელი, როცა "ოქროს ბურთი" გადმომცეს. ინდივიდუალურ აღიარებას შორის ეს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ჯილდოდ ითვლება.

**- ვინ არის საუკეთესო ფეხბურთელი მათ შორის, ვის გვერდითაც ოდესმე გითამაშიათ?**

- კიდევ ერთი რთული კითხვა... გაიხსენეთ, როგორი ფეხბურთელების გარემოცვაში მომიწია "ბაიერნში" თამაში, მაგრამ თუ მაინც დამაძალებთ... მოდით, ვიტყვი, რომ საუკეთესო ხუან კარლოს ვალერონი იყო, "დეპორტივოს" ლიდერი, მართლაც ბრწყინვალე, დიდი ფეხბურთელი...




როი მაკაი ძველებურ ფორმაშია

რომა VS რეალი. ძალადობა

# რომში რეალის ქომაგი დაჭრეს

## ჯალოროსის ფანები ტრადიციას არ ღალატობენ

"რომასა" და "რეალის" დაპირისპირებას ორი ძალიან უსიამოვნო ინციდენტი უძღვოდა წინ. თამაშის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე იტალიური კლუბის გულშემატკივრებმა "სტადიო ოლიმპიკოს" მიმდებარე ტერიტორიაზე სამეფო კლუბის მარტოდ მოხეტიალე ინჩასი დაინახეს და მის დასაკნინებლად გაემართნენ. ესპანელი შეეცადა, საფრთხეს გარიდებოდა და გაქცევა სცადა, თუმცა ის ალყაში მოაქციეს და ცემა დაუწყეს. ინციდენტი შორიახლოს მყოფმა მოქალაქეებმა შენიშნეს და რომაელებს დამშვიდებისკენ მოუწოდეს. ცხადი გახდა, რომ მათ საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს. გამორიცხული არ იყო, ვინმეს პოლიციაშიც დაერეკა. ამიტომ "რომას" ტიფოზებმა პირენეელთან გლახაობაში დროის დაკარგვა აღარ ისურვეს და სასტიკ აგრესიაზე გადავიდნენ. მაშინ, როცა ორმა კაცმა სტუმარს გამეტებით უთავაზა სახეში, მესამე უკნიდან მიეპარა და დანით საჯდომში დაჭრა. ამის შემდეგ ისინი სწრაფი ნაბიჯებით მიიმალნენ. საბრალო მადრიდელი კი გასისხლიანებული მიწაზე დაეცა...

მას "რომას" პატიოსანი გულშემატკივრები დაეხმარნენ. მათ სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს. "რეალის" ქომაგი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ჭრილობა ოდნავადაც არ იყო საშიში და მისი საფუძვლიანი დამუშავებისა და გადახვევის შემდეგ მადრიდელს უფლება მისცეს საავადმყოფო დაეტოვებინა. ესპანელმა მანამდე პოლიციაში დარეკვა მოასწრო. სამართალდამცველებმა ის დაკითხვაზე წაიყვანეს და ბუნებრივია, მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. პოლიციას იმედი აქვს, რომ საქმის გამოძიებაში სათვალთვალო ვიდეოკამერები დაეხმარებათ.

მეორე ინციდენტი უშუალოდ სტადიონზე მოხდა. თამაშის დაწყებამდე 10 წუთით ადრე "რომას" რამდენიმე ათეული ტიფოზი იმ ტრიბუნასთან მივიდა, რომელიც "რეალის" გულშემატკივრებისთვის გახლდათ გამოყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნას პოლიციის საკმაოდ დიდი ძალები იცავდა, თავზეხელაღებულმა ტიფოზებმა მაინც მოახერხეს მიახლოება და სტუმრებისთვის ქვების დაშენა. შედეგად ერთ ესპანელს თავი გაუტყდა და ისიც საავადმყოფოში გააქანეს. სამართალდამცავებს ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი თავდამსხმელების დაკავება არ გასჭირვებიათ.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ "რომას" ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული და სახიფათო გულშემატკივრები ჰყავს. მათი "საგმირო საქმეების" შესახებ ჩვენი გაზეთი ყოველთვის გაწვდიდათ ინფორმაციებს, თუმცა საჭიროდ მივიჩნიეთ, "ოლიმპიკოზე" მომხდარი ვიგინდარობის შემდეგ რამდენიმე ძველი ისტორია შეგახსენოთ. აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივად, ყველა თავდასხმის ავტორები ეგრეთ წოდებული ულტრასები არიან, რომლებიც სამხრეთტრიბუნაზე იკრიბებიან. იანვარში მათ "კატანიის" ქომაგები გაიმეტეს და ერთბაშად სამი კაცი დაჭრეს. ერთ-ერთი მათგანი ფილტვში. ექიმებს სამხრეთიტალიელი პაციენტის გადასარჩენად გვარიანი შრომა დასჭირდათ. მთავრობა იმდენად შეწუხდა, რომ ულტრასებს "რომას" გასვლით შეხვედრებზე დასწრება აუკრძალეს. შედეგად სტუმრად ჩატარებულ ბოლო ოთხ დაპირისპირებაში დედაქალაქელებს არავინ ქომაგობდა. სამწუხაროდ, ეს აკრძალვა ჩემპიონთა ლიგაზე არ ვრცელდება, რაც დაპირისპირების მადრიდში გაგრძელების რეალურ საფრთხეს ქმნის. ამ საშიში პერსპექტივის შესახებ მოგვიანებით უფრო საფუძვლიანად ვისაუბრებთ.

გავიხსენოთ, 2004 წლის ოქტომბერი. "რეალმა" "რომასთან" ჯგუფური საჩემპიონთალიგო გასვლითი შეხვედრა აბსოლუტურად ცარიელ სტადიონზე ჩაატარა. ამის მიზეზი კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი გახდა. შვედ არბიტრს, **ანდრეს ფრისკს** თავში ფულის მონეტა გაარტყეს და თავი გაუხეთქეს. უეფა, რა თქმა უნდა, ფაქტის მიმართ შეურიგებელი აღმოჩნდა და იტალიურ კლუბს დისკვალიფიკაციის სახით "რეალის" ცარიელ სტადიონზე მასპინძლობა მიუსაჯა. 2006 წელს იმავე "ოლიმპიკოზე" მორიგი ძალადობრივი სცენა გათამაშდა. დედაქალაქური კლუბის ტიფოზები "ოლიმპიაკოსს" დამახასიათებელი აგრესიით დახვდნენ და გაგანია მატჩის დროს დაუნდობელი ჩხუბი ატეხეს. პოლიციამ მაშინ რამდენიმე ათეული აგრესორი დააკავა.

2007 წლის აპრილი - რომში "მანჩესტერ იუნაიტედის" ფანები ჩავიდნენ. აბა "რომას" გადარეული ბიჭები ისე როგორ მოისვენებდნენ, რომ ინგლისელ კოლეგებთან საქმე არ გაერჩიათ? რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და სამ მანჩესტერელს დანით საკმაოდ სერიოზული ჭრილობა მიაყენეს. ყველაზე გაუგონარი რამ კი იმავე 2007 წლის ნოემბერში მოხდა. "ლაციოს" ქომაგის დაღუპვის გამო აგორებული არეულობებისას, "რომას" ორასამდე ტიფოზი პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებას დაესხა თავს. მათ სამართალდამცველები სასტიკად ცემეს, შენობა გაძარცვეს და ავეჯი დალეწეს. ალბათ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

"დიარიო მარკამ" საკმაოდ საინტერესო ფაქტი გაახმაურა. ცნობილია, რომ "რომას" ქომაგები "ატლეტიკოს" ინჩასებთან არიან დაძმობილებულები. მათ ეგრეთ წოდებული მეგობრობის აქტი აქვთ გაფორმებული, რომლის თანახმადაც "როხიბლანკოსა" და რომაული გუნდის ფანები ერთმანეთს ხელს არ ახლებენ. სხვათა შორის, სხვადასხვა ფორუმის საშუალებით მათ ყოველდღიური კონტაქტი აქვთ ერთმანეთთან. "დიარიო მარკას" ჟურნალისტებმა სწორედ ერთ ასეთ ფორუმზე აღმოაჩინეს წერილი, რომელშიც რომაელი ულტრასები მადრიდელ ძმებს პირობას აძლევდნენ, რომ მათ მოძულე "რეალის" ინჩასებს საკადრისად დახვდებოდნენ. "დიარიო მარკას" ჟურნალისტმა **ხოსე ფელიქს დიასმა** უმალ სამეფო კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჩააყენა საქმის კურსში. პირენეული გრანდის მესვეურები კი "რომას" ხელმძღვანელობას დაუკავშირდნენ და სთხოვეს, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მაქსიმუმი გაეკეთებინათ. იტალიელებმა კოლეგების დამშვიდება შეძლეს, მათ უთხრეს, რომ თამაშისთვის პოლიციის საუკეთესო შენაერთები ჰყავდათ დაქირავებული. სამართალდამცავები მართლაც მონდომებით მუშაობდნენ, მაგრამ ყველა კუთხესა და კუნჭულს ხომ ვერ გააკონტროლებ?

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მადრიდელი ინჩასის დაჭრით განრისხებული "რეალის" ულტრასები შურისძიებას შეეცდებიან. ინფორმაციის წყარო ახლა უკვე სამეფო კლუბის მხარდამჭერთა ინტერნეტფორუმია. უამრავ წერილში დაიწერა, მათთვის უკეთესია, სახლში დარჩნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, "სანტიაგო ბერნაბეუს" გარშემო მდებარე კორპუსების სადარბაზოებში დაუვიწყარ დროს გაატარებენო. მადრიდის პოლიციამ რომაელებზე მეტად უნდა იყოჩაღოს. თუ უსაფრთხოების ზომები კარგად არ იქნება დაცული, გამორიცხული არ არის, განმეორებითი შეხვედრის წინ ან მისი დასრულების შემდეგ სისხლი დაიღვაროს. აღსანიშნავია, რომ ესპანელებს ასეთი საფრთხის თავიდან აცილების დიდი გამოცდილება აქვთ. იქაური პოლიციელები შესანიშნავად ახერხებენ დაპირისპირებული ხალხის დაშორიშორებას და სტუმარი ფანებისთვის საგანგებო დერეფნების მოწყობას. იმედია, მათი ძალისხმევა საკმარისი იქნება იმისთვის, რათა საპასუხო პაექრობამ ძალადობის გარეშე ჩაიაროს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ოლიმპიკოს ტრიბუნებზე სრული იდილია სუფევდა, მაგრამ ქუჩაში სერიოზული ინციდენტი მაინც მოხდა



მადრიდელებს აღარ სურთ, ანტონიო კასანო ესპანეთში დაბრუნდეს

რეალი

# მიატოვიჩმა კასანოს ზრდილობა დაუწუნა

**მადრიდის "რეალის" გენერალურმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა საჩემპიონოთალიგო მერვედფინალის ჩასატარებლად რომში ჩასვლით ისარგებლა და "სამპდორიის" მესვეურებს შეხვდა. მოგეხსენებათ, გენუელების ღირსებას ანტონიო კასანო იცავს. ის დღემდე სამეფო კლუბის საკუთრებაა და "სამპდორიაში" იჯარის წესით თამაშობს. ამ ხელშეკრულებას სეზონის დასრულებისთანავე გასდის ვადა. მიატოვიჩი გენუელ კოლეგებს, რა თქმა უნდა, წინასწარ დაუკავშირდა და სთხოვა მოსალაპარაკებლად რომში ჩასულიყვნენ. ისინი ასეც მოიქცნენ. მხარეები სასტუმროს კაფეში შეხვდნენ ერთმანეთს. ცნობილია, რომ "სამპს" კასანოს საბოლოოდ გამოსყიდვა სურს.**

"რეალი" მისი გაშვების წინააღმდეგი სულაც არ არის. პირიქით, **ანტონიომ** "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჭირვეული ხასიათის მქონე კაცის იმიჯი შეიქმნა და განუწყვეტელი გამოხტომებით ყველას მოაბეზრა თავი. მოკლედ, **მიატოვიჩი** თანახმაა, იტალიელი "სამპდორიას" დაუთმოს, თუმცა არა ნებისმიერ ფასად. "რეალის" გენერალურ დირექტორს გენუელებთან საფუძვლიანი მოლაპარაკების გამართვის საშუალება არ ჰქონდა. ის ხომ ჩემპიონთა ლიგის მატჩის გამო იყო ჩასული. მცირე დროში კი მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ამიტომ, მიატოვიჩმა იტალიელ კოლეგებს საინტერესო წინადადებით მიმართა - მოდით, მაისში შევხვდეთ ერთმანეთს და კასანოს ბედი გადავწყვიტოთო. ბატონმა პრედრაგმა პირობა დადო, რომ ხელოვნურ ბარიერებს არ შექმნის. ისიც დაამატა, აპენინელ კოლეგებთან შეუთანხმებლად სხვა გუნდებთან მოლაპარაკებას არავითარ შემთხვევაში არ დავიწყებთო. გენუელები წინადადებას უპრობლემოდ დათანხმდნენ. ასე რომ, კასანოს ბედი მაისამდე არ გაირკვევა.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ "სამპდორია" ტრასფერის გაჩარხვისთვის 5.5 მილიონი ევროს გადახდას აპირებს.ძნელი სათქმელია, რამდენად მაცდუნებელი იქნება ეს თანხა პლანეტის ყველაზე მდიდარი კლუბისთვის... თუმცა ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მადრიდელებმა უარი არ უნდა განაცხადონ. მათ კასანოს დანახვაც კი აღარ უნდათ. ანტონიოსთან თანამშრომლობის ყველაზე რეალურ სურვილს კი ჯერჯერობით მხოლოდ "სამპდორია" გამოთქვამს. ამასთან, 5.5 მილიონი ევრო თავქარიანი და საშინლად არადისციპლინირებული ფორვარდის სანაცვლოდ ცოტა სულაც არ არის. მნიშვნელოვანია, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაბრუნება თავად ფეხბურთელსაც არ სურს. ამ დღეებში ანტონიომ სამეფო კლუბის მისამართით დამაკნინებელი სიტყვები დახარჯა, რითიც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ "რეალი" მასში მძიმე მოგონებასთან ასოცირდება. მიატოვიჩმა კასანოს კრიტიკული გამოსვლა ვერ მოითმინა და ასეთი რამ განაცხადა: *"მას ავიწყდება რომ დღესაც "რეალის" საკუთრებაა. ამ გუნდის ფეხბურთელები კი უხამსობას არ უნდა კადრულობდნენ. მიხარია, რომ ანტონიო გენუაში შესანიშნავ სეზონს ატარებს, თუმცა ამ სიხარულის გამო არ ვაპირებ, საქციელი მოვუწონო. ანტონიო, შენ დიდი ბიჭი ხარ და უფრო სოლიური სიტყვებით საუბარი გმართებს. უბრალოდ, სირცხვილია, როცა ადამიანი ძირითადი სამსახურიდან შორს იმყოფება და თანამშრომლების შესახებ აგდებულად საუბრობს. ბუნებრივია, "რეალსა" და მის წარმომადგენლებს ანტონიო კასანოს დასაცინი არაფერი სჭირთ."*

## კრუიფი ბრუნდება, ვან ბასტენიც?

**იოჰან კრუიფი** "აიაქსში" ბრუნდება. ოთხშაბათს ამსტერდამელთა დირექტორატი მთელი შემადგენლობით გადადგა. გადადგომას წინ უძღოდა კლუბის წევრთა თავყრილობა, რომელმაც ბოლო ათი წლის განმავლობაში დირექტორატის მუშაობა მკვეთრად უარყოფითად შეაფასა და ძირეული სტრუქტურული რეფორმების გატარება მოითხოვა. შეხვედრას ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდაც დაესწრო. გადაწყვეტილია, რომ ის ახალ ადმინისტრაციაში საპასუხისმგებლო თანამდებობას დაიკავებს. კრუიფი "აიაქსის" სკოლაში 10 წლისა ჩაირიცხა. მან კლუბში 1964-73 და 1981-83 წლებში ითამაშა, რვაჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი და სამჯერ დაეუფლა ჩემპიონთა თასს. კრუიფმა "აიაქსის" მთავარ მწვრთნელად 1986-88 წლებში იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში კლუბმა ორჯერ ჰოლანდიის თასი და ერთხელ უეფას თასი მოიპოვა. "აიაქსის" ბოლო ევროპული წარმატება აწ უკვე შორეული 1995 წლით თარიღდება. მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ კრუიფი "აიაქსში" **მარკო ვან ბასტენს** მიიყვანს. ვან ბასტენი ჰოლანდიის ნაკრებიდან წასვლას ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე აპირებს.

## გრანტს ემუქრებიან

"ჩელსის" თავკაც **ავრამ გრანტს** უსიამოვნო ამბავი გადახდა. გასულ უქმეებზე მას უცნობი პიროვნებისაგან წერილი მიუვიდა. კონვერტი ღია ბარათის გარდა, გაურკვეველი წარმომავლობის თეთრ ფხვნილსაც შეიცავდა. ტექსტი მუქარითა და შეურაცხყოფით იყო სავსე. ბოროტმოქმედი გრანტს ბინძურ ებრაელ განავალს უწოდებდა და ნელ და ტანჯვით აღსავსე სიკვდილს ჰპირდებოდა. შეურაცხყოფილი იყო გრანტის მეუღლეც, რომელიც ისრაელის ტელევიზიის პოპულარული წამყვანია. "ჩელსის" ხელმძღვანელობამ მაშინვე პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცველებმა საეჭვო კონვერტი ლაბორატორიაში გაგზავნეს, რათა ფხვნილის შემადგენლობა შეესწავლათ. აღმოჩნდა, რომ ფხვნილი მომწამვლელი არ იყო. პოლიცია წერილის ავტორს ეძებს. ექვმიტანილის ვინაობა უცნობია.

## კლემენტე ირანში არ იმუშავებს

**ხავიერ კლემენტე** ირანის ნაკრებში არ იმუშავებს. გარიგება, რომელსაც ხელმოწერალა აკლდა, ჩაიშალა. მხარეები ვერ შეთანხმდნენ ისეთ წვრილმან საკითხზე, როგორიცაა მწვრთნელის ირანში ყოფნის ვადა. კლემენტეს სურდა, დროის უმეტესი ნაწილი ესპანეთში გაეტარებინა და ირანში თამაშებამდე ერთი თვით ადრე ჩასულიყო. ირანელები კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ სენიორ ხავიერს თეირანში ეცხოვრა და წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ, ერთთვიანი შვებულებით გამგზავრებულიყო შინ. მხარეები თავიანთი პოზიციების ერთგულნი დარჩნენ. შედეგად, ირანის ნაკრებმა ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყო. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა: თუ უახლოეს დღეებში კლემენტე ჩვენს მოთხოვნას დათანხმდება, შესაძლოა, კონტრაქტი მაინც გავუფორმოთო. ესპანელ მწვრთნელს კომენტარი არ გაუკეთებია.

ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან

# ჩემი დაბრუნების დრო დადგა

## მაესტრო პირდაპირ ამბობს, სადაც მუშაობა მინდა, იქიდან ჯერ არავის დაურეკავსო...

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ წელინადნახევარზე მეტი გავიდა და მარჩელო ლიპი ისევ უმუშევარია. "მაესტრო" საფეხბურთო მოვლენებს თვალ-ყურს გარედან ადევნებს. გამოცემა "ველტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლიპი არ მალავს, რომ ფეხბურთში დაბრუნება სურს, მაგრამ იქვე ამბობს, მხოლოდ ისეთ გუნდში წავალ, რომელიც ჩემს კრიტერიუმებს დააკმაყოფილებსო. როგორია ლიპის კრიტერიუმები? მას ამბიციურ გუნდში, სერიოზულ და ინტელიგენტ ადამიანებთან ერთად სურს მუშაობა, ისეთებთან, როგორიც თავადაა.



დიდი მაესტრო მალე დაბრუნდება. მაგრამ სად? საკითხავი, აი, ეს არის...

**- სინიორ ლიპი, 24 წლის განმავლობაში სხვადასხვა გუნდს წვრთნიდით და პაუზა არ დაგჭირვებიათ. ახლა კი, უკვე წელინადნახევარზე მეტია, რაც ისვენებთ. მაინც რას აკეთებთ დილიდან საღამომდე?**

- როცა იტალიის ნაკრებიდან წამოვედი, თავდაპირველად ძალიან მიხაროდა, რომ ოჯახს უფრო დიდ დროს ვუთმობდი. როცა ჩემი შვილები პატარები იყვნენ, მამის დღეს მაგიდაზე ღია ბარათებს მიტოვებდნენ ხოლმე, სადაც ასეთი შინაარსის წარწერები იყო: "მამისთვის, რომელიც ყოველთვის ჩვენთანაა - მიუხედავად იმისა, რომ არასდროს არ არის ჩვენთან." პირდაპირ გეტყვით, როცა ამას ვნახულობდი, თვალზე ცრემლი მადგებოდა. დღეს დრო თავზესაყრელად მაქვს, მაგრამ უკვე მათ აღარ სცალიათ - ორივე 30 წელსაა გადაცილებული, ისინი რომში ცხოვრობენ და მუშაობენ.

**- დავიჯეროთ, ფეხბურთი არ მოგენატრათ? თქვენს საქმეს არ დაუბრუნდებით?**

- რომ ვთქვა, არ მომენატრა-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. ისე, სიმართლე გითხრათ, მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ ერთი წელი ისე გავიდა, რომ მუშაობაზე და ფეხბურთის მონატრებაზე ერთხელაც არ მიფიქრია. მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, ვფიქრობ და ვხვდები, რომ მოვიდა დრო, საქმეს დავუბრუნდე. არაა აუცილებელი, რომ მაინცა და მაინც მწვრთნელი გავხდე. უბრალოდ, ფეხბურთში დაბრუნება მსურს და სავსებით ნორმალური იქნება, თუკი გარკვეულ ჯგუფთან ერთად კარგ საქმეს გავაკეთებ.

**- მაინც რომელ თანამდებობებზე ხედავთ საკუთარ თავს?**

- კლუბი, სადაც ვიმუშავებ, ძალიან სერიოზული უნდა იყოს: დიდი ამბიციებით, ინტელიგენტი ხალხითა და სერიოზული კონცეფციით. გასულ თვეებში არაერთი შემოთავაზება მქონდა. მეპატიჟებოდნენ ნაკრებ გუნდებში, კლუბებში ინგლისიდან, ესპანეთიდან და გერმანიიდან. ყველას უარი ვუთხარი. მე მესმის, რომ თქვენც გინდათ გაიგოთ, მაგალითად რომელი კლუბები აკმაყოფილებენ ჩემს კრიტერიუმებს, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ვიტყვი. ფაქტი ის არის, რომ ვინც აქამდე დამიკავშირდა, არცერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა. საკუთარ თავს დავპირდი, რომ ჩემთვის სასურველ გუნდს არასდროს დავაკონკრეტებ. ფაქტია ისიც, რომ ზაფხულიდან მუშაობის დაწყება მინდა.

**- თქვენი გადაბირება "ბაიერნის" ხელმძღვანელებსაც სურდათ...**

- და ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იყო. "ბაიერნის" დაინტერესებას ნებისმიერი მწვრთნელი და ფეხბურთელი მოწიწებით მოეკიდება. გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ. როცა მიუნხენიდან დამირეკეს, ბრაზილიაში გახლდით. როცა იტალიაში დავბრუნდი, მითხრეს, იურგენ კლინსმანმა რეკორდმაისტერთან უკვე გააფორმა კონტრაქტიო.

**- რომ არ ჰქონიდა გაფორმებული?**

- (იცინის) რისი გაგება გსურთ?

**- დათანხმებოდით?**

- მე არასდროს არაფერს გამოვრიცხავ.

**- კლინსმანს საკლუბო ფეხბურთში მოღვაწეობის გამოცდილება არა აქვს და საერთოდ, ნაკრებსაც მხოლოდ 2 წლის განმავლობაში წვრთნიდა. თქვენც ფიქრობთ, რომ მიუნხენური კლუბის შეფებმა მაგრად გარისკეს?**

- "ბაიერნს" სათავეში ული ჰიონესი, ფრანც ბეკენბაუერი და კარლ-ჰაინც რუმენიგე უდგანან. ეს ადამიანები კი, მსოფლიო ფეხბურთში ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურ პიროვნებებად მიიჩნევიან. ეს სამეული გადაწყვეტილებებს გააზრებისა და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ იღებს. დარწმუნებული ვარ, რომ ულიმ, კალემ და ფრანცმა რუსული "რულეტკა" არც კლინსმანის შემთხვევაში ითამაშეს. მათ კარგად იციან, რასაც აკეთებენ. ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო კლუბზე ვსაუბრობთ და არა რომელიმე პროვინციის წარმომადგენელზე.

**- იტალიაში გამოუცდელ მწვრთნელს გრანდში არავინ დანიშნავს, ხომ ასეა?**

- განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: სერია A-ში მოღვაწე მწვრთნელებს, სანამ ელიტაში იმუშავებდნენ, სერია B-ში ან სერია C-ში მინიმუმ 4-5 წელი აქვთ ხოლმე გატარებული. ქვედა ლიგები იტალიელი მწვრთნელებისთვის იდეალური, ფასდაუდებელი სკოლაა. იმედია, არავინ შემეწინააღმდეგება იმაში, რომ იტალიის მეორე და მესამე ლიგა ნებისმიერი ქვეყნის მეორე ან მესამე ლიგას ჯობია. ამიტომაცაა, რომ იტალიელებს მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელები გვყავს. იტალიელი მწვრთნელები უპირველესი ტაქტიკოსები არიან და თანაც, სტრატეგიას თამაშის დროს რამდენჯერმე ცვლიან ხოლმე.

**- როგორ ფიქრობთ, მწვრთნელს "შენახვის ვადა" აქვს?**

- დიახ. მნიშვნელობა არა აქვს გუნდის სიძლიერეს ან მიზნებს - თუკი სპეციალისტი მაქსიმუმ 6 თვეში გუნდს ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თავის ხელწერას ვერ დაატყობს, გამოდის, რომ მას ამისათვის არც 6 წელი ეყოფა. ასეთი მწვრთნელი გასაშვებია.

**- იტალიის ნაკრებში თქვენ რობერტო დონადონიმ შეგცვალათ. ეს უკანასკნელი მაშინვე თქვენს ჩრდილში მოექცა და დიდხანს იბრძოდა. როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვს სკუადრა აძურას ევროპის ჩემპიონატზე?**

- ეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ დამერწმუნეთ, ჯერ არ დანაყრებულა! ჩემი აზრით, დონადონის იტალია ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია.

**- გერმანია?**

- გერმანიაც. იოახიმ ლიოვი შესანიშნავი მწვრთნელი გამოდგა.

**- ლიოვი იენს ლემანს ათამაშებს. არადა, ეს უკანასკნელი "არსენალში" სათადარიგოა. თქვენ მისცემდით უთამაშებელ მეკარეს იმის უფლებას, რომ ევროპის ჩემპიონატზე ქვეყნის ნაკრების კარი დაეცვა?**

- ამ შემთხვევაში მწვრთნელის აბსოლუტურად მესმის, რადგან ასეთი მდგომარეობა მეც მქონდა. თუკი ესა თუ ის ფეხბურთელი კლუბში ცუდად ან საერთოდ ვერ თამაშობს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრებში აღარ უნდა ათამაშო. ლიოვმა კარგად იცის, რაც შეუძლია ლემანს და ამიტომაც იძახებს.

**- ცოტა ხნის წინათ სერია A-ში მორიგი სკანდალი იყო. სტადიონზე ძალადობებს ადამიანის სიცოცხლეც კი შეეწირა. როგორ ახსნით ამ ყველაფერს?**

- ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ასეთი რალაცები უკვე მხოლოდ პერიფერიებში კი არა, დიდ ქალაქებშიც ძალიან ხშირად ხდება და ეს ძალიან საშიში ტენდენციაა. ავი ულტრასები მრავლად გვყავს და ისინი კალჩოს საფლავს უთხრიან. მათ წინააღმდეგ კანონები არსებობს, მაგრამ იტალიელები, სამწუხაროდ მაინცდამაინც კანონმორჩილი ხალხი არა ვართ.

**- ამას წინათ კაკამ თქვა, ამიტომაცაა, ვარსკვლავები სერია A-დან რომ გარბიანო...**

- ეს გადაჭარბებული ნათქვამია. იტალიის ჩემპიონატში საკმაოზე მეტი ვარსკვლავია და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ ზაფხულს მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

**- რატომ?**

- თუნდაც იმიტომ, რომ "იუვენტუსი" უკვე ფინანსურად მოძლიერებული იქნება და სერიოზული ტრანსფერების გაჩარხვას შეეცდება. ამასთან, კარგია ისიც, რომ იტალიელი ფეხბურთელები სხვა ქვეყნებში გამოჩნდნენ. მაგალითად, ლუკა ტონი, რომელიც ძალიან კარგად მოიქცა, "ბაიერნში" რომ გადავიდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# აჯანყება კაიზერის წინააღმდეგ

## სანიოლი, ვან ბომელი და ლამი მის უდიდებულესობას მისდგნენ



კაიზერს ნაწერს უწუნებენ

რა ხდება "ბაიერნში"? გაგიკვირდებათ და რამდენიმე ფეხბურთელი თვით **ფრანც ბეკენბაუერის** წინააღმდეგ გაერთიანდა. ეს კი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი და გასაკვირი ამბავია. ახლავე გაგარკვევთ.

როგორც იცით, ბეკენბაუერი გაზეთ "ბილდში" სვეტებს აქვეყნებს, სადაც "ბაიერნში" და ზოგადად გერმანულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებას მიმოიხილავს ხოლმე. კაიზერი ხსენებულ სვეტებში ფეხბურთელებს ხშირად ბოლო დროს კი უკვე ძალიან ხშირად აკრიტიკებს. **ვილი სანიოლმა, მარკ ვან ბომელმა** და **ფილიპ ლამმა** თავის და თანაგუნდელების დაცვა გადაწყვიტეს.

ამას წინათ ბეკენბაუერმა სანიოლზე დაწერა, ხანდახან ვშიშობ, რომ ძალით ცივდება, რათა არ ითამაშოსო და იქვე დაამატა, დღესდღეობით სანიოლი რეკორდმაისტერის ბალასტიაო. ფრანგი მცველი კი, რომელმაც მუხლის უმძიმესი ტრავმა გადაიტანა და ერთწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, მოედანს ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა, კაიზერს ასე პასუხობს: *"ბოლო თამაშში მოედნის ცენტრს იქით მინიმუმ ათჯერ გადავედი. იმედი მაქვს, რომ თქვენს კოლუმნისტს ეს მაინც მოეწონა."* - ცოტა არ იყოს, უკმეხი სიტყვებია და იმედი გვაქვს, რომ სანიოლმა იცის, ვისზეც საუბარობს და ისიც იცის, თუ სად მუშაობს ბეკენბაუერი გარდა "ბილდისა" - კაიზერი ხომ "ბაიერნის" პრეზიდენტია.

*"წარმოიდგინეთ, რომ ბეკენბაუერმა დაწერა სვეტი, სადაც ამბობს, რომ ყველაფერი შესანიშნავადაა. ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება იმას, რომ ასეთ შემთხვევაში მასალას არავინ წაიკითხავს,"* - მწარე სიტყვებს ისვრის სანიოლი.

*"ჰოდა, იქნებ ჯობდეს, რომ ხანდახან არაფერი დაწეროს,"* - ეს კი ვან ბომელის სიტყვებია, რაც ჰოლანდიელმა ისე, სასხვათაშორისოდ დასძინა, თანაც, ამ სიტყვებს მისთვის ჩვეული ირონიული ღიმილი მოაყოლა.

ამას წინათ კაიზერმა **ლუკას პოდოლსკი, ბასტიან შვაინშტაიგერი** და **ფილიპ ლამი** გააკრიტიკა. წერდა, ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთო. როგორც ჩანს, პოდოლსკიმ და შვაინიმ ბეკენბაუერის ეს სიტყვები "გაატარეს". აი, ლამმა კი ველარ მოითმინა და დააქუხა: *"მგონი, ორი ფრანც ბეკენბაუერი არსებობს. პირველი გაზეთში წერს, მეორე კი "ბაიერნის" პრეზიდენტია. პრეზიდენტი ბეკენბაუერი ჩემით ერთობ კმაყოფილია და ეს არაერთხელ უთქვამს. გაზეთში მწერალი ბეკენბაუერი კი, ჩემით უკმაყოფილოა. რა გავიგო, რომელს დავუჯერო?"*

მოკლედ, ფრანცი ხელშეუხებელებელია, მაგრამ არც ისეთი ხელშეუხებელი, როგორიც ყველას ჰგონია. მისი ნაწერის მიმართ უკვე ძალიან ბევრს გაუჩნდა პრეტენზიები და ცხადია, რომ კაიზერს სტილისთვის გადახედვა მოუწევს...

**გოტფრიდ ლენცი**

მწვრთნელი

# ფოგტსმა ნიგერიას უგანა

## გერმანელს აფრიკა ყელში ამოუვიდა...

**ბერტი ფოგტსი** ნიგერიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ არის. გერმანელმა სპეციალისტმა აფრიკის თასზე ცუდი გამოსვლის შემდეგ შესაბამისი ნაბიჯი გადადგა და ნიგერიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი გაწყვიტა. არადა, მის ხეკშეკრულებას ვადა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩათვლით ჰქონდა.

ნიგერიის ნაკრები აფრიკის თასს მეოთხედფინალში (1:2 განასთან) გამოეთიშა. უშუალოდ ამ თამაშამდეც კი, ნიგერიაში საუბრობდნენ, რომ ახლოვდებოდა მომენტი, როცა ფოგტსს თანამდებობიდან დაითხოვდნენ. განასთან მარცხის შემდეგ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **სანი ლულუმ** მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა. აი, რას ამბობდა ნიგერიული ფეხბურთის ბოსი: *"ფეხბურთელებმა, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს. ჩვენც, ჩვენი მხრივ ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ ნიგერიის ნაკრები აფრიკის თასისთვის კარგად მომზადებულიყო. მაშ რატომ შევრცხვით? რჩება ერთი მიზეზი...."* - და ცხადია, რომ ლული ფოგტსს გულისხმობდა. მოკლედ, ნიგერიელებს ისევ ბერტიმ დაასწრო, კონტრაქტი დაარღვია და ასე ვთქვათ, თავს უშველა. შეგახსენებთ, რომ მან ნიგერიის ნაკრები 2007 წლის 1 მარტს ჩაიბარა. მანამდე ბერტი 2002-დან 2004 წლამდე შოტლანდიის ნაკრებს წვრთნიდა. როგორც იცით, 1996 წელს გერმანიის ნაკრებს მან ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა.



ბერტიმ ნიგერიაში ვერ გაქაჩა

# ყაჭეიშვილი ჩამორჩა

"აეროფლოტ-ოუფენზე" მოთამაშე ქართველთა შესახებ გუშინ მოგახსენეთ, რომ **ნაზი პაიკიძემ** ზედიზედ ორი პარტია წააგო და ცხრილის სათავიდან შუაგულში გადაინაცვლა. ფინიშამდე ორი ტური დარჩა და თუკი ორივეში იმარჯვებს, საპრიზოზე ვერა, მაგრამ მაღალ ადგილზე გასვლას კი მოახერხებს. საწყენია, რომ ორი მარცხი იგემა, მით უფრო, როცა მის მიერ დამარცხებულმა **ირინა ვასილევიჩმა** 5.5 ქულის მოგროვება შეძლო და პირველი ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა. ნაზის გადასწრება კიდევ ერთმა ქალბატონმა, რუსმა **კოვანოვამ** შეძლო - მას 5 ქულა აქვს. ნაზი მერვე ტურში თეთრებით რუს **დანიელა ბელუსოვას** ხვდება და მართალია, მეტოქე რეიტინგში 45 პუნქტით უსწრებს, მაგრამ ქართველს შესწევს ძალა, იმარჯვოს და იმედი გვაქვს, რომ ასეც იქნება.

სამწუხაროდ, მეექვსე ტური უიღბლო გამოდგა **გიგა ყაჭეიშვილისთვის**, რომელიც A-2 ტურნირში თამაშობს. ქართველი დიდოსტატი შავი ფერით დამარცხდა რუს **ევგენი კალუგინთან** (2480). ყაჭეიშვილს 3.5 ქულა აქვს და ლიდერს, **მარატ ასკაროვს** 2 ქულით ჩამორჩება, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ასკაროვი ერთპიროვნული ლიდერია და ალბათ პირველობაც გაინაღდა, თუმცა ფინიშამდე სამი ტურია და ვერაფერს იტყვი დაბეჯითებით; ფაქტი ერთია - იგი საჭადრაკო საზომით გვარიანად დაწინაურდა, - უახლოესი მდევარი 8 კაციანი ჯგუფი ერთი ქულით ჩამორჩება; 4 ქულიანი კი თერთმეტია. ასეთ კომპანიაში რომ ყაჭეიშვილმა მაღალი ადგილი დაიკავოს, სამივე დარჩენილი პარტიის მოგება სჭირდება აუცილებლად. მეშვიდე ტურში მისი მეტოქე ჰოლანდიელი **ჯოპ დელემრეა** (2470), თეთრებით ჩვენებურია და დავიტოვოთ იმედი, რომ გაიმარჯვებს და საბოლოო წარმატებისთვის კარგ ფონს შეიქმნის.

იგივე პრობლემები, ანუ ამოცანა ექნება გადასაჭრელი **ბაადურ ჯობავას**, - მასაც სამი პარტია დარჩა სათამაშო, მაგრამ ყაჭეიშვილისგან განსხვავებით ის ჯერ კიდევ იბრძვის ჩემპიონობისთვის და სამივე პარტიაში რომ იმარჯვოს, ალბათ ჩემპიონობასაც შესწვდება. ბაადური ლიდერთა ტრიოს ერთი ქულით ჩამორჩება. 4.5 ქულა არავის აქვს და შანსიც ამიტომ ჩანს. 4 ქულა კი თერთმეტს მოუგროვებია. მეშვიდე ტურში ჯობავა თეთრებით ვიეტნამელ დიდოსტატს **ქუანჯ ლის** (2540) ხვდება. მოგების გარდა ნებისმიერ შემთხვევაში, ქართველი საპრიზოზე გასვლის შანსსაც დაკარგავს...

პირველ დაფაზე კი ებრაელი **მაქსიმ როდშტეინი** (2614) და რუსი **ალექსეი დრეევი** (2633) ხვდებიან ერთმანეთს. ორივეს 5 ქულა აქვს. მეორე დაფაზე ტაჯიკი **ფარუხ ამონატოვი** (2649), რომელსაც 4 ქულა აქვს, 5 ქულიან რუს დიდოსტატ **იან ნეპომნიაშჩის** (2600) თეთრებით შეუტევს.

აღსანიშნავი ერთი ფაქტია, რომ წლევანდელ ტურნირში "აეროფლოტის" გასული წლების სამი გამარჯვებული თამაშობს: **ბაადურ ჯობავა**, მოლდოველი **ვიქტორ ბოლოგანი** და გერმანელი **არკადი ნაიდიჩი**. ამათგან საუკეთესო შედეგი წლევანდელ ტურნირში ქართველს აქვს; ბოლგანი 3.5 ქულით ოცეულშია, ნაიდიჩი კი სულაც 2.5 ქულით ცხრილის ბოლოსკენ იმყოფება - იგი აშკარად არ არის სათანადო ფორმაში.

**ზვიად შათირიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. U20

# მე ვარ ერთი ციდა...

ოცწლამდელთა ჩემპიონატში, როგორც ვაჟთა ისე გოგონათა შორის, გუშინ მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველ რიგში, პირველ დაფებზე მსხდომთა ორთაბრძოლები იყო საინტერესო. გოგონებში **მირანდა მიქაძე ბელა ხოტენაშვილს** ხვდებოდა, ვაჟებში კი **გაიოზ ნიგალიძე თორნიკე სანიკიძეს** უპირისპირდებოდა. ორივეგან უშელავათო ბრძოლის მოწმენი გავხდით, მაგრამ ნიგალიძემ და სანიკიძემ შედარებით ადრე დაასრულეს პარტია: დებიუტში თეთრებმა, რომლითაც გაიოზი თამაშობდა, გადამწყვეტ უპირატესობას ვერ მიაღწიეს, საყამო პოზიცია დადგა და ზედმეტი გართულებებისგან თავის არიდება ინებეს მეტოქეებმა. **ლუკა პაიჭაძემ** მეტად საინტერესო და შემოქმედებით პარტიაში თეთრებით **დავით ლომსაძის** დამარცხება შეძლო, რის შემდეგაც 3.5 ქულას მოუყარა თავი და ნიგალიძე-სანიკიძესთან ერთად ლიდერთა ტრიო შეადგინა.

მიქაძისა და ხოტენაშვილის შემთხვევაში კი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარიმართა ბრძოლა და ყველაზე გვიანაც დასრულდა. თითქოს ორმხრივი შანსები ჩანდა პარტიის მსვლელობის დროს, მაგრამ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება მაინც ვერც ერთმა შეძლო. საბოლოოდ ქულის გაყოფა დაფიქსირდა და კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება.

ვაჟებში შავი ფერით გაიმარჯვა **დავით ბენიძემ** - **დიმიტრი კვარაცხელია** დაამარცხა და წინ წასულთ ნახევარი ქულით ჩამორჩება. სამი ქულა გაუხდა **ირაკლი ბერაძესაც**, რომელმაც გუშინ **ნოდარ ლორთქიფანიძე** დაამარცხა შავებით.

უმცროსი თაობის კიდევ ერთი წარმომადგენელი მიუახლოვდა ლიდერებს - **ალექსანდრე ებრალიძემ** თეთრებით **დავით სიჭინავა** დაამარცხა და 2.5 ქულა მოაგროვა. იგი დღეს მეოთხე დაფაზე **დავით ლომსაძეს** შეხვდება. ფავორიტი უფროსი თაობის მოჭადრაკეა, მაგრამ იოლ გამარჯვებას არც ლომსაძე უნდა ელოდოს.

გოგონებშიც მჭიდროდ მიემართებიან ფინიშისკენ და დალხენილი ცხოვრება ფავორიტებს არც აქ აქვთ. პირველ დაფაზე უკვე მოგახსენეთ, მეორეზე კი **მაკა ფურცელაძე** თეთრებით **სალომე ხაჟომიას** ხვდებოდა. დასაწყისში ფურცელაძეს მცირე უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ მეტში გარდასახვა ვერ შეძლო და ბოლოს ყაიმს დაყაბულდა. თუმცა ხაჟომიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი კარგი თამაშის წყალობით იყო, ხიფათი რომ აირიდა, შემდეგ კი კონტრიერიშზეც გადავიდა, თუმცა აშკარად საყაიმო პოზიციაში მოგება ვერაფრით მოხერხდებოდა და ბოლოს და ბოლოს დაზავდნენ.

მშვენიერ ფორმაშია და დამაჯერებლად თამაშობს **სალომე სირაძე**. სალომემ გუშინ **ანუკი ხაჟომიას** მოუგო შავი ფერით, სამნახევარი ქულა დააგროვა და ლიდერთა სამეულში აღმოჩნდა. დღეს უკვე პირველ დაფაზე ითამაშებს, კვლავაც შავებით და მეტოქეობას ბელა ხოტენაშვილს გაუწევს. ფავორიტად ხოტენაშვილი კი ითვლება, მაგრამ სალომეს ძალუძს ღირსეული პაექრობა და თუკი საკუთარ ძალებს ირწმუნებს, გამარჯვებაც კი შეუძლია...

მეორე დაფაზე **მირანდა მიქაძე** შავებით შეხვდება **ანა მეძმარიაშვილს**, რომელიც, შეიძლება ითქვას, ტურნირის დებიუტანტია, - იგი 16 წლის კი არის, მაგრამ რამდენიმე წელია, ჭადრაკს ჩამოშორებული იყო და მხოლოდ ახლა გამოჩნდა ასპარეზზე. ამიტომაც მოულოდნელია მისი შედეგიანი თამაში - სამი ქულა აქვს. მადა რომ ჭამაში მოდის, ვიცით და ვინძლო ანასაც ასე დაემართოს და პირველობისთვის სერიოზულად დაიწყოს ფიქრი.

კვლავ წარმატებული იყო ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობის ავტორი, 10 წლის ფოთელი **ადა ქაქუთია**, - მან შავებით **ქრისტინე მჟავიას** არაფერი დაუთმო და ყაიმს გამორჩა. ეს ერთი ციდა გოგო, ისეთი თავდაჯერებული უზის დაფას, რომ გამობრძმედილ ოსტატებს შეშურდებათ. თვალშისაცემია მისი სათამაშო დისციპლინა, - დაფას არ სცილდება და მთელ ყურადღებას პარტიას ახმარს. მსგავს მიდგომას სხვებს მთელი კარიერის განმავლობაში ასწავლიან, მაგრამ რიგ შემთხვევებში - უშედეგოდ, ან ნაკლებშედეგიანად. ადას კი, როგორც ჩანს, ბუნებრივადაც მოსდგამს და მწვრთნელ-დამრიგებელთა რჩევებსაც ზედმიწევნით ითვალისწინებს; შედეგიც ამიტომ აქვს. მეოთხე ტურში ქაქუთია თეთრებით ხვდება ფურცელაძესა ის ობიექტურად ბევრად ჩამოუვარდება კლასით მეტოქეს, რამაც შეიძლება მისი მარცხი განაპირობოს, მაგრამ აშკარად დიდ ნიჭთან გვაქვს საქმე და გულშემატკივრებს თუ სპეციალისტებს ეს უნდა ახარებდეთ!

მეხუთე ტურში: **გოგონები: ბელა ხოტენაშვილი (3.5)-სალომე სირაძე (3.5); ანა მეძმარიაშვილი (3)-მირანდა მიქაძე (3.5); ანა ქაქუთია (2.5)-მაკა ფურცელაძე (3); სალომე ხაჟომია (2.5)-ნინო ანაკიძე (2.5); ანა თოფურიძე (2.5)-ქრისტინე მჟავია (2.5); თინათინ ბერიძე (2)-მადონა ბოკუჩავა (2); ეკა გოგლიძე (2)-ელისაბედ ზარქუა (2); ნაზი მახათაძე (2)-ლელა უგულავა (2); ნინო კეკელიძე (1.5)-ანუკი ხაჟომია (2); დეა გოგიშვილი (1.5)-ფატი რიჟამაძე (1.5).**

ვაჟები: **თორნიკე სანიკიძე (3.5)-ლუკა პაიჭაძე (3.5); შოთა აზალაძე (3)-გაიოზ ნიგალიძე (3.5); დავით ბენიძე (3)-ირაკლი ბერაძე (3); დავით ლომსაძე (3)-ალექსანდრე ებრალიძე (2.5); ზვიად ფაცია (2.5)-გიორგი ნიკოლაშვილი (2.5); ზურაბ ჯავახაძე (2.5)-დიმიტრი კვარაცხელია (2.5); დავით ურუშაძე (2.5)-თორნიკე გაბუნია (2); კახაბერ წერეთელი (2)-თამაზ გუგულაშვილი (2); ნიკა ვოლკოვი (2)-ნოდარ ლორთქიფანიძე (2); გიორგი ცირეკიძე (2)-ლაშა კაჭარავა (1.5).**

**ზვიად შათირიშვილი**

ხელბურთი

20-წლამდელთა ნაკრები

# მზადება ესპანეთისთვის



გიორგი ქობელაშვილი

საქართველოს 20-წლამდელ ხელბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის სამზადისს შეუდგა. როგორც იცით, საკვალიფიკაციო ციკლი 21-24 მარტს, ესპანეთის ქალაქ ლუგოში გაიმართება, სადაც მასპინძლების გარდა, სლოვაკებსა და იტალიელებს შევხვდებით. ევროპის ჩემპიონატზე გავა ქვეჯგუფის 2 საუკეთესო გუნდი.

ნაკრებმა მოსამზადებელი ეტაპი სტუ-ს დარბაზში დაიწყო. ამჟამად, საწვრთნელ პროცესს წარმართავს მთავარი მწვრთნელის თანაშემწე **გიორგი ქობელაშვილი**. ეროვნული ნაკრების კაპიტანი ახლახან დამტკიცდა ოფიციალურად 20-წლამდელების თავკაც **გარი თურქიას** თანაშემწედ. აღსანიშნავია, რომ სამიოდე წლის წინ, ქობელაშვილი და თურქია საბერძნეთის ჩემპიონატში ერთად თამაშობდნენ, ახლა კი ერთად გაწვრთნიან 20-წლამდელებს.

ქობელაშვილს კონსულტაციას უწევს ეროვნული ნაკრების თავკაცი **იმედო ფხაკაძე**. რაც შეეხება თურქიას, იგი აპრილის დასაწყისში ჩამოვა საბერძნეთიდან, როდესაც ნაკრები დასკვნით შეკრებას დაიწყებს.

სამწუხაროდ, ხელბურთის ფედერაციის სურვილის მიუხედავად, უცხოური შეკრებისთვის საჭირო თანხა ვერ გამოიძებნა. შესაბამისად, გუნდი სტუ-ს ბაზაზე დაამთავრებს მოსამზადებელ ეტაპს.

თურქიამ და ქობელაშვილმა გაფართოებულ შემადგენლობაში, 26 ხელბურთელი იხმეს. აქედან საბოლოოდ უნდა შეირჩეს ის 14 მოთამაშე, რომელიც ესპანეთში წავა. აღსანიშნავია, რომ თუკი აქამდე 20-წლამდელთა ნაკრები მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის კლუბებიდან კომპლექტდებოდა, ახლა ახალგაზრდული პირველობის გუნდებიდანაც გამოჩნდა რამდენიმე პერსპექტიული ხელბურთელი. საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიდერის ჭაპანი კი უდავოდ ეროვნული ნაკრების წევრმა, **რატი მსხვილიძემ** უნდა გაწიოს, რომელიც საკლუბო პრობლემების გამო, ისლანდიიდან პირდაპირ ესპანეთში შეუერთდება გუნდს.

დასასრულ, გთავაზობთ იმ 26 ხელბურთელის სიას, რომელიც გარი თურქიამ და გიორგი ქობელაშვილმა იხმეს.

მეკარეები: **გიგა ტორონჯაძე** (სტუ-თელავი), **გაგა სამყურაშვილი** (სტუ-თელავი), **დავით შიშინაშვილი** (ქუთაისი)

მოედნის მოთამაშეები: **ირაკლი ჩიქოვანი, ზურაბ მელქოშვილი, დავით საჯაია, გიორგი ჯოხარიძე, გერონტი ფერაძე, ნიკოლოზ ჯორბენაძე, გიორგი ჩიქოვანი, ლუკა ჩიხლაძე** (ყველა სტუ-თელავი), **ავთანდილ ჟღენტი, ვანო ქარდავა, თენგიზ მუმლაძე** (სამივე თბილისი), **უჩა გამზარდია, ჯუმბერ ხუნჯუა** (ორივე ფოთი), **ნიკოლოზ სვიმონიშვილი** (თელავი), **დავით მძელური** (რუსთავი), **გოგიტა ნიკურაძე** (სამტრედია), **თორნიკე ზაალიშვილი, თორნიკე კორაშვილი** ( ორივე ყვარელი), **კოტე ჯანაშია, გიორგი ტუღუში, გიორგი ადამია, გიორგი დოლიძე** (ყველა ქუთაისი), **რატი მსხვილიძე** (სტიარნანი, ისლანდია)

**კობა ხატისაშვილი**



რეზო ჭანტურია

ლეგიონერი

# ჭანტურიას კოპერი ერგო

ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. შეიძლება ითქვას, რომ **რეზო ჭანტურიას** "მეტალურგს" (მაკედონია) წილისყრისას გაუმართლა, რადგან სლოვენიური "კოპერი" შეხვდა. მართალია, სლოვენიელებმა მერვედფინალიდან გამოაგდეს საკმაოდ ძლიერი "ლემგო" (გერმანია) და თანაც მეოთხედფინალში სუსტი მეტოქეები ალარ არსებობენ, მაგრამ სხვა გუნდებს ალბათ მაინც ისევ "კოპერი ჯობდა. ვიმედოვნებთ, რეზოს გუნდი სლოვენიური ბარიერის გადალახვას მოახერხებს.

პირველი მეოთხედფინალური მატჩები 8-9 მარტსაა დაგეგმილი, განმეორებითი კი 5-16 მარტს.

**კობა ხატისაშვილი**

რაგბი



ტიმ ლეინი და გიორგი ნიჟარაძე

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# უალტერნატივო ადამიანი არ არსებობს, უბრალოდ, ჩვენ გუნდი ვართ!

**კვირას, 24 თებერვალს, "ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა გაიმართება. სხვა საკითხებთან ერთად ყრილობის დღის წესრიგში ახალი პრეზიდენტის არჩევნებიცაა. კანდიდატი კი მხოლოდ ერთია, ამჟამინდელი ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე.**

**- ვინაიდან კონკურენტი არ გყავთ, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტი იქნებით?**

- მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, ჯერ ყრილობა ჩატარდეს. ყრილობის მონაწილეები ხომ უნდა დავარწმუნო იმაში, რომ ხმა მე უნდა მომცენ.

**- როგორ აპირებთ მათ დარწმუნებას?**

- ჩემი პროგრამით, რომელიც არაერთხელ გამხდარა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი, თუნდაც თქვენი გაზეთის ფურცლებიდან. ყრილობაზე კიდევ ერთხელ დავასახელებთ ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. ესენია ბავშვთა რაგბი, შიდა ჩემპიონატი, რაგბი რეგიონებში, მოედნებისა და ზოგადად ინფრასტრუქტურის პრობლემის გადაჭრა, სანაკრებო პოლიტიკა.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ეროვნულ ნაკრებში მოწვეული მაღალი დონის სპეციალისტი მარტო ნაკრებთან არ იმუშავებს და საქართველოში 6-7 თვე დაჰყოფს იმისთვის, რომ ერთიანი სავარჯიშო სისტემა შექმნას, ადგილობრივ მწვრთნელებს ჩაუტაროს სემინარები და ოთხი წლის შემდეგ რამდენიმე მაღალი დონის ადგილობრივი სპეციალისტი დაგვიტოვოს, სწორედ ამ პროგრამის ნაწილია. ზუსტად ამ პრინციპით ვაპირებთ, ფიზმომზადების მწვრთნელის მოწვევას.

**- როგორ ფიქრობთ, რაგბის კავშირის პრეზიდენტობაზე ალტერნატივა რატომ არ გყავთ?**

- თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ უალტერნატივო ადამიანი არ არსებობს, უკეთესის მოძებნა ყოველთვის შეიძლება. რაც შეეხება იმას, რომ მარტო ჩემი კანდიდატურაა წამოყენებული, ასე ავხსნი: აქ ჩემი პიროვნება არაფერ შუაშია. უბრალოდ, ბოლო პერიოდში რაგბის კავშირში ჩამოყალიბდა თანამოაზრეების ჯგუფი, რომელმაც ზუსტად დაინახა აქამდე დაშვებული შეცდომები, სწორი შეფასება მისცა ყველა არსებულ პრობლემას და ერთად შეიმუშავა მისი აღმოფხვრის გზები.

ყოველივე ეს, ცხადია, გავაცანით კლუბებს და ვეცდებით, ერთად დგომით, შრომით, ერთიანი ძალებით გამოვასწოროთ შექმნილი არცთუ სახარბიელო მდგომარეობა.

**- იმ პროგრამის განხორციელებას, რომელიც თქვენ გაქვთ შემუშავებული, სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება. თუ არის დღეისთვის რაიმე სიახლე რაგბის კავშირის სპონსორებთან დაკავშირებით?**

- ჩვენი ყველაზე დიდი სპონსორი სახელმწიფოა. რაგბის კავშირი, როგორც ცნობილია, არასახელმწიფო სტრუქტურაა და რადგან სახელმწიფო ფინანსურად გვეხმარება, გამოდის რომ სპონსორია. დღესდღეობით ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია რაგბის კავშირისთვის თანხა მილიონი ლარის ოდენობით. ეს არის ნაწილი იმ თანხიდან, რომელიც გათვალისწინებულია პრეზიდენტის მიერ გაცხადებული პროგრამის განხორციელებისთვის. სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით, დარჩენილ ნაწილს მეორე-მესამე კვარტალში გამოგვიყოფენ.

ამის გარდა, დროის ამ პერიოდში დაიწყება პროგრამის იმ ნაწილის განხორციელება, რაც ინფრასტრუქტურას შეეხება. კერძოდ სტადიონების მშენებლობა ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, რუსთავსა და თელავში. ამას გარდა, თბილისში მიწის 12 ნაკვეთს გადმოგვცემენ, რომელზეც რაგბის კავშირი თავისი რესურსებით მოაწყობს სავარჯიშო მოედნებს და გადასცემს კლუბებს. რაც ერთხელ და სამუდამოდ მოხსნის სავარჯიშო მოედნების პრობლემას. ასეთივე პრინციპით, გვინდა გადავჭრათ ანალოგიური პრობლემები რეგიონებშიც.

რაც შეეხება კერძო კომპანიების დახმარებას. ჩვენი გენერალური სპონსორია "კვარციტი". სხვა დანარჩენი სპონსორების ვინაობას კი ყრილობაზე გაგიმხელთ.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, წლეულს IRB-დან ფინანსური დახმარებაც მნიშვნელოვნად გაიზრდება. რას მოხმარდება ის?**

- IRB-ის დახმარება ითვალისწინებს სანაკრებო და განვითარების ყველა პროგრამულ უზრუნველყოფას. კერძოდ, ამ თანხიდან დაფინანსდება ყველა ასაკის ნაკრებების ტურნირებში მონაწილეობა, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება მათი სემინარებში მონაწილეობა და საზღვარგარეთ პრაქტიკის გავლა. ამისთვის 70 გირვანქა სტერლინგია გამოყოფილი. რაც შეეხება განვითარებას, IRB-ს დაფინანსებასთან ერთად, სახელმწიფოს და სპონსორების დახმარებით უნდა შევქმნათ რაგბის ორი აკადემია, თბილისში "შევარდენის" სტადიონის ბაზაზე და ქუთაისში 27-ე სკოლის ბაზაზე. ამისთვის და განვითარების სხვა გეგმებისთვის IRB-მ 118 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოგვიყო.

**- არ შემიძლია არ შევეხო ეროვნული ნაკრების თემასაც, მით უფრო, რომ ზეგ ჩვენ გუნდს რთული შეხვედრა ელის ლისაბონში პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ. საქართველოს ნაკრებში ახლა თაობათა ცვლის პროცესი მიდის. რამდენად უმტკივნეულოდ მიმდინარეობს ის?**

- თაობათა ცვლის პროცესი არ შეიძლება, უმტკივნეულოდ მიმდინარეობდეს. ამჟამად ჩვენ ეროვნულ გუნდში მიდის სელექციის პროცესი. ახალმა მწვრთნელმა უნდა ნახოს და საქმეში გამოსცადოს რაც შეიძლება მეტი მოთამაშე. ამასთან, მან თავისი იდეები უნდა მოარგოს ქართულ ხასიათს, სათამაშო სტილს და სადღაც ერთი წლის შემდეგ მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მომდევნო მსოფლიო თასისთვის გუნდის აწყობა დაიწყოს.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ჩვენს კონკურენტ გუნდში იგივე პროცესები მიმდინარეობს. ახალი ციკლისთვის ახალ ნაკრებს აკეთებენ. ჩვენ გუნდში თამაშის შანსი ექნება ყველას, განურჩევლად ასაკისა და ნაკრებში მხოლოდ საუკეთესოები დარჩებიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო

# შვიდივე ლიცენზია გვაქვს!

## ახლა მთავარია კარგად მომზადება

გუშინ, სპორტის დეპარტამენტში, ძიუდოს ფედერაციამ გამართა, პრესკონფერენცია, რომელიც განვლილი ტურნირების შეჯამებაც იყო და მომავალი შეჯიბრებების მიმოხილვაც. წლეულს ნაკრებმა თბილისის, პარიზისა და ვენის მსოფლიო თასებზე იჭიდავა, წინ კი კიდევ ორი თასია - ამ უქმეებზე გასამართი ჰამბურგისა და ზედ მარტის დასაწყისში დაგეგმილი - პრაღისა. აქამდე გამართულ ტურნირებში ჩვენებმა 4 ოქრო, ამდენივე ბრინჯაო და 2 ვერცხლი მოიპოვეს.

ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** ამ ტურნირებით კმაყოფილია, რადგან გამოსცადეს რამდენიმე ახალგაზრდა, შეამოწმეს ლიდერების მზადყოფნა, გაიარეს მეტად ნაყოფიერი ერთობლივი წვრთნები, გამოასწორეს შეცდომები... მაგრამ მწვრთნელმაც და სხვებმაც ჩავლილი ტურნირების უმთავრეს მონაპოვრად მსოფლიო ჩემპიონატზე დაკარგული იმ ორი ლიცენზიის მოპოვება მიიჩნიეს. მოგეხსენებათ, პეკინის ოლიმპიადის საგზურები **ზაზა კედელაშვილმა** (66) და **გიორგი ბაინდურაშვილმა** (81) დაგვიბევეს და ჩინეთში სრული გუნდით გამოვალთ.

გამომსვლელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წლევანდელი სეზონი სალიცენზიოა და ორმაგად მნიშვნელოვანი. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა ძიუდოისტებს მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა და პეკინში წარმატებით გამოსვლის იმედი გამოთქვა. ნაკრების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ მზადება გეგმაზომიერად მიდის, შეუფერხებლად და უპრობლემოდ, რაც საოლიმპიადოდ წარმატების იმედს უტოვებთ.

ჰამბურგის ტურნირზე ნაკრები ამ დილით გაფრინდებოდა 6-კაციანი შემადგენლობით: **ბეთქილ შუკვანი** (60), **ალექსანდრე იაკობაშვილი** და **ზებედა რეხვიაშვილი** (66), **გრიგოლ შინჯიკაშვილი** და **ხვიჩა ხუციშვილი** (81), **ნოდარ მეტრეველი** (100). ორშაბათს ეს გუნდი უკან დაბრუნდება, ჰამბურგში კი იმავე დღეს ძირითადი შემადგენლობა გაემგზავრება ერთობლივ ვარჯიშებში მონაწილეობისთვის. ის ტურნირი ნაკრებისთვის სასტარტოა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად და ამიტომ თითქმის ყველა ლიდერი იჭიდავებს: **ნესტორ ხერგიანი** და **მინდია ხომიზური** (66), **ზაზა კედელაშვილი** და **ზურაბ დილებაშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** და **საბა გავაშელიშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** და **ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100). ამათგან ხერგიანი, კედელაშვილი, ცირეკიძე, ჟორჟოლიანი და გუჯეჯიანი 11-13 აპრილს ლისაბონში, ევროპირველობაზეც იჭიდავებენ. იქ **დავით ქევხიშვილიც** (73) გამოვა, თუმცა პრაღაში არ იჭიდავებს. ის და **ვალერი ლიპარტელიანი** ერთობლივ ვარჯიშებს ჰამბურგშიც დაესწრებიან და პრაღაშიც.

ჩეხეთიდან დაბრუნებული გუნდი ევროპის პირველობისთვის გეგმაზომიერ მზადებაზე გადავა - 6 მარტს ბაკურიანში დაიწყებენ შეკრებას, რასაც მერე ბორჯომში მზადება მოჰყვება.

ჰამბურგისა და ჩეხეთის ტურნირები სალიცენზიოა, ასევე - ევროპის ჩემპიონატიც, მაგრამ ჩვენ ქულები უკვე ნაკლებად გვაღელვებს. განსაკუთრებით, 66-ში, სადაც კედელაშვილი მეორეა რეიტინგში. ბაინდურაშვილი მეშვიდეა, მაგრამ საგრძნობლად უსწრებს მდევრებს. აქ ლიცენზიას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავკარგავთ, თუ სამივე ტურნირს ის ულიცენზიოები მოიგებენ. თანაც, სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, ეს კი არარეალურია. სავარაუდოდ, ამ ტურნირებზეც ლიდერები იყოჩაღებენ, მათი უმეტესობა კი რეიტინგში ისედაც გვისწრებს.

ევროპის პირველობის შემდეგ ნაკრები ასევე გეგმაზომიერ მზადებას უკვე ოლიმპიადისთვის დაიწყებს.

**ირაკლი თავაძე**



შოთა ხაბარელი და დავით ნამგალაური პრესკონფერენციაზე

ჩოგბურთი

# ოქრუაშვილი პორტუგალიაში გამოჩნდა

17 წლის **მაგდა ოქრუაშვილი** პორტუგალიურ პორტიმაუში 10-ათასიან ტურნირში მონაწილეობდა. მაგდა ურეიტინგო ჩოგბურთელია, ასე რომ, მას ბრძოლა საკვალიფიკაციო ბადეში მოუწია. პირველ წრეში მისი მეტოქე ფრანგი **ლეტიცია პრატი** იყო, რომელსაც ქართველმა ჩოგბურთელმა სამ სეტში მოუგო – 6:2, 3:6, 6:2. მეორე წრეში ოქრუაშვილი ისრაელის წარმომადგენელ **იულია გლუშკოს** (734) შეხვდა და 3:6, 4:6 დამარცხდა. გლუშკო 18 წლისაა, ის ახალგაზრდულ მსოფლიო რეიტინგში შარშან მეათე ადგილზე იყო. მარცხის მიუხედავად ქართველი პორტუგალიურ ტურნირს ჯერ არ დამშვიდობებია, მას და უზბეკ **ქრისტინა ბენაშვილს** ორგანიზატორებმა წყვილთა თანრიგის ძირითადი ბადის „უაილდ ქარდი" მისცეს. პირველ წრეში ბენაშვილი და ოქრუაშვილი მე-3 ნომრად განთესილ რუმინელებს (**იონელა იოვა, კამილია ჰრისტეა**) შეხვდებიან. სამწუხაროდ, ოქრუაშვილი ერთადერთი ჩვენებურია, როგორც ქალთა ასევე ვაჟთა შორის, რომელიც ამ კვირაში თამაშობს, მას შემდეგ, რაც **მაკა ჩახნაშვილი** და **ანა ტატიშვილი** WTA-ის ტურნირების საკვალიფიკაციო ბადიდან გავარდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ულების თასი. მეთექვსმეტედფინალი

# მარკოები გამგელდნენ

თუ **გიორგი ცინცაძემ** "როკს" ბოლო წამებზე შესრულებული სამი საჯარიმოთი მოაგებინა, **მანუჩარ მარკოიშვილმა** "კიევს" ბელგიურ "ოსტენდესთან" საფინალო სირენამდე 1:36 წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო და უკრაინელებს სტუმრად 65:61 გამარჯვება დაუბევა.

ევროთასისგან განსხვავებით, ულების თასზე პლეიოფი ორი მატჩისგან შედგება, შესაბამისად მნიშვნელობა ენიჭება ქულათა შეფარდებას. ასე რომ, "კიევმა" განმეორებით მატჩში (26 თებერვალს) შინ 4 ქულაზე ნაკლებით თუ წააგო, მერვედფინალის საგზური მაინც ერგება. თუმცა, არა გვგონია, ტომო მაჰორიჩი მოგებაზე არ ფიქრობდეს.

"ოსტენდე"-"კიევის" მატჩის მსვლელობა უკრაინულ გაზეთ "ბოლელშჩიკში" დეტალურად გადმოსცა ბელგიაში მყოფმა ჟურნალისტმა **ალექსეი ეფიმოვმა**. მისი მიმოხილვიდან ჩვენთვის საინტერესო ფაქტები გამოვხშირეთ:

*"ბელგიელებმა თავიდან აქცენტი პერიმეტრიდან ტყორცნებზე გადაიტანეს და 17:12 დაწინაურდნენ. მაჰორიჩის გუნდმა თამაშის გამოსწორება ბოლო წუთზე მოახერხა - მანუ მარკოიშვილმა თანაგუნდელები აიყოლია, ჯერ დაფარება მიითვალა, შემდეგ მნიშვნელოვანი მოხსნა, სირენასთან ერთად კი სწრაფი გარღვევა ორქულიანით დააგვირგვინა - 25:19 "კიევის" სასარგებლოდ.*

*მეორე და მესამე პერიოდებში მასპინძლებმა კიეველებს თავს საკუთარი თამაში შემოახვიეს და გადამწყვეტი რაუნდის წინ 51:42 დაწინაურდნენ. მეოთხე ათწუთეულის საწყისმა ორმა წუთმა მშრალად ჩაიარა. ამას მოჰყვა მარკო მარავიჩისა და მარკოიშვილის 2-2 ქულა და მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა - 46:51. მარკოები ამაზე არ გაჩერებულან: ჯერ მარავიჩმა გამოამჟღავნა ნერვების სიმტკიცე - პერიმეტრიდან გასროლა და 56:56, შემდეგ ქართველმა ეფექტურ ზემოდან გდებას რთული სიტუაციიდან ჩაგდებული სამიანი მიაყოლა და საფინალო სირენამდე 1:36 წუთით ადრე "კიევმა ლიდერობა დაიბრუნა (60:59). დარჩენილ მოკლე დროში პუხ ჯეტერმა და მანუ მარკოიშვილმა "კბილებით" დაიცვეს საკუთარი კალათი და "მგლებს" ("კიევის" მეტსახელი) 65:61 მოაგებინეს".*

მანუჩარმა საბოლოოდ 28 წუთი ითამაშა, 12 ქულა (6-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი) ჩააგდო, ბურთი ექვსჯერ მოხსნა, რასაც 2 პასი და თითო ჩაჭრა-დაფარება მიამატა. გამთამაშებელმა პუხ ჯეტერმა 15 ქულა გაიფორმა, ხოლო მარკო მარავიჩმა - 11.

დაველოდოთ 26 თებერვალს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**



მანუჩარ მარკოიშვილი ოსტენდესთან მატჩში



გიორგი ცინცაძე ურალ გრეიტის წინააღმდეგ

ევროთასი. მეოთხედფინალი

# ბუ და აბუებული ურალი

**გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე აკრეფილი სიჩქარე არც მეოთხედფინალში დააგდო და სერიის პირველი მატჩი რუსულ "ურალ გრეიტს" 78:75 მოუგო. განმეორებითი შეხვედრა პერმში 25 თებერვალს გაიმართება და თუ რუსეთში მასპინძლებმა იმარჯვეს, მესამე, გადამწყვეტ მატჩს კვლავ ესტონეთის ქალაქი ტარტუ უმასპინძლებს.

როგორც ყოველთვის, "როკმა" ამჯერადაც გუნდური თამაში უჩვენა, მაგრამ ასეთ დაძაბულ პაექრობებში რიგ ეპიზოდებში ბევრს წყვეტს ინდივიდუალური ოსტატობა. ჰოდა, კრიტიკულ მომენტებში "როკერთაგან" გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე იღებდა თამაშს საკუთარ თავზე და პირველ რიგში, სწორედ მისი დამაჯერებელი გარჯის წყალობით გაიმარჯვა "ტარტუმ". ერთიც უნდა ითქვას - ბუ ორი წლის წინათ "სამარადან, "ურალ გრეიტში" იმედიანად გადავიდა, მაგრამ ნახევარ წელში გუნდი მწვრთნელებზე განაწყენებულმა დატოვა (არ ენდობოდნენ). აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ "ურალთან" მატჩში ქართველს დამატებითი მოტივაცია ჰქონდა. აქვე გეტყვით, ცინცაძემ მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, მოედანზე 36 წუთი გაატარა, 16 ქულა (8-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 8-დან 5 საჯარიმო), 6 შედეგიანი გადაცემა და 4-4 მოხსნა-ჩაჭრა მიითვალა. იგი მარგი ქმედების კოეფიციენტით შეხვედრაში საუკეთესო იყო, თუმცა სნაიპერობა თანაკლუბელ ტანელ ტეინს დაუთმო - 18 ქულა.

ახლა ორიოდე სიტყვა მატჩის მსვლელობაზეც ვთქვათ. საფინალო ანგარიშიც გვეუბნება, რომ შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. როკერებმა მხოლოდ ორჯერ მოახერხეს 9-10 ქულის სხვაობით დაწინაურება. პირველად მესამე პერიოდის დასაწყისში: გიორგი ცინცაძის პასით ტეინმა ორქულიანი ჩააგდო, ამას ბუმ ორი და სამქულიანები მიაყოლა და 10:0 სპურტის შემდეგ "როკი" 50:41 დაწინაურდა.

...მაგრამ ამ დროს გამოფხიზლდა გიორგის ყოფილი თანაგუნდელი ბაშმინოვი, რომლის ზუსტი თამაშის წყალობით "ურალ გრეიტმა" მასინძლებს 54:53 გადაასწრო.

"როკმა" მეორე გაქცევა (16:0) მესამე მეოთხედის ბოლოს დაიწყო და მეოთხის დასაწყისში ცინცაძის ორქულიანით დაასრულა - 69:54. თუმცაღა, მატჩის სცენარი მანამდე დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებას ითვალისწინებდა: მასპინძელთა დამშვიდებას რუსების გამოფხიზლება მოჰყვა და სირენამდე 2 წუთით ადრე სხვაობა სულაც 4 ქულამდე შემცირდა (75:71). დარჩენილ დროში "როკერთაგან" მხოლოდ ბუ ჩანდა - ბურთიც ჩაჭრა, სამქულიანიც ააცილა, შეცდომაც დაუშვა, ოთხიდან სამი საჯარიმოც გამოიყენა და მატჩის დასრულებამდე 34 წამით ადრე "ტარტუ" 78:72 დააწინაურა. საბოლოო ანგარიში უკვე გითხარით - 78:75.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭიდაობა

# მორჩილაძე დაგვემატა

თებერვალ-მარტის მიჯნაზე, უნგრულ სომბათჰეიში გასამართ ტურნირებზე საქართველოს "ანტიკოსთა" ნაკრების შემადგენლობა გუშინწინ გაცნობეთ, მაგრამ გუშინ იმ შემადგენლობას ერთი კაცი დაემატა - **გია მორჩილაძის** ტრავმა (96) სერიოზული არ გამოდგა და ჩვენი ნაკრები სრული გუნდით იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ 27-28 თებერვალს უნგრეთში მსოფლიო თასი ტარდება, რომელშიც საქართველოს, უნგრეთის, რუსეთის, აშშ-ს, ირანის, თურქეთისა და ბულგარეთის გუნდები გამოვლენ. გუშინ ვწერდით, რომ ამ ტურნირზე 96-ში მონაწილე არ გვეყოლებოდა, რადგან წონის ორივე ლიდერი - **რამაზ ნოზაძეც** და ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი გია მორჩილაძეც ტრავმებს იშუშებდნენ. გუშინ ფალავანთა კლუბში საკონტროლო შეხვედრები გაიმართა და, საბედნიეროდ, მორჩილაძის ტრავმა მთლად ისე სერიოზული არ აღმოჩნდა. მწვრთნელებმა ნაკრებში ჩართეს და იმედოვნებენ, მდგომარეობა იქამდე კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

შეგასხენებთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობას: **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** და **დავით ბედინაძე** (60), **ლაშა ლომაძე** და **მუხრან მაჭუტაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია** და **შმაგი სახლთხუციშვილი** (74), **ბადრი ხასაია** და **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **გია მორჩილაძე** (96), **რევაზ ჭელიძე** და **გურამ ფერსელიძე** (მძიმე).

1-2 მარტს იქვე "ოქროს დიდი პრიზის" რანგით მეორე ტურნირიც ტარდება, რომელშიც იგივე შემადგენლობა იჭიდავებს. მაგრამ მანამ ორი ჩვენებური - **მანუჩარ ცხადაია** (66) და **გენადი გოგიშვილი** (74) სერბეთშიც გამოვა საერთაშორისო ტურნირში.

ამ უქმეებზე საერთაშორისო ტურნირი კიევშიც ტარდება თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ჩვენი ძირითადი ნაკრები იჭიდავებს: **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **კობა კაკალაძე** (66), **გელა საღირაშვილი** (74), **რევაზ მინდორაშვილი** და **არჩილ ქიტიაშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (მძიმე). ჯერ მწვრთნელები საევროპო ნაკრებზე არ საუბრობენ, მაგრამ ეს გუნდია შეგულებული. კიევშიც გამოსაცდელად მიჰყავთ, სასტარტო შეჯიბრება კი მარტში მინსკში ექნებათ.



ბეგი დარჩიამ შემადგენლობა დაასახელა

**ირაკლი თავაძე**

თერილი

**ალექსი მოდებაძე.** დაიბადა 21.02.1978, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა (130 კგ). ევროპის ჩემპიონატების მეორე (2001) და მესამე (2003) პრიზიორი. ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე (1998) და ევროპის ჩემპიონატების მეორე (1998) და მესამე (1997) პრიზიორი. საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. 2000 წლის სიდნეის (X ადგილი) და 2004 წლის ათენის (XIV ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

კადეტთა ნაკრები

# თურქეთი მთავარი ფავორიტია

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა თურქეთში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მეოთხე მატჩი მასპინძლების წინააღმდეგ ჩაატარა და 30 ქულის სხვაობით დამარცხდა - 53:83.

ეს არც იყო გასაკვირი, რადგან თურქებმა ჩვენამდე უკრაინასაც აჯობეს, იტალიასაც და სლოვენიასაც.

მასპინძელთა გამარჯვებას სხვასთან ერთად ერთი მიზეზიც ჰქონდა - მათ კარგად გაანეიტრალეს ქართველთა მთავარი მექულე მერაბ ბოქოლიშვილი, რომელმაც მეტოქის კალათისკენ მხოლოდ 7 ორქულიანი ისროლა და ორი გამოიყენა.

**თურქეთი-საქართველო 83:53**

15:18, 9:21, 15:27, 14:17

საქართველო: მაღრაძე (4ქ), გურაბანიძე, ჯავახიშვილი (9), ტეტელაშვილი (12), ბოქოლიშვილი (4), ელანიძე (6), ჩერქეზიშვილი (3), თენეიშვილი (7), სანაძე, ალხანაიძე (3), მეხრიშვილი (3), შარაბიძე (2)

თურქეთი: ვარდალი (13ქ), ეროღლუ (10), კანტერი (10)...



საქართველო-თურქეთი

ასე და ამგვარად, თურქეთში საერთაშორისო ტურნირზე მყოფმა საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ჯგუფში პირველი ოთხი შეხვედრა წააგო. ამ შეხვედრებზე გავესაუბრეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს, გელა წულაძეს.

**- ბატონო გელა, მოდით, იტალიასთან შეხვედრით დავიწყოთ. რა გახდა ასეთი დიდი სხვაობით ნაგების მიზეზი?**

- სიმართლე გითხრათ, ახლა თავადაც გვიჭირს მიზეზების პოვნა. ერთადერთი, რითაც შეიძლება იტალიასთან ასეთი სხვაობით ნაგება ავხსნა, ფსიქოლოგიური ფაქტორია და ის, რომ ნაკრებს გაცილებით კარგად შეუძლია გამოსვლა, შემდეგი შეხვედრებიდანაც გამოჩნდა, როდესაც საკმაოდ ძლიერ რუსეთსა და კარგ, მებრძოლ უკრაინას კინაღამ მოვუგეთ. თანაც, იტალიელებმა თავიდანვე რაღაც წარმოუდგენელი პროცენტით შეასრულეს სამქულიანები. მოკლედ, ჩვენი დღე არ იყო. შემდეგ, როდესაც ვიდეოჩანაწერი ვნახეთ, თავადაც გვიკვირდა, რომ იტალიასთან ამდენით წავაგეთ. კარგი, სწრაფი გუნდია იტალია, მაგრამ იგივე ესპანეთთან ახლოსაც ვერ დგება. იტალია 40 წუთის განმავლობაში, მთელ მოედანზე მჭიდრო პრესინგს თამაშობს.

**- გაცილებით უკეთ გაისარჯეთ უკრაინასთან შეხვედრაში.**

- უკრაინასთან კარგად წაგვივიდა თამაში და თავიდანვე ჩამორჩენის მიუხედავად, ნელ-ნელა დავალაგეთ ყველაფერი. შეგვეძლო, შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დაგვესრულებინა. ბოლო წუთზე მოვლენები საკმაოდ დრამატულად წარიმართა. ვაგებდით 1 ქულას, როდესაც უკრაინელები ჩვენს საუკეთესო მექულეზე, მერაბ ბოქოლიშვილზე დაჯარიმდნენ. სამწუხაროდ, ბოქოლიშვილმა პირველი საჯარიმო გააფუჭა და მეორე კი გამოიყენა, მაგრამ ამით ანგარიში მხოლოდ გათანაბრდა. უკრაინელებს საპასუხო შეტევისთვის ექვსი წამი რჩებოდათ და სამწუხაროდ, ჩვენები მათ ერთ-ერთ მოთამაშეზე დაჯარიმდნენ. გაგვიმართლა, რომ უკრაინელმა ორივე საჯარიმო გააფუჭა და დარჩენილ 5 წამში უკვე ჩვენ შეგვეძლო შეგვეტია, მაგრამ ფარიდან ასხლეტილი ბურთი ვერ ავიღეთ და საბოლოოდ, მატჩი დამატებით დროში გადავიდა. სამწუხაროდ, ძირითადის იმ ბოლო შეტევისას, როდესაც უკრაინელებს ორი ჯარიმა ვასროლინეთ, მეხუთე პერსონალური შენიშვნა ბოქოლიშვილმა მიიღო და დამატებითში უკვე მის გარეშე მოგვიხდა თამაში. ბოქოლიშვილი რომ გვყოლოდა, მოგების დიდი შანსი გვრჩებოდა.

**- ბოქოლიშვილი, ჯერჯერობით, ტურნირის საუკეთესო სნაიპერი.**

- საკმაოდ კარგად თამაშობს და მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს.

**- რუსეთთან ბოქოლიშვილის ანგარიშზე 30 ქულა იყო.**

- რუსეთთან კარგად ვითამაშეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრით ჩამოვრჩით, თანაც, უკრაინასთან დამქანცველი შეხვედრის შემდეგ დაღლილებიც ვიყავით, არ მეგონა, თუ ნაკრები ასე კარგად ჩაატარებდა დასკვნით ეტაპს. წარმოიდგინეთ, ძირითადის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ვაგებდით 12 ქულას, მაგრამ 8 უპასუხო ქულა მივიღეთ... საფინალო სირენას 30 წამი რომ აკლდა, ბოქოლიშვილი ორ საჯარიმოს ასრულებდა. სამწუხაროდ, მან ორივე საჯარიმო გააფუჭა. არადა, რომ ჩაეგდო, ორ ქულამდე შემცირდებოდა სხვაობა და დარჩენილ დროში ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

**- ტურნირი საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება...**

- ძალიან დაძაბული იყო რუსეთისა და იტალიის შეხვედრა, სადაც ერთი კურიოზული მომენტი დაფიქსირდა. რუსებმა თამაშიდან ჩააგდეს, მაგრამ ქულები მათ ნაცვლად, იტალიელებს დაუწერეს. მერე, როდესაც რუსების მწვრთნელებმა გადაწყვეტილება გააპროტესტეს და ერთი ამბავი ატეხეს, მსაჯებმა მათ კუთვნილი ქულები კი დაუწერეს, მაგრამ იტალიელებისთვის ქულები არ დაუკლიათ. ბოლოს, ისევ რუსეთი იგებდა, მაგრამ ერთ-ერთმა იტალიელმა ლამის ცენტრთან მიიღო ბურთი, შემოტრიალდა და ჩააგდო. იტალიამაც ასეთი კურიოზული სროლით მოიგო შეხვედრა.

**- ვინ მიგაჩნიათ ამ ეტაპზე, ტურნირის საუკეთესო გუნდად?**

- ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერად, თურქეთი გამოიყურება, ვისაც, სხვათა შორის, უკრაინამ პირველი ტაიმი მოუგო და მხოლოდ ბოლოს დამარცხდა. ძლიერი გუნდებიც უფრო ჩვენს ჯგუფშია შეკრებილი, მეორე ჯგუფში კი ყველა ყველას უგებს და ფავორიტის გამორჩევაც რთულია.

www.gbf.ge








ფაჩულია ლეიკერსთან

# ზაზამ ქოროზა დაიბრუნა

იანვრიდან მოყოლებული ქართველ NBA-ელზე წერისას ჯერ გუნდზე ვსაუბრობთ, ბოლოს ვამბობთ - აბა, რით გაგახაროთ, ზაზას 10 წუთიც არ უთამაშია და ცხადია, ქულებსაც ვერ დააგროვებდა...

საბედნიეროდ დღეს საპირისპიროდ უნდა მოვიქცეთ - დავწეროთ, რომ **ზაზა ფაჩულიამ** 20 წუთში ორმაგი დუბლი გაიფორმა (12 ქულა, 12 მოხსნა), ხოლო მისმა "ატლანტამ" ლოს ანჯელესში "ლეიკერსთან" 93:122 დათმო.

ეს მისი მეორე დაბლ-დაბლია მიმდინარე სეზონში - მანამდე 10 ქულა და 11 მოხსნა "დეტროიტთან" (14 დეკემბერს) დააგროვა.

ალბათ გაგახსენდებათ, რომ შარშან ფაჩულიამ სწორედ NBA-ს ვარსკვლავთა მატჩის შემდეგ გააუმჯობესა თამაში და, იმედი დავიტოვოთ, რომ ამჯერადაც ასე იქნება.

სამწუხაროდ, მეორე ტრადიციის შესახებაც უნდა გითხრათ - "ჰოქსმა" გასულ სეზონში რეგულარული ჩემპიონატის მეორე ნახევარი ჩააგდო და ფლეი ოფში ამიტომაც ვერ მოხვდა. ...ჯორჯიელებს წელს 8 თებერვლის შემდეგ არ მოუგიათ (მას შემდეგ ხუთჯერ დამარცხდნენ) და აღმოსავლეთის კონფერენციაში ფლეი ოფში გამსვლელი მერვე ადგილი "ფილადელფიას" დაუთმეს.

ბექა ბეტონაძე

### ჭადრაკი

## ლინარესის ტურნირი

IV ტური: ალექსეი შიროვი (ესპანეთი)-ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 1:0; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)-თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 0.5:0.5; ლევონ არონიანი (სომხეთი)-ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 1:0; მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0.5:0.5.

სატურნირო მდგომარეობა: 1-3. ლევონ არონიანი (სომხეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) - 2.5 ქულა; 4-5. პეტერ ლეკო (უნგრეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი) - 2; 6-8. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), მაგნუს კარლსენი (ნორვეგია), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) - 1.5.

### ჰოკეი

## ლეკავალიე წასვლას არ აპირებს

"ტამპა ბეის ლაითნინგის" ლიდერმა **ვენსან ლეკავალიემ** უარჰყო გავრცელებული ჭორები იმის შესახებ, თითქოს მან კლუბის ხელმძღვანელობას სხვა გუნდში გაცვლა მოსთხოვა.

ეს ინფორმაცია ჩრდილოეთ ამერიკაში ჰოკეის შესახებ ყველა პოპულარულ პროგრამაში - Hockey Night in Canada-ში გაჟღერდა. წამყვანმა გამოაცხადა, რომ ლეკავალიე დაიღალა "პატარა" გუნდში თამაშით და ლოს ანჯელესში, ნიუ იორკში ან სულაც თავის მშობლიურ მონრეალში სურს გადასვლა. თუმცა თავად ჰოკეისტმა ამ ყველაფერს უაზრო ჭორი უწოდა.

*"ბოლოს მსგავსი აზრი თავში 2001 წელს მომივიდა. ახლა კი, იმ გუნდში მსურს თამაში, რომელშიც ამჟამად ვირიცხები"*, - განაცხადა რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა.

## ჩელიოსი ვანკუვერს უმიზნებს

"დეტროიტ რედ უინგზის" უბერებელი მცველი **კრის ჩელიოსი** კარიერის დასრულებას არ აპირებს. როგორც ამერიკელმა ჰოკეისტმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას გეგმაში აქვს 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა, არადა იმ დროს, ჩელიოსი უკვე 48 წლის იქნება.

თუ ამერიკელი ვეტერანის ჩანაფიქრი განხორციელდა, ვანკუვერის თამაშები მისთვის რიგით მეხუთე ოლიმპიადა იქნება. მანამდე ჩელიოსს 1984, 1998, 2002 და 2006 წლებში უთამაშია თეთრ ოლიმპიადებზე.

## 10-დღიანი ჰოკეი

ორი დღის წინათ, კანადაში ჰოკეის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი დასრულდა. 20 ენთუზიასტისგან დაკომპლექტებული ორი გუნდი, კანადის პროვინცია ალბერტაში ზედიზედ 10 დღე-ღამის განმავლობაში შეუჩერებლად თამაშობდა ჰოკეის.

241-საათიანი ბრძოლის შემდეგ მატჩის საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა - 2250:2223. რაც მთავარია, გუნდებმა ერთი საათით გააუმჯობესეს ხანგრძლივობის წინა რეკორდი, რომელიც მათვე ეკუთვნოდათ.

ჰოკეისტებს რთულ პირობებში მოუწიათ თამაში. პირველ დღეებში ტემპერატურა მინუს 20 გრადუსი იყო და მხოლოდ ბოლო დღეს დათბა, როცა პატარა ქალაქ შერვუდ-პარკში 0 გრადუსი დაფიქსირდა.

მატჩს საქველმოქმედო მიზანიც ჰქონდა. ორგანიზატორების მიერ მოზიდულ თანხებს ბავშვთა ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისთვის გამოიყენებენ.

## კრაიჩეკი სეზონის ბოლომდე დაისვენებს

"ვანკუვერ კენაქსის" მცველი **ლუკაშ კრაიჩეკი** სეზონის დარჩენილ ნაწილს მხარის ტრავმის მკურნალობას მოანდომებს. ამ კვირას ჩეხ ჰოკეისტს ოპერაციას გაუკეთებენ და საუკეთესო შემთხვევაში, ის აქტიურ სპორტს მომავალი სეზონის სტარტისთვის დაუბრუნდება.

კრაიჩეკმა დაზიანება 23 იანვარს, "სენტ ლუისის" ფორვარდ **კეიტ ტკაჩუკ**თან შეჯახებისას მიიღო და მას შემდეგ მოედანზე არ გასულა.

## აილენდერსმა მცველი დაკარგა

ერთ-ერთი წამყვანი მცველის გარეშე დარჩა "ნიუ იორკ აილენდერსი". ფეხის ტრავმის გამო დაახლოებით 4-6 კვირას ვერ ითამაშებს **ენდი სატონი**, რომელმაც დაზიანება ორშაბათს, "სან ხოსესთან" მატჩში მიიღო.

ამის გამო, "კუნძულელებმა" ამერიკის ჰოკეის ლიგიდან (AHL) სასწრაფოდ გამოიძახეს მცველი **დრიუ ფატი**. სწორედ ეს ჰოკეისტი შეცვლის უახლოეს მატჩებში სატონს.

## კროსბი სრული დატვირთვით ვარჯიშობს

"პიტსბურგ პინგვინზის" კაპიტანმა **სიდნი კროსბიმ** ფეხის ტრავმა მოირჩინა და თანაგუნდელებთან ერთად სრულფასოვანი ვარჯიშები განაახლა. თუმცა კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, გასული სეზონის საუკეთესო ჰოკეისტი ჯერ არ არის მზად ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის მისაღებად.

*"როცა ვიგრძნობ, რომ ფიზიკურად ისევე ვარ მზად, როგორც ეს ტრავმამდე იყო, სწორედ მაშინ გავალ მოედანზე. ვგრძნობ, რომ ეს სულ მალე მოხდება"*, - განაცხადა კროსბიმ.

"პიტსბურგის" კიდევ ერთი ლიდერი, მეკარე **მარკ-ანდრე ფლერი** ამ კვირის ბოლოს დაუბრუნდება გუნდს. ეს ჰოკეისტი დროებით ფარმ-კლუბში გაუშვეს სათამაშო ფორმის ალსადგენად.

## ფილადელფიაში ტრავმიანობაა

"ფილადელფია ფლაიერზის" ხელმძღვანელობამ ერთბაშად ორი ჰოკეისტი მოათავსა ტრავმირებულთა სიაში. ესენი არიან ფორვარდები - **ჯოფრი ლუპული** და **სტივ დაუნი**. ლუპულმა კვირას, "მონრეალთან" დაიზიანა ფეხი და დაახლოებით 2-3 კვირას გამოტოვებს, რაც შეეხება დაუნის, მან გუშინ, იმავე "მონრეალთან" მატჩისას მიიღო ტვინის შერყევა.

ამასობაში, ფილადელფიელებმა შემადგენლობა გამოცდილი მცველით, **იაროსლავ მოდრით** შეავსეს. "ფლაიერზმა" ეს ჰოკეისტი "ლოს ანჯელესიდან" გადაიბირა, სანაცვლოდ კი, "კინგზს" 2008 წლის დრაფტის მესამე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება დაუთმო.

ამ სეზონში მოდრიმ 61 მატჩი ჩაატარა და 6 ქულა (1+5) დააგროვა. "ფილადელფიისთვის" ჩეხი ჰოკეისტის ტრანსფერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან "მფრინავებს" სამი მცველი - **რორი ფიტცპატრიკი, დერიან ჰეთჩერი** და **მაიკ რატიე** ჰყავთ ტრავმირებული.

## მონრეალი ვარსკვლავებს უმიზნებს

"მონრეალ კანადიენსი" პლეიოფის წინ შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. ამ მიზნით, კანადური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ბობ გეინიმ** მოლაპარაკებები დაიწყო "ატლანტადან" **მარიან ჰოსასა** და "კალგარიდან" **ალექს ტანგეის** გადაბირების თაობაზე.

ჯერჯერობით უცნობია, რა სახის კომპენსაციას სთავაზობს "მონრეალი" "ატლანტას", რაც შეეხება ტანგეის, მის ნაცვლად "კანადიენსი" თავდამსხმელ **მაიკლ რაიდერსა** და დრაფტის პირველ რაუნდში სასურველი ჰოკეისტის არჩევის უფლებას დათმობს.



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონის სამმაგი, ბიბის ტრავმა და გარნეტის დაბრუნება

ამერიკული კალათბურთის ზეიმი დასრულდა და NBA-ის ვარსკვლავები თავიანთ სამსახურს დაუბრუნდნენ. "ყველა ვარსკვლავის მატჩში" MVP-ის ტიტულის მოპოვების შემდეგ, **ლებრონ ჯეიმსი** ახლა უკვე საკუთარ Quicken Loans Arena-ზე წარსდგა მთელი თავისი ბრწყინვალებით და მორიგი ტრიპლ-დაბლი შეასრულა.

"ჰიუსტონს" კი, აშკარად გაუგრძელდა სამხრეთ-დასავლეთი დივიზიონის ქვედა ნაწილში ყოფნა, სადაც ყველაზე სუსტი გუნდის სტატუსისთვის მოკრძალებულ "მემფისს" ეპაექრება. გრძნობს რა გაზაფხულის მოახლოებას, "როკეტსი" ზემოთ ასვლას ცდილობს და არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას ეს არ გამოსდის. "რაკეტები" კლივლენდში რვამატჩიანი წაუგებელი სერიით ჩავიდნენ და ოჰაიოში ზედიზედ მეცხრე გამარჯვება იზეიმეს.

ამ წაგებაში დამნაშავენი თავად "კავალერისტები" არიან, რომლებმაც ვერაფრით მოახერხეს "როკეტსის" დაცვითი ბარიერების გარღვევა. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ "კლივლენდი" ძალიან ინდომებდა მეტოქის ფარის დაპყრობას. მასპინძელთაგან მხოლოდ ლებრონი ცდილობდა, მაგრამ ვერც მან გამოამჟღავნა სრულად თავისი პოტენციალი, ვინაიდან ჯეიმსის წინააღმდეგ დაცვაში ბრწყინვალედ მოქმედებდა **შეინ ბატიე**, რომელიც მატჩის შემდეგ ირონიულად ამბობდა - იმედია, ლებრონმა ნიუ ორლეანში კარგი დრო გაატარაო. ჯეიმსის პარტნიორებს კი, არც უცდიათ "ჰიუსტონისთვის" ხელის შეშლა და ზედიზედ ატარებდნენ საკუთარ ფარქვეშ **რაფერ ალსტონსა** და **იაო მინს**. უკანასკნელად "ჰიუსტონმა" ზედიზედ ცხრა მატჩი შორეულ 1993-94 წლების სეზონში მოიგო. მოკითხვა **ჰაკიმ ოლაჯუონს**.

### სალამოს გმირი: ირლ უოტსონი

გუშინ, სიეტლში ორი აუტსაიდერი - ადგილობრივი "სუპერსონიქსი" და "მემფის გრიზლისი" დაეტაკნენ ერთმანეთს. უახლოეს მომავალში "სონიქსში" დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი: გუნდის ბოსის **კლეი ბენეტის** გეგმებში არ შედის კლუბის სიეტლში დატოვება და ამასთან, შემადგენლობაშიც სერიოზული როტაციაა მოსალოდნელი, რომლის წყალობითაც, მთელ რიგ მოთამაშეებს სამუშაო ადგილის შეცვლა ელით. რაც შეეხება **ირლ უოტსონს**, მისი ადგილი შემადგენლობაში ეჭვს არ იწვევს - გუნდში უკეთესი გამთამაშებელი, უბრალოდ, არ არსებობს. მისმა 26-მა ქულამ და 9 შედეგიანმა პასმა "სიეტლს" არამარტო 19-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრის საშუალება მისცა, არამედ მასპინძლებმა გამარჯვების მოპოვებაც მოახერხეს.

### სალამოს ანტიგმირი: დეტროიტ პისტონზი

"დეტროიტი" აღმოსავლეთის ერთ-ერთი ფავორიტი კი არის, მაგრამ გუშინ, "პისტონზი" საკუთარ თავს არ ჰგავდა. როგორც ჩანს, "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდისას, დეტროიტელმა კალათბურთელებმა დროებით დაივიწყეს საწვრთნელი პროცესი და აქედან გამომდინარე, ფენომენალური უკლასობით დაამახსოვრეს თავი საკუთარ პუბლიკას. **ჩონსი ბილაპსი** მხოლოდ 9 ქულით შემოიფარგლა, **რაშიდ უოლასი** კი, შესაშური დამაჯერებლობით აცილებდა ბურთს მეტოქის კალათს. თავიანთი ლიდერების შემხედვარე, "დეტროიტის" კომედიური თეატრის დანარჩენ მსახიობებსაც არ მოუკლავთ თავი და მათ დიდსულოვნად დაუთმეს გამარჯვება "ორლანდოს". საერთოდ, ის, რაც ამ მატჩისას მოედანზე ხდებოდა, ნამდვილად არ ჰგავდა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი დივიზიონების ლიდერთა შეხვედრას.

### სალამოს ციფრი: 23

**ფილ ჯექსონის** აწყობილ მექანიზმში ყველა რგოლი იდეალურად მუშაობს. ეს საკუთარ თავზე გამოსცადეს ლოს ანჯელესში ჩასულმა "ატლანტა ჰოქსის" კალათბურთელებმა. ამ გუნდის რიგებში დებიუტი ჰქონდა **მაიკ ბიბის**, რომელიც ჯერ კიდევ "ოლ სტარამდე" "საკრამენტოს" მაისურით იწონებდა თავს. "ჰოქსის" ადალბედას წესიერად თავის გამოყენის საშუალება არ მიეცა: ბიბიმ მოედანზე 16 წუთი დაჰყო, შემდეგ ფეხი იტკინა და თავისი ახალი გუნდის განადგურებისთვის თვალი წესიერად არც უდევნებია. ეს განადგურება კი, **პაუ გასოლმა** და **კობი ბრაიანტმა** მოაწყვეს, რომლებმაც თითქოს შეთანხმდნენო, 23-23 ქულა ჩაუგდეს მეტოქეს.



გარნეტი დაბრუნდა

### სალამოს ფრაზა

*"თავს შესანიშნავად ვგრძნობ"*, - მხნედ განაცხადა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ **კევინ გარნეტმა**, რომელმაც ბოლოჯერ კალათბურთი 25 იანვარს ითამაშა და თითქმის ერთთვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა პარკეტს. გარნეტმა დაბრუნება 4 ქულით აღნიშნა, მაგრამ ესეც კი ბავშვივით უხაროდა. წარმოიდგინეთ, რა კმაყოფილი იქნება კევინი, როცა თავის ოპტიმალურ ფორმას დაიბრუნებს.

**კლივლენდი-ჰიუსტონი 85:93**

20:21, 16:21, 23:24, 26:27

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (26 ქ. 13 მ. 11 პ. 2 ჩ), ჰიუზი (16 ქ), ილგაუსკასი (16 ქ. 7 მ. 3 დ), გუდენი (8 ქ. 7 მ).

**ჰიუსტონი:** ალსტონი (22 ქ. 5 მ. 6 პ), მაკგრეიდი (17 ქ. 8 პ), მინი (16 ქ. 14 მ), სკოლა (15 ქ. 8 მ).

**ვაშინგტონი-ნ. იორკი 100:113 (ო)**

20:23, 30:23, 20:21, 20:23, 10:23

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (20 ქ. 13 მ. 3 ჩ), რ. მეისონი (15 ქ), სტივენსონი (14 ქ. 3 ჩ), ნ. იანგი (12 ქ), დენიელსი (12 ქ. 5 პ), ჰეივუდი (9 ქ. 7 მ).

**ნიუ იორკი:** რენდოლფი (24 ქ. 10 მ), კროუფორდი (21 ქ. 5 პ), რიჩარდსონი (19 ქ. 6 მ. 2 ჩ), რობინსონი (19 ქ. 8 მ. 5 პ), ლი (19 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**დეტროიტი-ორლანდო 85:103**

25:20, 20:32, 17:31, 23:20

**დეტროიტი:** სტაკი (16 ქ. 4 პ), ჰემილტონი (12 ქ), რ. უოლასი (10 ქ. 6 მ. 4 დ), ბილაპსი (9 ქ. 5 პ), მაკდაესი (8 ქ. 14 მ. 3 ჩ), მაქსიელი (6 ქ. 9 მ).

**ორლანდო:** რ. ლუისი (20 ქ. 4 პ), ბოგანსი (19 ქ. 2 ჩ), ევანსი (16 ქ), თურქოგლუ (12 ქ. 6 პ), დულინგი (11 ქ), ნელსონი (10 ქ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (8 ქ. 8 მ. 4 დ).

**მინესოტა-ფილადელფია 104:88**

23:17, 30:27, 21:18, 30:26

**მინესოტა:** მაკენტსი (20 ქ. 5 პ), ე. ჯეფერსონი (19 ქ. 14 მ), ფოიე (13 ქ. 5 პ), კ. გომესი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ), კ. სმიტი (11 ქ), ტელფეირი (10 ქ. 4 პ. 2 ჩ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (17 ქ. 5 მ), ა. მილერი (15 ქ. 6 პ. 3 ჩ), ტ. იანგი (12 ქ. 5 მ), დალემბერი (6 ქ. 9 მ).

**სან ანტონიო-შარლოტი 85:65**

13:18, 23:14, 18:17, 31:16

**სან ანტონიო:** ჯინობილი (18 ქ), უდოკა (12 ქ. 10 მ. 5 პ), ვონი (10 ქ. 2 ჩ), დანკანი (7 ქ. 15 მ. 5 პ. 5 დ).

**შარლოტი:** ფელტონი (19 ქ. 4 პ), რიჩარდსონი (13 ქ. 4 პ. 2 ჩ), მოჰამედი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ), ოკაფორი (2 ქ. 10 მ), ჯ. უოლასი (4 ქ. 8 მ. 4 ჩ).

**დენვერი-ბოსტონი 124:118**

36:31, 26:31, 26:22, 36:34

**დენვერი:** ენტონი (29 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), აივერსონი (28 ქ. 7 მ. 9 პ), კ. მარტინი (19 ქ. 6 მ. 2 ჩ), ე. კარტერი (14 ქ. 8 პ), კემბი (11 ქ. 13 მ. 3 ჩ. 9 დ).

**ბოსტონი:** პირსი (24 ქ. 6 მ. 7 პ), რონდო (22 ქ), რ. ალენი (20 ქ. 5 პ), პაუ (13 ქ. 11 მ. 2 დ), პოუსი (13 ქ. 6 მ. 4 ჩ), გარნეტი (4 ქ. 8 მ. 2 ჩ).

**იუტა-გ. სტეიტი 119:109**

36:36, 41:28, 23:13, 19:23

**იუტა:** დ. უილიამსი (29 ქ. 12 პ. 2 ჩ. 2 დ), კირილენკო (18 ქ), ბუზერი (16 ქ. 12 მ), ოქური (16 ქ. 10 მ), კორვერი (12 ქ. 4 პ).

**გოლდენ სტეიტი:** ჰარინგტონი (21 ქ), ელისი (18 ქ), ბ. დევისი (17 ქ. 4 პ), აზუბუიკე (14 ქ. 4 ჩ), ბარნსი (8 ქ. 6 მ).

**პორტლენდი-საკრამენტო 94:105**

24:27, 27:24, 14:19, 29:35

**პორტლენდი:** უებსტერი (18 ქ), ოლდრიჯი (12 ქ. 5 მ. 2 ჩ. 3 დ), როი (11 ქ. 8 მ. 6 პ), ჯეკი (9 ქ. 11 პ), პრჟიბილა (6 ქ. 9 მ. 2 დ).

**საკრამენტო:** არტესტი (24 ქ. 5 პ. 3 ჩ), გარსია (23 ქ. 6 მ), კ. მარტინი (21 ქ. 7 მ), ბ. მილერი (15 ქ. 8 მ), უდრიხი (9 ქ. 6 პ).

**სიეტლი-მემფისი 108:101**

27:31, 21:31, 32:16, 28:23

**სიეტლი:** უოტსონი (26 ქ. 9 პ. 2 ჩ), შჩერბიაკი (24 ქ), ჯ. გრინი (11 ქ. 9 მ), დ. უესტი (9 ქ., 5 მ. 7 პ).

**მემფისი:** გეი (23 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), უორიკი (22 ქ. 6 მ. 2 დ), ნავარო (16 ქ. 2 ჩ), კოლინზი (8 ქ. 10 მ), კონლი (8 ქ. 9 პ. 2 ჩ).

**ლეიკერსი-ატლანტა 122:93**

30:14, 43:23, 24:32, 25:24

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (23 ქ. 5 ჩ), გასოლი (23 ქ. 6 მ), ოდომი (17 ქ. 15 მ), რადმანოვიჩი (14 ქ. 3 ჩ), ფარმარი (12 ქ. 2 ჩ), ფიშერი (10 ქ. 2 ჩ).

**ატლანტა:** ჯონსონი (18 ქ), ლოუ (16 ქ. 3 ჩ), ჩილდრესი (16 ქ. 2 დ), ფაჩულია (12 ქ. 12 მ), ჯ. სმიტი (8 ქ. 7 მ. 6 პ. 4 დ).




ინტერვიუ მიხაელ შუმახერთან

# ფერარი ჩემგან რჩევებს ელის

**მიუხედავად** იმისა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა, გერმანელმა მიხაელ შუმახერმა 2006 წელს დაასრულა აქტიური სპორტული კარიერა, ის ძველებურად გარკვეულია ფორმულა 1-ის ნებისმიერ სიახლეში. ამაში თავად დარწმუნდებით, თუ ლეგენდარული გერმანელის ინტერვიუს წაიკითხავთ.

**- რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე "ფერარის" 2008 წლის მოდელმა?**

- ძალიან პოზიტიური. თუმცა არ ვიცი, რამდენად კარგად აისახება ეს ყველაფერი პრაქტიკაში. მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ და დასკვნები მაშინ გავაკეთოთ, როცა ახალი ჩემპიონატის პირველი სამი ეტაპი ჩაივლის.

**- დეკემბერში ყველა გააოცეთ ესპანეთში ჩატარებული ტესტებით, სადაც საუკეთესო დრო აჩვენეთ. ამ მხრივ მუშაობას გააგრძელებთ?**

- სავსებით შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, თუ სკუდერიიდან ჩემს კოლეგებს დახმარება დასჭირდებათ, მზად ვარ მათ გვერდით დავდგე.

**- ასეთი პუნქტი არის თქვენს კონტრაქტში?**

- არა, ტესტების გამართვა ხელშეკრულებაში არ წერია. უბრალოდ, წესების ბოლო ცვლილებებთან დაკავშირებით, მშობლიური საჯინიბოსთვის სასარგებლო საქმის გაკეთება მომინდა. იმედი მაქვს, ჩემი მუშაობა მომავალ წარმატებაში გარკვეულ წვლილს შეიტანს.

**- მაშინ ზუსტად აგვიხსენით, რა შედის თქვენს მოვალეობებში?**

- მე კონსულტანტი ვარ. ვეხმარები "ფერარის" სერიული ავტომობილების განვითარებაში, გარდა ამისა, ჩემგან ფორმულა 1-ის განხრითაც ელიან გარკვეულ რჩევებს. დრო და დრო, ჩვენს შტაბ-ბინაში ტექნიკური საკითხები წყდება და იქ თითქმის ყოველთვის მიწვევენ. მე ვაანალიზებ სარბოლო ტრასებიდან მიღებულ შედეგებს და ხუმრობით ამ საქმიანობას თარჯიმნობას ვუწოდებ. დიახ, ნუ გაგიკვირდებათ. ვგრძნობ, რომ სხვებზე უკეთ მესმის, რაზე საუბრობენ და რა სურთ პილოტებს.

**- ძნელია, ტელევიზორის წინ სავარძელში იჯდე და უყურო რბოლებს, რომელშიც შენ არ მონაწილეობ?**

- მე ხომ სავარძელში პილოტის რანგში არ ვზივარ. რბოლები ყოველთვის მანიჭებდა სიამოვნებას და, რა თქმა უნდა, ნოსტალგიის გრძნობა არსებობს. ამასთან, ყველაფერი დანარჩენი, რაც ფორმულა 1-ს ეხება, სულაც არ მაკლია. პირდაპირ ეთერში ნებისმიერ ინფორმაციას ვიღებ, ისიც კი მესმის, რბოლის დროს "ფერარის" რადიოთი რას ლაპარაკობენ.

**- ჟან ტოდტმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ მიხაელ შუმახერი "ფერარის" იდეალური შეფი იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენ არ გსურთ დირექტორის პოსტის დაკავება. რას იტყოდით "ფერარის" ახალ შეფზე, სტეფანო დომენიკალიზე?**

- ის აქ 1991 წლიდან მუშაობს და გუნდზე ყველაფერი იცის, თანაც ბევრი კარგი იდეა გააჩნია. მის დანიშვნას ყოველმხრივ ვემხრობოდი. გარდა ამისა, ტოდტიც ბოლომდე არ წასულა გუნდიდან, უბრალოდ, ის დომენიკალის ჩრდილში რჩება. ხანდახან მსგავსი ცვლილებები და სიახლეები გუნდზე დადებითად მოქმედებს.

**- არ გსურდათ ახალი ხელმძღვანელობისთვის დახმარების გაწევა?**

- პრინციპში, ამიტომაც გავხდი კონსულტანტი. მზად ვარ, პირველივე დაძახილზე დასახმარებლად გავემურო. ეს ხომ "ფერარია", სადაც ყველანი მეგობრები ვართ. ისე კი, სიმართლე გითხრათ, სტეფანოს იმხელა გამოცდილება აქვს, რომ არა მგონია, რაიმეში ჩემი დახმარება სჭირდებოდეს.

**- ე.ი. თქვენ მიგაჩნიათ, რომ "ფერარიში" მომხდარი ცვლილებები გუნდზე დადებითად იმოქმედებს?**

- ამაში დარწმუნებული ვარ. მსგავსი პრაქტიკა ადრეც გვქონია და მისი მიზანი გუნდისთვის დამატებითი იმპულსის მიცემაა. არ მესმის, როცა ზოგიერთები ეჭვის თვალით უყურებენ გუნდის მიერ არჩეულ კურსს. ცვლილებები იმის გამო მოხდა, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს.

**- სეზონის მსვლელობისას "ფერარის" რომელიმე პილოტი ხანგრძლივი დროით რომ გამოვიდეს მწყობრიდან, დათანხმდებით თუ არა მის შეცვლას?**

- მე სათადარიგო პილოტი არ გახლავართ და ასეთი რამის წარმოდგენა შეუძლებელია.

**- რამდენ ეტაპს დაესწრებით 2008 წლის ჩემპიონატში?**

- ზუსტად არ ვიცი. ალბათ, სამოთხს. აუცილებლად დავესწრები პირველ ევროპულ ეტაპს, რომელიც ბარსელონაში გაიმართება, შემდეგ კი ვნახოთ. ვიცი, რომ ავსტრალიაში პირველ რბოლაზე არ ჩავალ. შორეული მოგზაურობის სურვილი არ მაქვს, თანაც, თავის დროზე ავსტრალიაში ისედაც ბევრი ვიმოგზაურე. სავარაუდოდ, არც ჩინეთში ვიქნები. მოკლედ რომ ვთქვათ, ვეცდები, ევროპას არ გავცდე.

**- 1991 წლის შემდეგ, ეს პირველი სეზონია ფორმულა 1-ში, როცა ჩემპიონატი შუმახერების გარეშე ჩაივლის. თქვენმა ძმამაც დაასრულა ფორმულა 1-ის კარიერა. გაგიკვირდათ რალფის გადაწყვეტილება?**

- სიმართლე გითხრათ, არ ველოდი მისი მხრიდან ასეთ საქციელს. მეგონა, რომ ის ჩვენს საგვარეულო ტრადიციებს გააგრძელებდა. თუმცა რატომღაც მგონია, რომ რალფი აუცილებლად დაბრუნდება. ჩემი ძმა ჯერ ახალგაზრდაა, ამიტომაც, თუ ცოტათი შეცვლის საკუთარ თავს, მისგან ყველანაირი სიურპრიზია მოსალოდნელი.

**- რალფი DTM-ის სერიაში გააგრძელებს კარიერას...**

- მისი ამ გადაწყვეტილებით არ ალვფრთოვანებულვარ. ჩვენ ორივენი, არასაკმარისად ნიჭიერები ვართ ამ სერიისთვის. ეს საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რადგან ერთხელ მეც ვცადე ბედი ამ საქმეში. DTM-ში მოთმინების უნარი უნდა გქონდეს, დიდი დრო უნდა დაუთმო საკუთარი მანქანის მოვლასა და განვითარებას. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ფორმულა 1-ის პილოტებს ეს თვისებები ნაკლებად აქვთ.

**- პენსიაში გასვლის შემდეგ, ახლა უფრო მეტი დრო გრჩებათ თქვენი მეორე გატაცებისთვის - მოტორბოლისთვის. ამბობენ, რომ Ducati-ით ტესტებზე ყველაზე სწრაფი წრეები გაიარეთ.**

- მართალია. და იმედი მაქვს, რომ ეს ბოლოჯერ არ მომხდარა.

**- რატომ მოგწონთ განსაკუთრებით სპორტის ეს სახეობა?**

- სისწრაფის გამო და კიდევ იმიტომ, რომ ძალიან ახლოს იმყოფები ასფალტთან. აქ ხიფათი უფრო მეტია, ვიდრე სარბოლო მანქანაში. და შენ შესანიშნავად გესმის, რომ ერთი სულ მცირე არასწორი მოძრაობა ტრაგედიამდე მიგიყვანს. მიყვარს საკუთარ ნერვებზე თამაში.

**- ზამთარში, როგორც წესი, თხილამურებით ერთობით ხოლმე...**

- არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. საკუთარ მასწავლებელს შევეჯიბრე და პირველ ცდაზე მხოლოდ წამის მეასედები წავაგე მასთან. მეორე ცდისას კი, სამწუხაროდ, დავეცი.

**- ვინ მიგაჩნიათ უძლიერეს პილოტად: კიმი რაიკონენი თუ ლუის ჰემილტონი?**

- არასწორი შეკითხვაა, ვინაიდან უძლიერესი კიმი რაიკონენსა და ფელიპე მასას ("ფერარის" პილოტები - რედ.) შორის უნდა ვეძიოთ. ისინი სწრაფები და ძლიერები არიან. უბრალოდ, მასას შარშან ნაკლებად სწყალობდა ბედი, ვიდრე მის პარტნიორს. სამაგიეროდ, სეზონის დასკვნითი ნაწილი ბრწყინვალედ წარმართა.

**- თქვენი პროგნოზი მომავალი სეზონისთვის? ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი?**

- ისევე როგორც შარშან, ურთულესი ბრძოლა იქნება "ფერარისა" და "მაკლარენს" შორის. უნდა გავახარო გერმანელი გულშემატკივრები: ჩემი აზრით, ისინი ხშირად იხილავენ პოდიუმზე თავიანთ თანამემამულეს, ნიკ ჰაიდფელდს.

## TV სპორტი

### 21 თებერვალი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. მარაკაიბო (ვენესუელა)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
15:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. არსენალი-მილანი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-მანჩესტერი.
19:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ფენერბაჰჩე-სევილია.
21:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:45 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:55 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.
00:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-მანჩესტერი.
02:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი.
19:53 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.
09:47 სპორტდოსიე.
10:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.
11:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. არსენალი-მილანი.
12:48 ფეხბურთი. Barca TV.
12:55 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
13:24 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. სელტიკი-ბარსელონა.
15:12 ფეხბურთი. Barca TV.
15:19 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ფენერბაჰჩე-სევილია.
17:07 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
17:36 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-მანჩესტერ იუნ.
19:24 სპორტის სამყარო.
19:53 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.
20:38 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
21:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:28 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
21:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. II ტური. ჟალგირისი-მაკაბი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
00:58 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:13 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რომა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-სან ხოსე (LIVE).
06:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.
07:25 სპორტდოსიე.
07:50 ფეხბურთი. Barca TV.

#### EUROSPORT

11:30 თავგადასავალი. ტელეჟურნალი.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რეინჯერსი-პანათინაიკოსი.
13:15 ბიატლონი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური რბოლა. ნოვე მესტო. ჩეხეთი.
14:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. ნოვე მესტო. ჩეხეთი.
15:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. გალათასარაი-ლევერკუზენი.
16:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/8 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
21:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS213. კვალიფიკაცია. ობერსტდორფი. გერმანია.
22:45 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სუპერგიგანტი. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
00:15 პროფესიული კრივი. ბერლინი. გერმანია.
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. მიმოხილვა.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ტურნირი. III ტური. ჰამბურგი (გერმანია)-პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი).
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. დინამო (რუსეთი)-ფრიდრიხშაფენი (გერმანია).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ტურნირი. III ტური. ჰამბურგი (გერმანია)-პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი).
19:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. დინამო (რუსეთი)-ფრიდრიხშაფენი (გერმანია).
20:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. აშშ.
22:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ტურნირი. III ტური. ამსტელვეენი (ჰოლანდია)-კალიში (პოლონეთი) (LIVE).
00:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გრანადა. ესპანეთი.
01:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ტურნირი. III ტური. ამსტელვეენი (ჰოლანდია)-კალიში (პოლონეთი).
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| შოტლანდია | |
|---|---|
| მოზერველი-ინვერნესი | 3:1 |
| **საბერძნეთი** | |
| ლევადია-ირაკლისი | 3:0 |
| **პოლონეთის ლიგის თასი** | |
| გროცლინი-ოდრა | 2:2 |

### კალათბურთი

| ევროლიგა | |
|---|---|
| ცსკა-ბარსელონა | 72:55 |
| ეფესი-მონტეპასკი | 76:79 (ო) |
| ლ. რიტასი-არისი | 89:74 |
| პანათინაიკოსი-პარტიზანი | 67:65 |
| ტაუგრესი-ულკერი | 103:84 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| ლადა-ამური | 0:2 |
| აკ ბარსი-ს. იულაევი | 2:4 |
| დინამო-ვიტიაზი | 2:0 |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) | 4:2 |
| ნეფტეხიმიკი-ტრაქტორი | 5:2 |
| სევერსტალი-ტორპედო | 4:1 |
| ხიმიკი-სპარტაკი | 3:1 |
| მვდ-სიბირი | 0:2 |
| ცსკა-სკა | 4:2 |

### ჩოგბურთი

| ATP. როტერდამი | |
|---|---|
| ნიემინენი-ვერდასკო | 2:6, 2:6 |
| მარეი-ჰაასე | 5:7, 3:6 |
| ჰიუიტი-სეპი | 6:3, 6:7, 6:7 |
| მაუ-გაბაშვილი | 2:6, 6:7 |
| ბერდიხი-ლუბიჩიჩი | 6:3, 6:3 |
| ნადალი-ტურსუნოვი | 6:4, 6:4 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| ბეკერი-გარსია ლოპესი | 6:3, 6:7, 4:6 |
| შტეპანეკი-რეინოლდსი | 7:5, 7:6 |
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| ალმაგრო-ერნანდესი | 6:2, 2:6, 6:3 |
| სტარაჩე-ბრჟეჟიჩკი | 6:3, 6:3 |
| **WTA. დოჰა** | |
| კუზნეცოვა-დეში | 7:5, 7:5 |
| ბამერი-ნიკულესკუ | 3:6, 7:5, 6:4 |
| საფინა-იან ჟი | 6:2, 6:1 |
| სუგიამა-მორიტა | 4:6, 6:4, 6:0 |
| ჩაკვეტაძე-ნა ლი | 6:7, 4:6 |
| ივანოვიჩი-გოვორცოვა | 6:3, 6:1 |
| პეერი-რაზანო | 6:1, 7:6 |
| ა. რადვანსკა-გარბინი | 6:3, 6:3 |
| შნიდერი-ციბულკოვა | 3:6, 4:6 |
| შარაპოვა-ვოსკობოევა | 6:4, 4:6, 6:1 |
| კირილენკო-მედინა გარიგესი | 6:2, 5:7, 1:6 |
| მორესმო-ტანასუგარნი | 6:7, 5:7 |
| ვ. უილიამსი-კლეპაჩი | 6:2, 6:3 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| ვივესი-დე ლოს რიოსი | 6:2, 6:0 |
| სალერნი-კამერინი | 4:6, 6:2, 6:3 |
| ერანი-დომინგეს ლინო | 6:0, 6:3 |

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-ბოსტონი 2:3 (ბ)**
0:1, 0:1, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ხარა-11 (შტურმი-20, სავარი-52), 0:2 სავარი-14 (ვიდემანი-17, ფერენსი-12), 1:2 რეი უიტნი-24 (ლედი-9, ე. სტაალი-24), 2:2 ე. კოული-14 (ე. სტაალი-25, რეი უიტნი-32).

**ბულიტები გაიტანეს:** კესელი (ბოსტონი), კრეისი (ბოსტონი).

**ტორონტო-კოლამბუსი 3:1**
3:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კოლაიაკოვო-2 (დევერო-11, მური-6), 2:0 ანტროპოვი-21 (სუნდინი-37, მაკები-10), 2:1 ფედოროვი-24 (ვეკა-24, ე. მიურეი-1), 3:1 კილგერი-10 (მური-7, გილი-18).

**მონრეალი-რეინჯერსი 6:5 (ბ)**
0:3, 2:2, 3:0, 0:0

**გოლები:** 0:1 დუბინსკი-11 (იაგრი-35, როჟსივალი-18), 0:2 მ. ეივერი-9 (დუბინსკი-17, იაგრი-36), 0:3 შენეჰანი-19 (იაგრი-37, როჟსივალი-19), 0:4 შენეჰანი-20 (მარა-16, იაგრი-38), 0:5 დრური-20 (გომესი-45, სტრაკა-17), 1:5 რაიდერი-10 (მტრაიტი-31, მარკოვი-34), 2:5 რაიდერი-11 (ო'ბირნი-3, შტრაიტი-32), 3:5 კოვალიოვი-28 (მარკოვი-35, ა. კოსტიცინი-21), 4:5 შტრაიტი-10 (რაიდერი-11, ლაპიერი-6), 5:5 კოვალიოვი-29 (ა. კოსტიცინი-22, ს. კოივუ-32).

**ბულიტები გაიტანეს:** ს. კოივუ (მონრეალი).

**ნეშვილი-ედმონტონი 5:4**
2:1, 2:3, 1:0

**გოლები:** 1:0 ნიკოლი-9 (დუმონი-33, ფიდლერი-16), 2:0 რადულოვი-24 (ნიკოლი-6, დუმონი-34), 2:1 პიზანი-7 (სემ განიე-25), 3:1 ტუტუ-8 (ფიდლერი-17, ნიკოლი-7), 3:2 გრებეშკოვი-2 (პიზანი-5, გილბერტი-14), 3:3 სემ განიე-6 (რ. ნილსონი-18, კოლიანო-19), 3:4 რისონერი-7 (პემსკი-35, გრებეშკოვი-8), 4:4 არნოტი-21 (დე ვრისი-10, რადულოვი-26), 5:4 დუმონი-22 (არნოტი-35, დე ვრისი-11).

**ოტავა-ფილადელფია 3:2 (ბ)**
1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კელი-11, 2:0 ვერმეტი-14 (სტილმანი-28, რედენი-27), 2:1 კ. ტიმონენი-8 (უმბერგერი-32), 2:2 აპშოლი-9 (დაუდი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ვერმეტი (ოტავა), კ. ტიმონენი (ფილადელფია), სპეცა (ოტავა).

**პიტსბურგი-ფლორიდა 3:2**
0:1, 0:1, 3:0

**გოლები:** 0:1 ბუტი-18 (კრეპსი-14, ალენი-11), 0:2 მაკლინი-9, 1:2 კ. არმსტრონგი-8 (მალკინი-44), 2:2 მელოუნი-18 (რაიან უიტნი-18, მალკინი-45), 3:2 მელოუნი-19 (გონჩარი-40, კონკლინი-1).

**მინესოტა-ვანკუვერი 2:3 (ო)**
1:0, 0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 გაბორიკი-33 (ბერნსი-21, პერიში-12), 1:1 კუკი-7 (რეიმონდი-11, შენონი-3), 2:1 ბელანჟე-13 (როლსტონი-20, პერიში-13), 2:2 ნესლუნდი-22 (დ. სედინი-34, ჰ. სედინი-49), 2:3 დ. სედინი-26 (ჰ. სედინი-50, ოლუნდი-12).

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 5:1**
1:1, 1:0, 3:0

**გოლები:** 0:1 პაველატი-9 (ტ. რუუტუ-15), 1:1 ჯეკმენი-2 (ე. ჯონსონი-18, რუჩინსკი-9), 2:1 ბოიესი-32 (კარია-36, ე. მაკდონალდი-28), 3:1 სტემპნიაკი-11 (რუჩინსკი-10, ტკაჩუკი-25), 4:1 ტკაჩუკი-19 (ე. ჯონსონი-19, ჯეკმენი-6), 5:1 მაკლემანი-8 (ტკაჩუკი-26)

**ფინიქსი-კალგარი 1:4**
0:0, 1:2, 0:2

**გოლები:** 0:1 იგინლა-36 (ა. ოკუანი-21, ჰუსელიუსი-34), 1:1 დ. მორისი-5 (დოუნი-42, კარჩილო-8), 1:2 ფანოფი-12 (იგინლა-36, ლენგკოუ-27), 1:3 ფანოფი-13 (კონროი-19, ტანგეი-35), 1:4 იგინლა-37 (კონროი-20).

კალათბურთი

## ორლანდო კურტ ტომასით დაინტერესდა

NBA-ის რამდენიმე კლუბი, რომელთა შორის არის "ორლანდო მეჯიქი", "სიეტლ-თან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამ გუნდების მიზანი "სონიქსის" ფორვარდის, **კურტ ტომასის** ხელში ჩაგდება გახლავთ.

"ორლანდოს" პრობლემები აქვს მძიმე ფორვარდის პოზიციაზე და ტომასიც ამის გამო სჭირდება. "მეჯიქის" ხელმძღვანელობა მზად არის ორი ისეთი მოთამაშე დათმოს, რომლებსაც ამ სეზონის ბოლოს უმთავრდებათ კონტრაქტები. ასეთი კი, "ორლანდოში" სამი კალათბურთელია - მცველები **კარლოს აროიო და კენიონ დულინგი** და ფორვარდი **პეტ გერიტი**.

## ჯერმეინი ინდიანას ემშვიდობება

"ინდიანა პეისერსის" ხელმძღვანელობა და ამ გუნდის ცენტრი **ჯერმეინ ო'ნილი** მზად არიან, შეწყვიტონ თავიანთი 8-წლიანი ურთიერთობა. ეს იმას ნიშნავს, რომ "ინდიანას" ადმინისტრაცია უარს არ იტყვის მოთამაშის სხვა კლუბში გაშვებაზე.

ო'ნილისადმი ინტერესს "გოლდენ სტეიტი", "ნიუ ჯერსი" და "საკრამენტო" გამოთქვამენ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა, ვინაიდან კალათბურთელი ტრავმირებულია და 16 იანვრის შემდეგ არ თამაშობს რეგულარულ ჩემპიონატში. არც ის არის ცნობილი, როდის დაუბრუნდება ჯერმეინი მოედანს.

## ილგაუსკასი პეკინში ითამაშებს

"კლივლენდ კავალიერზის" ლიტველმა ცენტრმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე თავისი ქვეყნის ნაკრებს დაეხმარება.

*"იმედი მაქვს, რომ ჩემი გამოცდილება გუნდს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. ვინ იცის, იქნებ საერთაშორისო არენაზე თავის გამოჩენის შანსი აღარ მომეცეს"*, - ამბობს 32 წლის ილგაუსკასი, რომელსაც აქამდე არასოდეს უთამაშია ოფიციალურ ტურნირებში ლიტვის ნაკრების მაისურით.

## კალათბურთი ღია ცის ქვეშ

მომავალი სეზონისთვის მზადების ციკლში, "ფინიქს სანზი" და "დენვერ ნაგეტსი" ღია ცის ქვეშ ჩაატარებენ ერთ საჩვენებელ შეხვედრას. ეს 11 ოქტომბერს, Indian Wells Tennis Garden-ში მოხდება. საჩოგბურთო არენა 16 ათას მაყურებელს იტევს. სწორედ ამ მოედანზე ტარდება საყოველთაოდ ცნობილი ინდიან უელსის "მასტერსი".

NBA-ის ისტორიას ერთადერთი შემთხვევა ახსოვს, როცა საკალათბურთო მატჩი ღია ცის ქვეშ გაიმართა. 1972 წლის 24 სექტემბერს, პუერტო რიკოში "ფინიქსი" "მილუოკის" ხვდებოდა. მაშინაც შეხვედრა საწვრთნელი ხასიათისა იყო.

ჩოგბურთი

## ნადალი გერმანიასთან ითამაშებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, **რაფაელ ნადალმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ის მონაწილეობას მიიღებს დევისის თასის მეოთხედფინალში, რომელიც აპრილში გაიმართება. ესპანეთის ნაკრებს გერმანიასთან ელის შეხვედრა. ნადალი არ გამორიცხავს, რომ მას გერმანელების წინააღმდეგ წყვილთა შეხვედრაშიც მოუწიოს გამოსვლა. ამიტომაც, ამ კვირას როტერდამში მიმდინარე ტურნირზე, რაფამ თანამემამულე **ტომი რობრედოსთან** შექმნა დუეტი და წყვილთა თანრიგშიც იბრძვის პირველობისთვის.

*"ამ კვირას ტომისთან, ხოლო ინდიან უელსში დავიდ ფერერთან ვითამაშებ წყვილში, რათა დევისის თასისთვის და შემდეგ, ოლიმპიური თამაშებისთვის მოვემზადო"*, - აცხადებს ნადალი.

შეგახსენებთ, რომ დევისის თასის პირველ წრეში, ნადალმა პერუში გამგზავრებაზე უარი განაცხადა, თუმცა ესპანეთმა მის გარეშეც იოლად მოუგო (5:0) ამ გუნდს.

## ივანიშევიჩს პოლიცია დაკითხავს

ლეგენდარულ ხორვატ ჩოგბურთელს **გორან ივანიშევიჩს** ზაგრების პოლიცია დაკითხვაზე იბარებს. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ გორანი პაპარაც ფოტოგრაფზე, **ბორის ბერიბაკზე** თავდასხმაშია ეჭვმიტანილი.

ფოტოგრაფმა პოლიციაში დაიჩივლა - ივანიშევიჩი თავს დამესხა, შემდეგ კი, კამერა დამიმსხვრიაო. ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ბერიბაკი და კიდევ ერთი ფოტოგრაფი ჩოგბურთელის სახლთან ფოტოების გადასაღებად იყვნენ ჩასაფრებულნი.

# ჩოგბურთი

## ტურნირები

### ATP

**ABN AMRO World Tennis**

როტერდამი (ჰოლანდია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 824 000 ევრო

**I წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 2)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 6:3, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 3)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:4, 7:5; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-მარკო ბალდატისი (კვიპ, 8) 6:3, 3:6, 6:4; **ნიკოლა მაუ (საფ)**-ტომი რობრედო (ესპ) 7:5, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:3, 6:4; **მიხაელ ლოდრა (საფ)**-რაემონ სლუიტერი (ჰოლ) 6:1, 7:6 (6).

**Copa Telmex**

ბუენოს აირესი (არგენტინა). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 466 000 დოლარი

**I წრე**

**აგუსტინ კალერი (არგ)**-ხუან მონაკო (არგ, 2) 4:6, 6:2, 6:3; **ხოსე აკასუსო (არგ)**-კარლოს მოია (ესპ, 3) 6:2, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4)**-სანტიაგო ვენტურა (არგ) 5:7, 6:3, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 5)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 7:6 (5), 7:6 (2); **იგორ ანდრეევი (6)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:3, 6:7 (8), 7:6 (4); **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 8)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:4, 6:2; **დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 2:6, 6:1, 6:2; **ხუან პაბლო ბრჟეჟიჩკი (არგ)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:3, 6:2; **ტომაშ ბელუჩი (ბრა)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:4, 6:4; **სერხიო როიტმანი (არგ)**-ივო მინარი (ჩეხ) 4:0 მინარის უარი; **ფაბიო ფონინი (იტა)**-ედუარდო შვანკი (არგ) 6:2, 6:1; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-ერიკ პროდონი (საფ) 6:4, 6:3.

**SAP Open**

სან ხოსე (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**I წრე**

**ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2)**-სემ ვარბურგი (აშშ) 6:3, 6:1; **დენის გრემელმაირი (გერ)**-სემ კერი (აშშ, 7) 5:7, 7:6 (1), 6:3; **მარდი ფიში (აშშ)**-ტიმ შმიჩეკი (აშშ) 6:3, 6:4; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-იესე ვიტენი (აშშ) 6:2, 5:7, 6:4; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-მარკოს დანიელი (ბრა) 6:3, 3:0 დანიელის უარი.

### WTA

**Qatar Total Open**

დოჰა (კატარი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 500 000 დოლარი

**I წრე**

**პატი შნიდერი (შვეიც, 9)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:4, 6:0; **დინარა საფინა (რუს, 11)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) 6:2, 6:4; **აი სუგიამა (იაპ)**-აგნეს შავაი (უნგ, 13) 7:6 (3), 6:0; **ნატალი დეში (საფ)**-შუაი პენგი (ჩინ) 1:6, 6:4, 6:1; **ნა ლი (ჩინ)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:1, 0:6, 6:4; **აიუმი მორიტა (იაპ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:3, 6:4; **ტატიანა გარბინი (იტა)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 6:2, 7:5; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-სანია მირზა (ინდ) 4:6, 7:6 (5), 3:2 მირზას უარი; **კარინ კნაპი (იტა)**-ჯულია გორჯესი (გერ) 6:1, 6:4.

**II წრე**

**კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 8) 6:2, 6:3; **ვერა ზვონარევა (რუს)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 17) 2:6, 6:3, 6:4.

**Copa Colsanitas**

ბოგოტა (კოლუმბია)

თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 185 000 დოლარი

**I წრე**

**ბეტინა ხოსამი (არგ)**-ფლავია პენეტა (იტა, 1) 6:1, 2:6, 6:4; **პოლინ პარმენტიე (საფ, 3)**-ჯულია შრუფი (გერ) 6:4, 6:3; **როსანა დე ლოს რიოსი (პარ)**-ემილი ლუა (საფ, 4) 7:5, 6:3; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია, 5)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:4, 6:4; **ედინა გალოვიტცი (რუმ, 7)**-სუნიტა რაო (ინდ) 6:1, 6:2; **მარტინა მიულერი (გერ, 9)**-ვიკი ნუნიესი ფუენტესი (კოლ) 7:5, 7:6 (5); **მარია კამერინი (იტა)**-მარეტ ანი (ესტ) 4:6, 6:3, 6:2; **სორანა კრისტეა (რუმ)**-კამილ პინი (საფ) 2:6, 6:2, 6:4; **ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:4, 6:2; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 7:5, 6:2; **მარია კორიტცევა (უკრ)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 1:6, 6:4, 7:6; **კატალინა კასტანიო (კოლ)**-კაია კანეპი (ესტ) 6:3, 7:5; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-მარია ირიგოენი (არგ) 6:4, 6:0.

CHAMPIONS LEAGUE




ვენეგოორის ამ გოლის მიუხედავად, ბარსამ სამჯერ შემოატრიალა თამაში

## ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

### არსენალი-მილანი 0:0

**არსენალი:** ლემანი, სანია, გალასი, კოლო ტურე (7. სენდეროსი), კლიში, ებუე (90. უოლკოტი), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი, ედუარდო (74. ბენდტნერი).

**მილანი:** კალაჩი, ოდო, ნესტა (50. იანკულოვსკი), კალაძე, მალდინი, ზეედორფი (86. ემერსონი), გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, პატო (77. ჯილარდინო).

**მაყურებელი:** 60 000

**არბიტრი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: მილანი | |
| | პირველი ჯარიმა: მილანი | |
| | პირველი კუთხური: მილანი | |
| | პირველი გაფრთხილება: მილანი | |
| 16 (7) | დარტყმა | 7 (2) |
| 14 | ჯარიმა | 13 |
| 9 | კუთხური | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

### სელტიკი-ბარსელონა 2:3

**სელტიკი:** ბორუცი, კადისი (61. უილსონი), კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, რობსონი, ჰარტლი (65. დონატი), მაკგიდი, ვენეგოორი (55. სამარასი), მაკდონალდი.

**ბარსელონა:** ვალდესი, პუიოლი, მარკესი, მილიტო, აბიდალი, დეკუ (66. ჩავი), იაია ტურე, ინიესტა, მესი, რონალდინიო (73. ეტო'ო), ანრი (88. გუდიონსენი).

**გოლები:** 1:0 ვენეგოორი (16), 1:1 მესი (18), 2:1 რობსონი (38), 2:2 ანრი (52), 2:3 მესი (79)

**მაყურებელი:** 52 156

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (დანია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: სელტიკი | |
| | პირველი ჯარიმა: სელტიკი | |
| | პირველი კუთხური: ბარსელონა | |
| | პირველი გაფრთხილება: სელტიკი | |
| 4 (3) | დარტყმა | 24 (9) |
| 14 | ჯარიმა | 7 |
| 1 | კუთხური | 8 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 38% | ბურთის ფლობა | 62% |

### ფენერბაჩე-სევილია 3:2

**ფენერბაჩე:** ვოლქანი, გოქანი, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი (68. ვედერსონი), დეივიდი, სელჩუკი, აურელიო, უგური (78. ქაზიმი), ალექსი, კეჟმანი (84. სემიჰი).

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო კორეია, ნავასი, პოულსენი, კეიტა, დუდა (63. კაპელი), ლუიშ ფაბიანო, კანუტე.

**გოლები:** 1:0 კეჟმანი (17), 1:1 ედუ (23-საკ. კარში), 2:1 ლუგანო (57), 2:2 ესკუდე (66), 3:2 სემიჰი (87)

**მაყურებელი:** 35 000

**არბიტრი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ფენერბაჩე | |
| | პირველი ჯარიმა: ფენერბაჩე | |
| | პირველი კუთხური: სევილია | |
| | პირველი გაფრთხილება: ფენერბაჩე | |
| 11 (7) | დარტყმა | 13 (7) |
| 17 | ჯარიმა | 16 |
| 3 | კუთხური | 7 |
| 5 | გაფრთხილება | 1 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

### ლიონი-მანჩესტერი 1:1

**ლიონი:** კუპე, რევეიერი, სკილაჩი, ბუმსონგი, კლერი (78. ბენ არფა), გროსო, ტულალანი, კალსტრიომი, ჟუნინიო (74. ბოდმერი), გოვუ, ბენზემა (83. ფრედი).

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა, ჰარგრივსი (78. ქერიკი), ანდერსონი, სქოულზი (65. ტევესი), კრისტიანო რონალდო, რუნი, გიგზი (65. ნანი).

**გოლები:** 1:0 ბენზემა (54), 1:1 ტევესი (87)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ლიონი | |
| | პირველი ჯარიმა: ლიონი | |
| | პირველი კუთხური: მანჩესტერი | |
| | პირველი გაფრთხილება: ლიონი | |
| 14 (4) | დარტყმა | 16 (5) |
| 16 | ჯარიმა | 14 |
| 4 | კუთხური | 9 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |



ებუე და პატო. არსენალი მილანზე მაღლა მაინც ვერ ახტა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდებერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა